


წიგნის მაღაზია „ცოდნა“ს გამოცემა № 22

~~792~~



LIBRARY OF THE STATE

# სამშობლოსათვის

W

## თავდაღებული

168	
63.	64.

თიბისი დაბა

თ. სახოკიძის.

152

16650130

01 01 060

მსწრაფლ-მბეჭდავი არ. ქუთათელაძისა ნიკ. ქ. № 21

1905 წ.

Дозволено цензурою Тифлисъ 24 января 1905 г.

# სამოგბლისათვის თავდაღებული

I

## საზოგადო მიმოხილვა

I

თითქმის ხუთი საუკუნე ჰკვნესოდა ბოლგართა ერი, ოსმალთ მიერ დამონავებული. ამ ხანგრძლივის წვალების უამსა მრავალ ტანჯული ბოლგარელი რაია მარტო გაიდუკობით (ფირალობით) აცხადებდა თავისს უკმაყოფილებასა, მარტო ამ საშუალებით ატყობინებდა თავისს ბატონს — უღმერთოდ გვეპყრობით. ხაიდუთინი ოსმალურად ავაზაკსა ჰნიშნავს. ოსმალთ მთავრობასაც გაიდუკი ავაზაკად მიაჩნდა, უბრალო ავაზაკად. მაგრამ ნამდვილად ის გაიდუკი უბრალო როდი იყო; გაიდუკი იმ ავაზაკს როდი ჰგავდა, რომელიც დიდს შარა-გზაზე კაცსა ჰკლავს, ანუ სძარცვავს საკუთრად თავისის ჯიბისათვის. არა, გაიდუკად მარტო იმისთვის არ მიღიოდნენ, სხვას წაეართვათ რამე და იმით ვიცხოვროთო.

უმეტეს შემთხვევაში გაიდუკის მოქმედებას აზრად შურის ძიება ჰქონდა. გაიდუკი მაგიერს უხდიდა თავის შეურაცხმყოფელს, თავისს მტანჯველს, თავისს მძარცველსა და დამარბეველს;

მაგიერს უხდიდა ოსმალოს, რომელიც ნამუსაა  
ხდიდა მისს დედას, ცოლს მისს დებსა და ქალებს;  
გაიდუკი თვისის ნათესავ-მეგობრების უბრალოდ  
დანთხეულ სისხლს იღებდა,—მოკლედ რომ მოვ-  
სჭრათ, გაიდუკი კრიჭაში უდგა ოსმალთ მთავრო-  
ბის უსამართლობასა და უკანონობასა, რომლის  
მსხვერპლიცა ხდებოდა დღე-ყოველ უმწეო, უპა-  
ტრონო რაია... მაშინადვე გაიდუკად გავარდებოდა  
ხოლმე ყველა ის დამონავებული ბოლგარელი,  
რომელსაც ისმალთ სასამართლოსთან ანგარიში  
ექმნებოდა გასასწორებელი ან რომელსაც სახრჩო-  
ბელა ან კიდევ საუკუნოდ დატუსალება მოელოდ-  
და... ხშირად გაიდუკობის მეტი სხვა გზა არა  
რჩებოდათ იმ რჩეულ და კეთილშობილ ბოლგარელ-  
თა, რომელთაც სულთქმა უჭირდებოდათ მონობაში.  
რომელნიც ყოველ ნაბიჯზე ხელს ვერ იღებდნენ  
თავისს ადამიანურს უფლებასა და ღირსებაზე, რო-  
მელნიც ვერ ურიგდებოდნენ ძალმომრეობასა და  
თავგასულს უსამართლობასა, და რომელნიც გაი-  
დუკობასა რჩეობდნენ, ვიდრე ლაჩრულ ცხოვრე-  
ბასა, ზნეობრივ დამცირებასა, ქედმდაბლობასა,  
მლიქვნელობასა, გაიძვერობასა,—ასეთ ნაირად,  
გართალია, დამონავებული უმრავლესობა ხალხისა-  
სცხოვრობსო, მაგრამ ჩვენ ვერ ვიცხოვრებთო.

მხარზე თოფს გადიგდებდა, ქამარში დანას-  
გაიკეთებდა ბრაზითა და სიძულვილით გამწარებუ-  
ლი ბოლგარელი და ხაზიზლარ ბატონთან, მურდალ-

თურქთან, საბრძოლველად განმზადებული. გამოეთხოვებოდა თავისს სოფელსა ანუ ქალაქსა, გაიპარებოდა როგორმე ბალკანში და შეიქმნებოდა გაიდუკი, ესე იგი ისეთი კაცი, რომლისათვის კანონი არ არსებობდა, — თუ კი შეიძლება ითქვას, თმალეთში კანონი და სამართალი არსებობდათ, — არ არსებობდა მისთვის აგრედვე ტანჯვა-ვაებით სავსე მძიმე და შემარცხვენელი მონური ცხოვრება. გართალია, გაიდუკის ახალი ცხოვრება მეტად სასტიკი იყო, ბევრი გასაჭირი, ნაკლებულობა და ვაი-ვაგლახი ედვა წინ; სამაგიეროდ, თავისუფლად ჰსუნთქავდა; ბალკანში იმასთან ხელი არა . ჰქონდათ არც სულთანსა, არც აღებსა, აღარც ზაფთიებსა (უანდარმებსა); ამ ახალ ადგილას გაიდუკს ავიწყდებოდა თავისი მონობა და თავისი თავი ბალკანის ლონიერ არწივსავით და ფეხ-მარდ ჯეირანსავით თავისუფლად მიაჩნდა, მათთან ერთად ისიც ბატონი იყო მთის მიუწდომელ კლდე-ლრეებისა და ციცაბო მწვერვალებისა... მახლობელ ბოლგარელთა სოფლებში, აგრედვე მწყემსთაგან, რომელთაც ზაფხულობით ბალკანის საძოვრებზე ცხვარი დაუდიოდათ, საჭმელსა შოულობდა. ზამთარი რომ დადგებოდა, ასტყდებოდა ქარ-ბუქი, დააყრიდა თოვლს, ბალკანში ცხოვრება შეუძლებელი ხდებოდა, — მაშინ გაიდუკიც ბარად ჩამოვალდა; არ მიცნონ და არ დამიჭირონო და თავისს სოფელზე საღმე შორს იწყებდა ცხოვრებასა; ემალე-

ბოდა ოსმალთ მთავრობასა, ან მოკეთე ბოლგარე-ლებში გაერევოდა, და ან მთლად საზღვარ გარედ გადიოდა... მაგრამ გაზაფხულის მზე როგორც კი მთას ალერსს დაუწყებდა და მისი მინდვრები მწვანე ხავერდით იწყევდა შემოსვას, ხოლო ხშირი წიფლნარი, რომლითაც მთის კალთები დაფარული იყო, ამწვანდებოდა ქორფა ფოთლებითა, გაიდუკი მაშინადვე თავისს მთის სამეფოს მიატანდა და რისხვასა და მეხსა სკემდა გარშემო მუსულმანთა სოფლებსა.

გაიდუკი მთაში მარტო არ იყო, არც მარტო ჰმოქმედობდა. სანამ ბოლგარეთი ოსმალთ მონაბისაგან განთავისუფლდებოდა, ბალკანი სავსე იყო იმის გვარ გულად და თავზე ხელალებულ ბიჭებითა. გაიდუკი მათს შორის აირჩევდა ამხანაგებსა, შეადგენდა გუნდს და ამ გუნდის ხელმძღვანელი დაწინამდღვარი ხდებოდა. ხანდისხან ისე დიდი იყო ხოლმე გუნდი გაიდუკებისა, რომ მათთან საბრძოლველად და მათ გასაწყვეტად მთავრობა გაწვრთნილ ჯარსა ჰგზავნიდა ხოლმე...

გაიდუკების გუნდები თავისუფლად დათარე-შობდნენ ბალკანში, მთის გზებსა გულმოდგინედ დარაჯობდნენ, ყველგან ამბის შემტყობნი და თანამოაზრენი ეყენათ, ისინი ატყობინებდნენ სად ან როდის უნდა გაევლოთ ოსმალთ ვაჭრებსა ან მოხელეთა, და ვინც ხელში ჩაუვარდებოდათ, გაჩენის დღეს აწყევლინებდნენ. ოსმალთან გაიდუკა-

ლმერთი ავიწყდებოდა, ულმობელი იყო. „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილო!“—იძახდა გაიდუკი. არ ინდობდა არც მოხუცა, არც ჩივილსა, არც ქალსა და არც კაცსა; თანაც ამაყობდა— ამდენსა და ამდენს ოსმალოს მოვსპერ თავიო.

გაიდუკები არა სჯერდებოდნენ თავისს სამეფოში, მთაში, ნავარდობასა. ბარადაც ეძებდნენ მსხვერპლსა, ბალკანის კალთებს ქვემოდ. ალალსავით დაჭქროლავდნენ ოსმალთ სოფლებსა, სწვავდნენ, ანარცარტუტებდნენ, ჰკუწავდნენ. ხალხსა, არბევდნენ; განსაკუთრებულის სიმძაფრით ეკიდებოდნენ მოხელეთა, ხალხის მძარცველთა და სისხლის-მსმელთა; არ ინდობდნენ აგრედვე თავისს ერთმორჩწმუნე ბოლგართა, რომელნიც ოსმალთ ფეხებს ულოკავდნენ, რომელნიც ჰლალატობდნენ და მუხანათობდნენ თავისს მშობელ ერსა, რომელნიც ამ გზით დაწინაურებასა ცდილობდნენ; და გაიდუკი, როგორც ყველა თავზე ხელალებული, მოღალატე რაიას, უმეტესის ულმობელობით და ზიზღით ეპურობოდნენ, ვიდრე თვით ოსმალნი.

ძალიან ხშირად ასეთის დარბევისა და ყოჩალობის ღროს გაიდუკები მტერსა და სასჯელს თავს დაახწევდნენ ხოლმე, მოასწრობდნენ ნადავლის წალებასა და თან მიჭქონდათ მოჭრილი თავებიცა, როგორც გამარჯვების ნიშანი. მაგრამ თავისი გულადობა არა ერთხელ ჩამწარებიათ კიდეცა. ფეხზე დამდგარ პოლიციის საშველად მახლობელ სოფ-

ლების მცხოვრებნიც გამოდიოდნენ, გააკეთებდნენ  
სანგალს და გამოუდგებოდნენ მშვიდობიანისა და  
გულარხეინად ცხოვრების დამარტვეველთა. გა-  
იღუკები თავგამოდებით ებრძოდნენ მტერსა, მა-  
გრამ, უმეტეს შემთხვევაში, ხან ბრძოლის ველზე  
იხოცებოდნენ ოსმალთა ტყვიისაგან, ხანაც ტყვედ  
წამოასხამდნენ ხოლმე... დღე-ყოველი გაიღუკების  
გუნდებს ამარცხებდნენ, მუსრს ავლებდნენ, მაგრამ  
ბალკანში მეამბოხეთა მეფობას მაინც ბოლო არ  
ეღებოდა. დახოცილ წინამძღვართა მაგივრად ახალი  
წინამძღვარნი გაჩნდებოდნენ, გაფანტული და  
შემცირებული გუნდები ისევ ერთად მოიყრიდნენ  
თავსა,— და ორსავ მხარეზე სისხლი მდინარესავით  
იღვრებოდა.

რა თქმა უნდა, გაიღუკები ყველანი არ იხო-  
ცებოდნენ სამშობლო ბალკანში, ან სახრჩობელაზე  
და ოსმალთ დამპალ სატუსალოებში. ბევრი მათგანი  
ჯერ ბალკანში სცხოვრობდა თავისუფლად, მერე  
თავისს საშიშ ხელობას თავს ანებებდა, საზღვარ  
გარედ გადადიოდა (უკანასკნელ ბანში, უმეტეს  
ნაწილად რუმინიაში), ან არა-და სამშობლოში  
რჩებოდა, გაერევოდა ხალხში და მუშაობას იწყებ-  
და... ბოლგარებში ასეთი ნაგაიღუკარები მაშინ  
ბევრი იყო. ესენი სულ მუდამ „მშვენიერ ბალკა-  
ნის“ ქებაში იყვნენ, უამბობდნენ გაიღუკურ  
თავისუფალ ცხოვრების ამბავსა, ოსმალებთან  
გმირულად ვიბრძოდით და ვამარცხესდითო და

სხვ. და სხვ. მათი ნააშბობი აღელვებდა ბოლგარელ  
ახალგაზღობასა. კიდეც ეგ იყო მიზეზი, რომ გა-  
იდუქთა გუნდები არა სწყდებოდა და ახალ-ახალი  
ლონე სულ მუდამ ემატებოდა მისს შეთხელებულ  
რაზმებსა. დღესაც ცოცხალია ბევრი ძველი ნაგა-  
იდუქარი ბოლგარეთში. ზოგი მათგანი საზოგადოე-  
ბისა და სახელმწიფო სამსახურშია, და საჯმაო  
ქონებაც აქვსთ; თუ დავუჯერებთ, რასაც ამბობენ,  
გაიდუკობიდან მოსდევთო ეს ქონება... ბოლგარე-  
თის იმ ნაწილში, რომელიც ოსმალთ ბატონობი-  
საგან განთავისუფლებულია, რა თქმა უნდა, გა-  
იდუკობის ხენებაც არ არის... ხან-და-ხან, მართა-  
ლია „ბალკანში ახლაც გამოჩნდებიან ხოლმე გა-  
იდუკები, მაგრამ ესენი ბოლგარელნი არ არიან,  
არამედ ოსმალნი, ბოლგარეთსა და რუმინიაში  
ოსმალეთის მოსამზღვრე ოლქებიდან შემოსულები.  
ეს გაიდუკები ნამდვილი ავაზაკები და მძარცველები  
არიან, სხვა არაფერი

სიტყვა *(ხანიდუთინ)* ახლა გინებაა ბოლგარუ-  
ლად; ამ სახელს ისეთს კაცს ეტყვიან, რომლისაგან  
ადამიანი კარგს არას უნდა მოელოდეს და რომელ-  
საც უნდა უფრთხილდეს. მაგრამ წინად, განთავი-  
სუფლებამდე, ეს სიტყვა სულ სხვასა ჰნიშნავდა.  
მართალია, სულ წმინდანები არც წინანდელი გა-  
იდუკები იყვნენ, ნაკლი იმათაც ჰქონდათ; ბევრი  
ერია მათ შორის ისეთი, რომელიც ლირსი იყო  
სახრჩობელასი თუ არა, სატუსალოსი მაინცა, და

რომელნიც შავს დღეს აყენებდნენ არამც თუ  
ოსმალთა, არამც თუ ბოლგარელთა ჩორბაჯიებსა,  
არამედ უბრალო, სრულებით უდანაშაულო სოფ-  
ლელთაც. მაინც, ეს გაიდუკები ყოველთ უწინა-  
რეს ოსმალთ ემტერებოდნენ, ოსმალთ სოფლებს-  
იკლებდნენ, და მარტო ეს საკმაო იყო ბოლგარელ-  
ხალხს გაიდუკი გმირად მიეჩნია, ეთქვა—მებრძო-  
ლიაო, შერს იძიებს შეგინებულ სარწმუნოები-  
სათვის, დაჩაგრულს ერს ექომავება და სარჩლს  
უწევსო. ხალხი ამბობდა, გაიდუკი „ხალხის კაცია“,  
უშიშრად ხელში იარაღი აიღო, ამდენის ხნის  
მტერს კრიჭაში ჩაუდგა და ჩვენი ზნეობა უნდა  
დაიცვას, ქონება შეგვარჩინოსო.

ამიტომ გასაკვირი არც კია, რომ დაჩაგრული  
ერი გაიდუკს თანაგრძნობით ეპყრობოდა. უხაროდა,  
როცა გაიგებდა, გაიდუკი აქა და იქ იბრძოდა და  
სისხლი დაღვარაო; სწუხდა, ვიშ-ვიშებდა, როცა  
გაიგებდა—დამარცხებულაო; რაც კი შეეძლო,  
ეხმარებოდა საჭიროების დროს ითარავდა; ოსმალთ  
მთავრობასთან არ გასცემდა,—სირცხვილად და  
უნამუსობად მიმჩნდა ასეთი საქციელი; არ ივიწყებ-  
და გაიდუკის სახელს შვილით-შვილამდე; ლექსე-  
ბიც კი იყო გამოთქმული გაიდუკის გმირობაზე.  
დღესაც ახსოვთ ზოგიერთი გმირი გაიდუკი, ბალ-  
კანში მყოფი, რომელიც ერთს დროს შიშის ზარსა  
სცემდა გარშემო სულთნებსა, ბეიებსა და ფაშებსა.  
აქ ამოვსწერთ რამდენსამე ტაეპს ბოლგართა სა-

ხალხო ლექსებიდან, რომელნიც გაიღუკებზე არიან  
გამოთქმულნი.

მზე გადიხარა... ქოფოლლის ტყიდან  
გამოდის თანაც — გმირი სარდალი.  
მოდის და, როგორც დაყმენდილ მგელსა,  
სულთნის ფარაზე უჭირავს თვალი  
და მისს მეცხვარეს ჩაეკითხება:  
„მიტრავ, რაც გვითხო, მითხარ მართალი..  
გასწი სოფელში, შემიტყვე ჩქარა.  
სად არის ახლა ამ ცხვრის პატრონი?  
ტყუილი არ სთქვა; მე უნდა დღესვე  
ტყვედ წავიყვანო შენი ბატონი.

\* \* \*

ო, ტყეო, ტყეო ბურვილო,  
ყრუო და ჩამოხურვილო!  
უფრო დაბნელდი, გაშავდი, —  
შენს ჩრდილში მოვისურვილო.  
შენ შეინახე ღევნილი  
გაიღუკების სარდალი:  
ის არის მტრების მმუსრავი, —  
ქვეყნად არა ჰყავს ბადალი;  
ის უძლვის სისხლის საზღვევლად  
მამულიშვილებს რჩეულებს;  
როგორც ცხვრის ფირას, ოსმალთა  
ისე სჭრის თავებს, წყეულებს.

\* \* \*

„ტრიფონ, ჭალარა სარდალო,

სულთანს მოუდის მდევარი.

დაგვეწევიან დღესავე,

გვდევენ, ვით კურდლელს მწევარი!“

ცისკარი ისევ ნათობდა,

მზესაც ხომ დაეგვიანა,

როცა სულთანის ლაშქარმა

აბჯარი გაახმიანა.

წინ ცხენ-ხეთქებით სულთანი

მორბის, აბჯარი ჩხრიალებს.

„აბა ცოცხალი ტრიფონი

მოგვარეთ!“ — დაიღრიალებს.

ტრიფონი თავისს მხედრებსა

სიტყვას გადუგდებს მხრიანსა:

„ძმებო, უიბრძოლოთ ბოლომდე,

ვით ჰუერობს სახელიანსა,

აქ ურჩევნია სიკვდილი

შინ მისვლას სირცხვილიანსა!..“

ჩახმახს ეწევა ტრიფონი,

მთა თოფსა ჰერცინის ხმიანსა...

სისხლი სდის უძრავს სულთანსა,

ცხენს ეღებება ფაფარი;

ხმლით სჭრიან იუნაკები,

გარბის თურქების ლაშქარი.

ამ ლექსში, როგორც მკითხველი ჰხედავს,

გაიდუკი დახასიათებულია, ვითარცა მებრძოლი

ხალხის მტერსა და დუშმანთან — სულთნებთან. ამ

ლექსებს მღერიან. მართალია, თვით კილო სიმღე-

რისა სადაა, მაგრამ მსმენელს საშინლად აღონებს. სიმღერაში იხატება რალაც სევდა გულის დამაძმარებელი, სევდა სასო-წარკვეთის მსგავსი, უიმელო სევდა, თითქო ამ სიმღერის მომგონი ხალხი, თუმცა სრულიად შეგნებულად არა მაგრამ ბრუნდად ჰერძნოადაო, რომ გაიდუკების თავგამოლება და ცდა ამაო იყო, რომ გაიდუკებს არ შეეძლოთ უბედური ხალხი ოსმალთ საშინელ მონობისაგან დაეხსნა, თავისუფლება მიენიჭებინა.

2

გაიდუკობით, თქმა არ უნდა, უმრავლესობა ბოლგართა ხალხისა თავისს უკმაყოფილებას უკადებდა ოსმალთა ბატონობასა. ვარნა ეგ უკმაყოფილება, ეგ პროტესტი, უმეტეს შემთხვევაში, სულ უბრალო, შეუგნებელი შურისძიება იყო შევიწროვებულ რაიას მხრივ, და პოლიტიკური მნიშვნელობა და ხასიათი სრულებით არა ჰქონდა. ვინ ამბობს, გაიდუკები ოსმალთ მთავრობას აწუხებდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ, მაგრამ თვით ოსმალთ ბატონობას შიში არაფრისა ჰქონდა. თუ ოსმალთ წინააღმდეგ გაიდუკი ხელს აღმართავდა, იმიტომ აღმართავდა, რომ პირადად მისი ჯავრი სჭირდა, მაზე იყო გულმოსული. ამ შემთხვევაში გაიდუკს აზრადაც არა ჰქონდა საზოგადო სამსახური, საზოგადო კეთილდღეობა; არც კი ჰქონდნენ ერთობრივის ძალით შეჰქონდნენ მამულის

მტერსა და დამამხობელსა. რომელსამე ოსმალოს რომ რასმე დაუშავებდა, გაიდუკი ჰხარობდა თუ მოახერხებდა თვისის მტერის, ოსმალოს, თავის მოქრას — მისს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, და თუ გარემოება ხელს შეუწყობდა და თავისს მსხვერპლს ოქროებსაც წაართმევდა, მაშინ ხომ იმას გაიძახდა, მეტი არაფერი მინდაო.

გაიდუკს აზრადაც არ მოსდიოდა, ხალხი გამოეღვიძებინა, ჩაეგონებინა, —ჩვენს ბატონებს უნდა ვებრძოლოთ. ჩვენი სამშობლო უნდა გავანთავისუფლოთო. იმ დროინდელის გარემოების წყალობით, გაიდუკს ესეთი აზრი არც კი ექმნებოდა, ესეთი აზრი მაშინ უფრო იბადება, იფურჩქნება და მაშინ ისხავს ფრთას, ოდეს ხალხი ცოტად თუ ბევრად შეგნებულად იწყებს ცხოვრებას. და აი სწორედ ეს შეგნებული ცხოვრება არ არსებობდა მაშინ. ასეთს პირობაში, გაიდუკებს შეეძლო ოსმალები ეულიტნათ, ეძარცვათ, ოსმალთაც შეეძლოთ გაიდუკები გაეწყოთ, — მრავალი მილიონი ბოლგარელი რაია კი რაიადვე რჩებოდა, მისი ცხოვრება ნირს არ იცვლიდა.. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, გაიდუკობა პროტესტი იყო მონებისა, რომელნიც თვისის სასტიკის ბატონის ჯავრსა ჰყრილობდნენ, მონებისა, რომელთაც პირადის შეურაცხყოფისათვის შურისძიების მეტი სხვა არაფერი აზრად არა ჰქონდათ, რომელთაც არ ესმოდათ მნიშვნელობა სამოქალაქო თავისუფლებისა.

ამ მონებმა ისიც კი არ იცოდნენ, შესაძლებელი  
იყო თუ არა მონობის ჯაჭვები დაემსხვრიათ და  
განთავისუფლებულიყვნენ...

მაგრამ აპა, ორმოც და ათის წლის წინად იმ  
სანეტარო და სადღესასწაულო დღისა, ოდეს  
თავისუფლების მზე აღმობრწყინდა და თავისი  
სხივები მოჰქონდა მრავალტანჯულ ბოლგარეთსა,  
ბოლგართა შორის ცოტ-ცოტაობით იჩინა თავი  
ეროვნულმა მისწრაფებამა და აზრებმა, იმ დროის  
მოწინავე და საუკეთესო შვილნი ბოლგარეთისა  
შეუდგნენ თვისის ერის წარსულისა და აწმყის  
შესწავლას, გროვება დაიწყეს ძველის ნაშთებისა  
და დოკუმენტებისა, აღადგინეს დავიწყებული  
ცხოვრება, ხალხს ქადაგება დაუწყეს: სასიქადულო  
მეფეები გვყვავდა, ერთი ბედნიერი დრო ჩვენცა  
გვქონდა; როცა ჩვენი სამშობლო დამოუკიდებელი  
იყო, თვითონვე უძლვებოდა თავისს თავსა, თავი-  
სუფალი იყო და თვისი საკუთარი პოლიტიკური  
ცხოვრება ჰქონდაო. დაიწყეს წერა და ბეჭდვა  
წიგნებისა ბოლგარულს ენაზედა, დაარსეს „წიგ-  
ნების გამომცემელი ამხანაგობანი“, რომელთაც  
აზრადა ჰქონდათ ხელი შეეწყოთ ახლად ფეხადგ-  
სამშობლო მწერლობისათვის და წიგნები ხალხში  
ევრცელებინათ. გახსნეს სამკითხველოები და წიგნ-  
საცავები; შვილსავით უვლიდნენ სკოლებსა: სოფ-  
ლის მასწავლებელნი ყველაზე მეტად აღვიძებდნენ  
ხალხს და ამზადებდნენ მომავლის ცხოვრებისათვის;

აქა-იქ გაზეთებმაც იჩინა თავი...

რადგან ამ გონებრივს მოძრაობაში პირველ  
ხანებში პოლიტიკისა არა ერია-რა, არსებულ  
წეს-წყობილების დამხობისათვის ფიქრის ნიშანი  
არც კი ეტყობოდა. ოსმალთ მთავრობაც არხეინად  
იყო, ფიქრი არაფრისა ჰქონდა, ყურადღებას არ  
აქცევდა და თითქმის სრულს თავისუფლებას  
აძლევდა... შემდეგ საეკულესიო კითხვა აღიძრა.  
ამ კითხვამ ძალიან წინ წასწია ეროვნული თვით-  
შემცნება. როგორც ვიცით, ბოლგარეთის ეკულე-  
სია 1870 წლამდე სავსებით ექვემდებარებოდა  
ბერძენთა სასულიერო მთავრობასა. ყველა უმაღ-  
ლეს სასულიერო ადგილზე მაშინ ბოლგარეთში  
მარტო ბერძნებსა ჰნიშნავდნენ, რომელნიც თავისკე-  
სულიერს შვილებს ისე ეპყრობოდნენ, როგორც  
საზოზღარ არსებათ, რაიას, საქონლის ჯოგს;  
მეტის-მეტ გადასახადს აწერდნენ; აქაო და ოსმალნი  
ხელს გვაფარებენო ჰყვლეფავდნენ და სიცოცხლეს  
უმწარებდნენ ისედაც გაბედშავებულ ხალხსა, არა-  
მკითხე გულშემატკიცარნი იყვნენ, ჰყისრულობდნენ  
ჯაშუშის, ჯალათის დამამცირებელს ხელობასა. ერთის სიტყვით, ბოლგარეთში ბერძნების სამღვდე-  
ლოება ისე სამარცვინოდ და უსინდისოდ იქცეოდა,  
რომ ბოლგარელებმა შეიძულეს. მერე შეიძულეს  
და როგორ? - თვით ოსმალებს არ ემტერებოდნენ  
ისე, როგორც ამ სულიერ მამებსა. ადვილი მისა-  
ხვედრია ის ერთსულოვანი სიხარული, ის მხურვა-

ლე თანაგრძნობა, რა სიხარულითა და რა თანა-  
გრძნობით მიეგება და ბანი მისცა, გარდა ხალხის  
მოლალატისა და სისხლის მწოველისა, ბოლგარელმა  
ხალხმა ქაღაგებასა თვისის განთავისუფლების შე-  
სახებ ბერძენთა ეკკლესიის ხელიდან. სულ ცას  
ეწივნენ სიხარულითა, როცა გაიგეს, ერთხელაც  
არის, ჩვენი საკუთარი, ბოლგარული, ეკკლესია  
გვექმნება და წირვა-ლოცვას ჩვენს დედაენაზე  
გვიგონებთო... რაც ოსმალები პბატონობდნენ  
ბოლგარეთში, ბოლგართა რაიაშ პირველად ამ  
ძეირფას და ყველასთვის გასაგებ საქმისთვის ბრძო-  
ლიაში მისცა ერთი-მეორეს მხარი; აქამდის ყველას  
~~ჭრტო-ოდენ~~ თავისი თავი ახსოვდა თავისს თავი-  
თვისა ცდილობდა, მარტო იბრძოდა— ბედშავი  
სუკოცხლე შემრჩესო; ახლა კი ცოტათი შეიძრნენ,  
საჭოგადოებისათვისაც დაიწყეს ზრუნვა; ხალხი-  
საგან-გამოერჩნენ აქამდის უცნობნი ნიჭიერნი,  
მხენა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავ-  
დადებულნი მამულიშვილნი, ისეთნი რომელნიც,  
ბოლოსა-და-ბოლოს, როგორც გამოცდილ მებრძო-  
ლთ, შეეძლოთ ხალხის გაძლოლა და რომლებზედაც  
ხალხს შეეძლო ეთქვა-- ამათ მივენდვეთ, გზაზედ  
გამოვიყვანენო. ერთის სიტყვით, ამ ბრძოლამ  
ეკკლესიისათვის დიდად ხდი შეუწყო ბოლგართა  
ეროვნების აღორძინებას. საეკკლესიო დამოუკი-  
დებლობისათვის ბრძოლამა ნიადაგი მოამზადა,  
პოლიტიკურ ბრძოლისათვის გზა გაჰქვალა. ბერძენთ

ეკკლესიისაგან განთავისუფლებას და ცალკე ბოლგარეთის ეკკლესიის დაარსებას მოჰყვა პოლიტიკური განცალკევება, განთავისუფლება ბოლგარებისა ოსმალთ ბატონობისაგან. პირველი რომ არ ყოფილიყო, უეჭველია, მეორე ნაირ თავისუფლებას ბოლგარელნი კიდევ დიდს ხანს ვერ მოესწრებოდნენ.

რა კი ერთი და ერთი დაიწყო ბოლგარელთა შორის გონიერივი მოძრაობა, თან-და-თან, — განსაკუთრებით საეკკლესიო კითხვის წამოყენების შემდეგ, — გაიზარდა, ფრთა შეისხა ამ მოძრაობამა, შინააურულმა, უბრალო სჯა-ბაასმა სერიოზული პოლიტიკური ხასიათი მიიღო. ოსმალონი ისევ ბარბაროსულად იქცეოდნენ, მათს თავ-გასულობას საზღვარი არა ჰქონდა. გარნა საქმე ის იყო, რომ ახლა ამ თავ-გასულობასა და ბარბაროსობასა ისე გულ-გრილად ვერ იტანდა ხალხი. უფრო შეგნებულთა და მგრძნობიარე ბოლგართა ხმა-მაღლალადისი შეჰქმნეს, — ეგ უსამართლობაა, პირთამდე აღიგხო ფიალა მოთბინებისაო, მეტი გზა არ-არის, ოსმალთ ბატონობას ბოლო უნდა მოეღოსო. უფრო გულფიცხთ და სულსწრაფთ ოცნება დაიწყეს, როდის იქნება, ხალხი ავაჯანყოთ და ოსმალთ ბატონობას შეიარაღებულნი გაუმკლავდეთ და დავამხოთ. განთავისუფლების აზრი ჰაერს მოეფინა; მალულად ამ საგნის შესახებ ხშირ-ხშირად დაიწყეს ლაპარაკი სახლებში. აზრი თან-და-თან გაიზარდა, და, ცოტა არ იყოს, აშეარად იწყეს მისი განხორ-

ციელება. დააარსეს იდუმალი წრეები, ხალხს ჯერ გაუბედავად, მერე თან-და-თან თამამად ქადაგება დაუწყეს... არსებულ წეს-წყობილების მცვლელთ შესძახეს — არიქათო! მთავრობამ რა კი იგრძნო, ხუმრობა არ არისო, ჩვეულებრივს დაუდევრობასა და მცონარეობას თავი ანება და დამნაშავეთ დევნა დაუწყო... დაუწყეს ძებნა: საით, როგორო? პოლი-ტიკურად მუხანათებს მიესივნენ, განთავისუფლების აზრი სათავეშივე უნდა ჩაექროთ, თავიანთის ფიქ-რით. ამ შემთხვევაში ოსმალთ მთავრობა ბევრს თავს არ იცხელებდა და იმის განსჯა-განკითხვაში არ შედიოდა, ვინ მართალი იყო, ვინ მტყუანი, — ეს დევე, ალაპმა გაარჩიოსო! ვინც კი, ცოტათიც არის, საეჭვოდ მიაჩნდა, სასტიკად სჯიდა.

საზიზლარი დრო დადგა ბოლგართა ხალხისა-თვის!.. ყველას შიშის ზარი დაეცა, ვაი თუ მო-მკლანო! ამ შიშმა თავის თავის დაცვისამ ზნეობა დასკა, გარყვნილობა ძოჭფინა ხალხსა. რაც საჭირო იყო, იმაზე მეტი გაჩნდნენ ჯაშუშები, დამბეზღე-ბელნი, თვისთა მოძმეთა ორგულნი... მწერლობა, ის-ის იყო, ფეხს იკიდებდა და მაშინვე თავზე მეხი დაატყდა: განათლება ხალხსეჭავისუფალ-მოაზრეო-ბას დააჩვევსო, და მთავრობამ უბოლიშოდ ხელი შეუშალა. ეკულესიები და სკოლები ხალხში რევოლუციურს შხამსა ჰფენენო და ერთიმეორეზე იკეტებოდნენ. ბოლგართ შორის ვინც კი ერივნენ გამბედავნი, პატიოსანნი მოაზრენი და თავოსანნი,

რომელნიც მაშინვე არ ამბობდნენ, — „ოსმალნი ლმერთმა ადლეგრძელოს, მტერი გაუწყვიტოსო“, საეჭვოდ დასახა მთავრობამ. იმათაც საკუთარმა მწარე გამოცდილებამ ნათლად დაანახვა, რა შესძლებია ოსმალთ თავგასულობასაო. პირველად სოფლის მასწავლებელნი, მღვდელნი და ყველა საუკეთესო გავლენიანი მცხოვრებნი მისცეს პასუხის-გებაში: თქვენ თავისუფლებას ოცნებობთო! სატუსალოები და კატორლები გაავსეს ასეთის საეჭვო პირებითა. ლვთის რისხვა დატრიალდა ბოლგარელთა თავზედ! .. მარტო სულ-მდაბალ მონათა და მთავრობის მიერ კეთილ-საიმედოდ აღიარებულთ შეეძლოთ ეთქვათ: ხვალ უვნებელი ვიქნები, ხელს არავინ მახლებსო... ზაფთიე (უანდარმი) დარწმუნებული იყო, სამშობლოს განსაცდელისაგან ვიხსნიო, აკანკალებულ მცხოვრებთა ბედ-ილბალი ჩემ ხელთააო და თვისის მოქმედებით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ გარემოების წყალობით, პირველი კაცი მე ვარ სამშობლოშიო...

ყოველსავე ამას შედეგად, რა თქმა უნდა, ის მოჰყვა, რომ ყველა სუსტი, გაუბედავნი, მშიშარანი, დიდი ხნის მონობით დაჯანდაკებულნი, ე. ი. უმრავლესობა მცხოვრებთა, ზემოხსენებულ მოძრაობას გაეცალა, უფრო უარესად დამდაბლდა, წინანდელზე უარესად დამონავდა. სამაგიეროდ, ყველა მხნენი, დიდბუნებოვანნი, კეთილშობილნი და სულით ძლიერნი, ესე იგი, საუკეთესო შვილნი

ბოლგარელთა, მათი მშვენება, უფრო მეტის სიძულვილით გაიმსჭვალნენ მტარვალთა-მიმართ, თავ-გადადებულ მოსისხლე მტერად გადაეკიდნენ ბატონთა: გადასწყვიტეს: ან სიკვდილი ან სიცოცხლეო, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ხალხი უნდა ავაჯანყოთ და მონობას თავი დავახწიოთო! მხნედაც მოჰკიდეს ხელი ხალხის მომზადებასა როგორც შინ, ბოლგარეთში, ისე საზღვარ-გარედ, სადაც მრავლად მეიშურებოდა ბოლგართა ახალგაზღობა, ვინც კი მოასწრებდა სასჯელსა და მტერს ხელიდან გასხლტომოდა. უფრო მეტად სერბიასა და განსაკუთრებით, რუმინიაში იხვეწებოდნენ. რუმინიაში სამოცეულ და სამოც-და-ათეულს წლებში მთელის ათასობით იყვნენ ბოლგარიიდან გადმოხვეწილნი.

დიდი სამსახური გაუწია რუმინიამ ბოლგართა განთავისუფლების საქმესა. აქ იბეჭდებოდა წიგნები, გაზეთები, წიგნაკები, მოწოდებანი, მერე იღუმალად ოსმალეთში შესოპქონდათ და ბოლგართა შორის მრავლად ავრცელებდნენ. ბოლგარეთიდან გადმოხვეწილნი, რა კი ოსმალებთან ბრძოლას აპირობდნენ, სამხედრო საქმესა სწავლობდნენ. ფულებსაც აქ აგროვებდნენ და თოფ-იარაღს თავს უყრიდნენ; რუმინიიდან გადმოვიდნენ ბოლგარეთში პირველნი მოციქულნი და ამბის-შემტყობნი მოძრაობისა; იქვე არდგენდნენ გუნდებსა და რაზმებსა საბრძოლველად; იქა სცხოვრობდნენ და ჰმოქმედობდნენ იმ ღრიას გამოჩენილნი მოღვა-

წენი—ლიუბენ ყარაველოვი, ქრისტი ბოეკი და  
სხვ., რომელნიც წევრად იყვნენ ბოლგარელთა  
იდუმალ ცენტრალურის სარევოლიუციო კომიტე-  
ტისა; იქავე არსებობდა სარევოლიუციო კომიტე-  
ტიცა.

3

წინა თავში ვსთქვით, „სარევოლიუციო კო-  
მიტეტი“, რომელიც ხელმძღვანელობდა ბოლგარეთ-  
ში სარევოლიუციო მოძრაობისა, რუმინიაში არსე-  
ბობდა, მართალია აქ არსებობდა მაგრამ ერთს ალაგას  
არა ჰქონდა ბინა მოკიდებული წევრნიამ კომიტეტი-  
სა სულ აქეთიქით დადიოდნენ, რადგან ამას მოი-  
თხოვდა თვით საჭიროვებასაქმის ფეხზე დაყენებისა-  
აგიტაციისა. ბევრს წევრს კომიტეტისას, როგორც  
მაგალითად ლევსკის, ბოტევს, ბენკოვსკის და სხვ.  
ჩვენა ვხედავთ ხან დუნაის გაღმა, ხან ბოლგარეთის.  
სხვა-და-სხვა მხარეს; ხან ისევ რუმინიაში, სერბია-  
შიაც კი ამოპყოფდნენ ხოლმე თავსა და სხვ.  
მაგრამ ზოგიერთს წევრს სამუდამო ბინაცა ჰქონდათ,  
მაგალითად, ლიუბენ ყარაველოვი გაზეთსა სცემდა-  
და ერთავად ბუქარესტში სცხოვრობდა; ნ. ორ-  
ბეტენოვს რუშჩუკში ჰქონდა ბინა და სხვ. ამ  
გარემოების გამო შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ  
ადგილი რამდენიმე იყო, საიდგანაც წევრებს კამი-  
ტეტთან დამოკიდებულება ჰქონდათ, და ამგვარ

ადგილებად უეპველია, ბუქარესტი და რუმინია  
ამოირჩიეს.

რადგანაც წევრები, როგორც ვსთქვით, თი-  
თქმის ყოველთვის აქეთ-იქით სიარულს უნდებო-  
დნენ და არ შეეძლოთ სხვა-და-სხვა კერძო კი-  
თხვების გასარჩევად შეკრებილიყვნენ, თვითეული  
მათგანი, სადაც უნდა ყოფილიყო, მთელს კომი-  
ტეტს წარმოადგენდა და, კომიტეტის სახელით,  
შეეძლო თავისუფლად ემოქმედნა, თუ კი წერი-  
ლობით საბუთი ექმნებოდა წევრობისა, ეს გარემო-  
ება წესდებაშიაც იყო მოხსენებული. წესდებას,  
ამ მეტად საინტერესო დოკუმენტს, ძალიან ნაკ-  
ლებად იცნობდნენ,—და ახლა გვსურს მკითხველს  
გავაცნოთ. ამ წესდების წვრილმან მუხლებს არ  
ასრულებდნენ,—ყველამ ვიცით ყოველ საქმეში  
წვრილმანებს არავინ გამოუდგება. მაინც, ამ წეს-  
დებას რომ ვკითხულობთ, ხელთ გვეძლევა ძვირფასი  
მასალა და შეგვიძლია მსჯელობა ვიქონიოთ იმაზე:  
ბოლგარელ მეთაურებს საქმე როგორა ჰქონდათ  
დაყენებული. საზოგადოდ როგორ მიჰყავდათ იგი  
საქმე, რა იყო მათი მოქმედების საგანი, რას  
ესწრაფოდნენ, რა გრძნობებითა და აზრებით  
იყვნენ ეს მოთავენი გამსჭვალულნი აქ ჩვენ  
ჩამოვთვლით მხოლოდ უფრო თავ-და-თავ და  
საინტერესო მუხლებს წესდებისას.

„ბოლგარელ სარევოლიუციო ცენტრალურ  
კომიტეტის პროგრამა:

1) ბოლგარელ სარევოლიუციო ცენტრალურ კომიტეტს საგნად აქვს: ბოლგარეთი გაანთავისუფლოს მორალურ რევოლიუციით და ხალხის აჯანყებით. როცა ბოლგარეთი განთავისუფლდება მაშინ გამოირკვევა ის-საგანიცა, თუ რა ნაირი უნდა იყვეს ბოლგარეთის მომავალი მთავრობა.

2) ამ აზრის მისაღწევად ნება-დართულია ყოველ ნაირის საშუალების ხმარება: პროპაგანდა, წიგნები და გაზეთები, თოფ-იარალი, ცეცხლი, მოკვლა ადამიანისა და სხვ.

3) ჩვენ, ბოლგარელებსა, გვსურს თანხმობით და კარგს განწყობილებაში ვიცხოვროთ ჩვენს მეზობლებთან,— განსაკუთრებით სერბიელებსა და ჩერნოგორიელებთან, რომლებიც ჩვენს მისწრაფებას და სურვილს თანაუგრძნობენ, გვსურს თანხმობით ვიცხოვროთ აგრედვე რუმინებთან, რომლებთან მჭიდროდ დაკავშირებულია ჩვენი ბედი და უბედობა და ვესწრაფვით მათთან ერთად შევადგინოთ თავისუფალი ფედერაცია.

4) ჩვენა გვსურს, ქვეყანას, ბოლგარელებით დასახლებულს, ჩვენვე, ბოლგარელები ვმართავდეთ, ბოლგარელ ხალხის ჩვეულებისა, ზნისა და ხასიათის თანახმად; ხოლო რუმინებით, სერბიელებით, ჩერნოგორებით და ბერძნებით დასახლებულ აღილების მართვის წეს-რიგი რუმინელ, სერბიელ, ჩერნოგორიელ და ბერძენთ ხალხთა ხასიათის თანახმად უნდა სწარმოებდეს.

5) თვითეულმა ერმა თავისი თავისუფლება თითონვე უნდა დაიცვას და თავისი საქმეები თვითის სურვილისამებრ ჰმართოს. სხვისას არ გვინდა შევეხოთ, ესე იგი იმას, რაც ჩვენი არ არის; ამავე დროს არც ის გვინდა— ჩვენი სხვას დაუთმოთ

6) ჩვენ სრულებით არ ვეხებით იმას, თუ რა ისტორიული უფლებანი გვაქვს, ამიტომ, დე, თითონ ერმა იზრუნოს თავისს თავისათვის; იმავე ერს ვაძლევთ უფლებას „კავშირის“ იმ განყოფილებას მიეკედლოს, რომელიც სურს: სერბიულსა, ბოლგარულსა, რუმინულსა თუ ბერძნულს; მაშა-სადამე, ახლა ჩვენთვის საჭირო არ არის საზღვრებზე ლაპარაკი ავტეხოთ. \*)

7) ჩვენთვის გვინდა თავისუფლება ეროვნული, თავისუფლება პიროვნული და თავისუფლება სარწმუნოებრივი,— ერთის სიტყვით, კაცობრიული თავისუფლება გვინდა. ამგვარივე თავისუფლება გვინდა ჩვენის მეზობლებისათვის. არ გვინდა სხვაზე გაბატონება, ამიტომ, არც ის გვინდა, სხვა ჩვენზე გავაბატონოთ.

8) ჩვენს მტრებად და მოწინააღმდეგებად იმ მახინჯ ბოლგარელებსა და ჩორბაჯიებსაცა ვსთვლით,

---

\*) იმ პროგრამაში, ეტყობა, სხვა-და-სხვა ერთა-ზერ დასახლებულ ადგილებზეა ლაპარაკი.

რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს ეროვნულს საქმეს. ყოველთვის და ყველგან მათი დაუძინებელი მტერი ვიქნებით.

9) ჩვენის მეგობრებისა და მოკავშირეების რიცხვში ბერძნებსაც ვიგულებთ, თუ თავისს პანელინურ მიზნებზე და ისტორიულ პრეტენზიებზე ხელს აიღებენ.

10) ჩვენ ბრძოლას ვუცხადებთ ოსმალოს ხალხს კი არა, ოსმალოს მთავრობას და იმ ოსმალებს, რომელნიც ამ მთავრობას იფარავენ და ხელს უწყობენ. ჩვენს მეგობრადა ვსთვლით ყველას, ვინც ჩვენს წმიდასა და პატიოსანს საქმეს თანაუგრძნობს; რა სარწმუნოებისა და ეროვნებისაც იყოს ეს ჩვენი თანამგრძნობელი — სულ ერთია“.

„წესდების“ აქ ამოწერილ პარაგრაფებიდან მკითხველი დაინახავს, რა ფართოდ და კეთილშობილურად ესმოდათ თავისუფლების იდეა ბოლგარელ რევოლუციონერებს

ამ პროგრამას გარდა მოხსენებულს წესდებაში ჩამოთვლილია მუხლები და პარაგრაფები ცენტრალურ და წვრილ სარევოლიუციო კომიტეტების დაარსების შესახებ; ჩამოთვლილია მათი უფლებანი, წეს-რიგი პირების სხვა-და-სხვა თანამდებობაზე არჩევისა და ახალ წევრების მიღებისა, საშუალებანი სარევოლიუციო მიზნის მისაღწევად, სასჯელნი და სხვა და სხვა. ცენტრალურ კომიტეტს ენიჭებოდა უფლებანი და ხელმწიფებანი „დროე-

ბითის მთავრობისა,“ ეს კომიტეტი ითვლებოდა უფროს გამგებლად აჯანყების საქმისა მოქმედების პლანებს იმუშავებდა, ნიშნავდა სარდლებს, შოულობდა საჭირო ფულს, — როცა საჭირო იქნებოდა, უფლება ჰქონოდა მოლაპარაკებოდა სხვა ერთა, როგორც მახლობელთ, ისე შორეულთ, იმავე მიზნის მიხწევას მოწადინებულთ; ბოლგრელ ერის სახელით სესხად ფული აეღო სხვისაგან, შეედგინა „კერძო სარევოლიუციო ბოლგარული კომიტეტი“ და თავისი „საიდუმლო პოლიცია“ ჰყოლოდა.

საიდუმლო პოლიციის, მხოლოდ ცენტრალურ კომიტეტის-მიერ დანიშნულის, მოვალეობა შემდეგი იყო: ა) თავისს ქალაქში იდუმალად თვალ-ყური უნდა ედევნებინა სარევოლიუციო მოღვაწეთა მუშაობისათვის და, ჩასაც შეიტყობლნენ, ცენტრალურ კომიტეტისათვის ეცნობებინათ; ბ) ყოველთვის უნდა სცოდნოდათ—საიდუმლო ფოსტა საიმედო იყო თუ არა; გ) ოსმალ ჯაშუშებისათვის თვალ-ყური ედევნებინათ, ოსმალთ პოლიციის მოქმედება არ გამოპარვიდათ და ყველაფერი ცენტრალურ კომიტეტისათვის ეცნობებინათ; დ) გაეგოთ ცენტრალურ კომიტეტის განკარგულებათ როგორ ასრულებდნენ, ვისაც მათი ასრულება ვალად ედო (თავი IV, მუხლი 18). კერძო კომიტეტები, რომელთაც დაკისრებული ჰქონდათ მატერიალურ საშუალების შოვნა და ხალხის მომზადება საბრძოლველად, ვალდებული იყვნენ

ცენტრალურ კომიტეტისათვის ეცნობებინათ: ა) მავანსა-და-მავანს ოლქში რამდენი სოფელი ითვლებოდა; ბ) თვითონულს სოფელში რამდენი მცხოვრები იყო და რა-და-რა ეროვნობისა;

გ) თვითონულს სოფელში რამდენს შეეძლო თოფ-იარალის ხმარება და, პირველ დაბახებისათანავე, საომრად გამოსვლა;

დ) იარალი რამდენი იყო და ოოგორი;

ე) ოლქში მხედართ-მთავრებად გამოსადეგი პირნი იყვნენ თუ არა, და, სახელდობრ. სად;

ვ) საჭიროების დროს რამდენი ქერი, პური. თივა, ჩალა და საზოგადოდ, კაცისა და საქონლის საკვები შეიძლებოდა მოგროვილიყო;

ზ) რამდენი სული იყო ხარი, ძროხა, ცხვარი, ცხენი, თხა და სხვ. და სხვ. (თავი IV, მუხლი 10)... მხედართ-მთავარნი, ცენტრალურ კომიტეტისაგან დანიშნულნი, მოვალენი იყვნენ: ა) შეესწავლათ ოლქის ადგილმდებარეობა; ბ) შეერჩიათ უფრო მარჯვე საომარი ადგილები და გეგმები შეეღინათ მათს გასამაგრებლად; გ) დაენიშნათ საოპერაციო და მისასვლელ-მოსასვლელი გზები... და სხვ. და ბოლოს,

დ) აღემართათ სამრო დროშა და გამოეცადებინათ მრის თავისუფლება (თავი IV, მუხლი 20).

სასჯელი წესდებაში მხოლოდ ერთნაირია დასახელებული—სიკვდილით დასჯა. სიკვდილით

დასჯის განაჩენის დადგენის უფლება ცენტრალურ  
კომიტეტსა აქვს და სისრულეში ჩუმად მოჰყავთ;  
— და, თუ საჭირო იქმნა, აშკარადაც, ყველა  
თვალწინ, — საიდუმლო პოლიციის იმ მოხელეთ,  
ვისაც წილი ხვდებათ (თავი IX, მუხლი 1—3).  
სიკვდილით კაცს შემდეგის დანაშაულისათვის  
სჯიან: როცა მტერს რასმე საიდუმლოს გაუმულავ-  
ნებს. განზრახ საერო საქმეს ხელს შეუშლის,  
საერო თავისუფლებას შეაგინებს, „სხვა ტანჯულ  
ერის უფლების დარღვევით“, როცა ხელმეორედ  
მოინდომებს ხალხის აჯანყებას ცენტრალურ  
კომიტიტის გაუგებრად და ნება-დაურთველად;  
სიკვდილითა სჯიდნენ საიდუმლო პოლიციის წევ-  
რს, როცა ეს წევრი ცეტრალურს კომიტეტის  
ბრძანებას გადადიოდა; სიკვდილით სჯიდნენ ორ-  
განიზაციის იმ მოსამსახურე პირთ, რომელნიც თა-  
ვისის საქმეს მეორეჯერ ჰლალატობდნენ; სიკვდი-  
ლით დასჯა მოელოდა საიდუმლო ფოსტის წევრს,  
რომელისამე წერილის გახსნისა თუ დამალვისა-  
თვის; ისჯებოდა აგრეთვე კასირი, თუ ცენტრალურ  
კომიტეტის ნება-დაურთველად და გაუგებრად მი-  
ბარებულ ფულიდან თუნდაც ორ გროშს დაჭხარ-  
ჯავდა (თავი XI, მუხლი 4—11).

როდის შეამუშავეს და შეადგინეს ეს წესდება, როდის შესდგა ცენტრალური კომიტეტი, ან, საზოგადოდ, რა დროდან დაიწყო ბოლგარეთში სისტემატური მუშაობა, ამის ცნობები ჩვენ არა გვაქვს. ის კი შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ეს მუშაობა 1870 წლებში დაიწყო. როგორც მკითხველიც ქვევით დაინახავს, ამ საქმის დასაწყისი ადრეულ დროს ვერ მიეწერება; 1871 წელს კი რევოლუციური მოძრაობა სდულდა და გადმოდიოდა; თითქმის ყველა ცოტაოდნად შესანიშნავ და დიდრონ ქალაქებსა და სოფლებში კომიტეტები იყო დაარსებული, რომელშიაც ცოტა თუ ბევრი რიცხვი წევრებისა ითვლებოდა.

ამ დასების წევრები რა ხალხი იყო, კომიტეტები რა და რა ელემენტებისაგან შესდგებოდა? უმეტეს შემთხვევაში ყველა ესენი იყვნენ სოფლის მასწავლებელნი, მღვდელნი, ხელოსანნი, უბრალო, გაუნათლებელი სოფლელები. ამის აშკარად დამამტკიცებელ საბუთად ის ჩაითვლება, რომ ყველგან, რამდენისამე შემთხვევის გარდა, კომიტეტების მართვა-გამგეობა სულ უპრალო, საზოგადოებაში ოდნავ შესამჩნევ პირთ ეჭირათ ხელში.

და ასეთი გმირები ბევრი იყო,—ასობით, ათასობით... მარტო იმისათვის, რომ მკითხველისათვის გაგვეცნო ცხოვრება და მოქმედება მხოლოდ ყვე-

ლაზე მეტად გამოჩენილ მებრძოლთა და წამებულთა, საჭირო შეიქნებოდა არა ერთი და ორი ტომი დაგვეწერა, თან ყოველ მხრით და გამოუტოვებლად აღვენიშნა მთელი რევოლუციური ბრძოლა. ჩვენ ასეთის დიდის შრომის აღსრულებას არა ვკისრულობთ, რადგან ამისათვის ჯერ საჭირო მასალაც კი არ არის. მხოლოდ გაკვრით ალვნიშნავთ ზოგიერთ უფრო ტიპიურ და შესანიშნავ პირთ, რომელთა სახე ისე აშკარად გამოსხანს ბოლგარეთის განთავისუფლებისათვის გამართულ ბრძოლის ველზე.

ამ პირველ წერილებს ვუძლვნით იმ გმირთა ხსოვნას, რომელთაც წილად მძიმე საქმე ხვდათ — დაწყება აქტიურის ბრძოლისა თსმალეთის ბატონბასთან, — დაწყება მაშინ, როცა ბოლგარეთში არავითარი ორგანიზაცია არ არსებობდა, რომელსაც დახმარების აღმოჩენა შესძლებოდა; დაწყება მაშინ, როცა ხალხი სრელიად მოუმზადებელი იყო და არაფრის იმედს არ იძლეოდა.

თითქმის ყველამ დასდვეს თავი, ცდამ ამაოდ ჩაუარათ, ისე რომ თავის დამონებულ სამშობლოში ერთის თავისუფლების დროშის ამართვას ვერ ეღირსნენ.

## II

### ფილიპე ტოტიშვილის გუნდი

## I

რუმინია ახალგაზღა ბოლგარელი ემიგრანტებითაა სავსე. ჩვენც აქა ვართ. 1867 წელიწადი მიმდინარეობს. გადმოხვეწილებს ერთი ფაცა-ფუცი აქვთ შემდგარი. ყველა რუმინიულ დუქანში ოსმალთ იმპერიაზე აქვთ სჯა-ბაასი; თავისუფლად, ადვილად სწყვეტენ მისს ბედ-ილბალს. ოსმალთ ბატონობის დღენი დათვლილია: ასე უნდა სწამდეს და ჰიქობდეს ბოლგარელი ახალგაზღობა, სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო სამშობლოდან მოწყვეტილი,— და სწამს კიდეცა. დიალაც, ძნელია უცხო მხარეს ძალით ცხოვრება, სამშობლოს მოშორებით, გოქმედებას მოწყურებულთათვის; დაშორებული სამშობლო თავისაკენ იტყუებს; საშინლათ უნდათ მურდალები— ოსმალები, თავიდან მოიშორონ! ასეთს გარემოებაში აღამიანს ოლონდაც სჯერა თავისი სანეტარო ოცნება; ოლონდაც ძალზე ფრთა-შესხმულია ეგ მისი ოცნება, და სინამდვილისაგან ვეღარ არჩევს!...

თითქმის ყოველ დღე დუნაიდან ახალ-ახალ გადმოხვეწილები ემატებიან; ამბობენ, სამშობლოში რაცა ხდება, და ამ ნაამბობით უფრო აღვივე-

ბენ ცეცხლს და უფრო ამაღლებენ და აღიდებენ ისედაც განდიდებულ პატრიოტულ გრძნობას ემი-გრატებისას.

—ჩვენი ძმები ოსმალეთში დღითი-დღე უფრო-და-უფრო რწმუნდებიან, ოსმალთ მთავრობას, რა-დაც უნდა დაგვიჯდეს, თავი უნდა დავალწიოთო, სხვა მეტი ლონე არ დაგვრჩენია,—თოფ-იარაღი უნდა ავისხათ და ბალკანისაკენ მივაშუროთო...

ახალ-მოსულები ასე ლაპარაკობდნენ, ცდი-ლობდნენ ახალ მეგობრების კილოზე ელაპარაკნათ, რომელნიც სამშობლოდან სანუგეშო ამბებს მოუ-თმენლათ მოელოდნენ.

—გაუმარჯოს ბოლგარელ ერს!.. სიკვდილი უსჯულოთ!..—აღტაცებით იძახდნენ ამ ამბების გაგონებაზე ემიგრანტები. და ლვინით სავსე თა-სებს ერთმანეთზე ზედიზედ სცლიდნენ, მხიარულად გაისმოდა რუმინიის ქალაქების ქუჩებზე იუნაკების ვაჟებაცური სიმღერების ხმა; უფრო გატაცებით მუშაობდნენ იმედებით გატაცებულნი ბოლგარელი პატრიოტ-იდეალისტები, და ამ კეთილშობილურის და უზადო გრძნობით გატაცებულთ ის კი ავიწ-ყდებოდათ, რომ ხალხსა, სამწუხაროდ, ჯერ ისევ მაგარის ძილითა სძინავს და მონობისაგან განთავი-სუფლებას ნაკლებადა ჰქოქრობს...—დიდ ხანს არ მოგვიხდება უნუგეშოთ და უსაქმოთ ყოფნა!—აღტაცებით გაიძახოდნენ ეს იდეალისტები,—მალე, ძალიან მალე გასთელავს ფეხებითა წელში გასწო-

რებული რაია, მუსლემანურს ნამგალა მთვარესაა, და ბოლგარეთი თავისუფალი იქნება!... ოჰ, „ბოლგარეთო, ჩემო ძვირფასო საშშობლოვ“!..

დღითი-დღე ახალ-ახალი ამბავი უარესად ატოკებდა ემიგრანტების გულს... ამბობდნენ: შევარდენივით ვაუკაც ჩერნოვორიელებს, თითქმის მთელი ოსმალთ ჯარი წაუსხამთ ტყვედ... კრიტელებს ოსმალთ ფლოტი დაუწვავთ... გენერალი იგნატიევი პორტასთან ყოველსავე კავშირსა სწყვეტს და სტამბოლიდან გადის, რადგან რუსეთს მეტის მოთმენა არ შეუძლია და არ უნდა უყუროს წმ. ჯვარის შეგინებასაო. ბოლოს, ამერიკაცა პბრაზიბს ქრისტეს სჯულის მტრებზედა და განზრახვა აქვს იარაღით შემწეობა აღმოუჩინოს ოსმალთაგან შევიწროებულ ქრისტიანებს...

აშკარაა, ყველასათვის თვალსაჩინოა, ოსმალთ საქმე ძალზე ცუდადაა, მათს ბატონობას ბოლო ეღება და განთავისუფლების ცისკარი ჩნდება მრავალ-ტანჯულ ბოლგარეთის ცის კიდურზე და სხვ!..

ასეთს დროს, 1867 წლის მაისში, სარდალი ფილიპპე ტოტიუ, 35 ყმაწვილკაცებისაგან შემდგარ გუნდით ღამე დუნაიაზე გავიდნენ ქალაქ სისტოვის ახლო... ამ გუნდმა ოსმალთ საზღვარზე გადმოდგა ფეხი თუ არა, ოსმალებმა ახალის, მანამდე უცნობის, სიტყვის ხმარებაც შემოიღეს — „კომიტა“ (მეამბოხე). ფილიპეს გუნდში ჩაწერილებს ოსმალთ მთავრობა „კომიტებს“ უწოდებდა.

და ამით აღიარა, რომ საქმე უბრალო გაიდუკებთან, ავაზაკებთან კი არა, პოლიტიკურ მოძრაობის წარმომადგენ ლებთან ჰქონდა.

ტოტიუ-სარდალი ტირნოვოში იყო დაბადებული და საქონლით ვაჭრობდა. რაღაც სულ უბრალო საქმისათვის ციხეში ჩასვეს და მთელი ქონება— ასამდე კამეჩით, ოსმალებმა წაართვეს. ამ გარემოებამ გააბოროტა ტოტიუ-სარდალი ოსმალებზედ და გადასწყვიტა შური ეძია. სატუსალოს თავი დააღწია თუ არა, მაშინვე ბალკანებისაკენ გასწია, შეუერთდა რამდენსამე ახალგაზდა გაიდუკებს და თვითონაც გაიდუკად, „ხალხის კაცად“ იქცა.

დიდი ხანი არ დასცალდა ამ ბრძოს. ოსმალთ უანდარმებმა უველანი დაიჭირეს და გასწყვიტეს; თვითონ ტოტიუ, ტყვიებით მთლად დახვრეტილი, ტყვედ წამოიყვანეს და საუკუნოდ სლივენის სატუ-სალოში დამწყვდევა გადაუწყვიტეს. ორის წლის უკან ტოტიუ ამ სატუსალოდან გამოიქცა და რუმინიაში ამოჰყო თავი. ეს იყო 1862 წელს. რამდენსამე ხანს უკან ისევ ოსმალეთში შემოვიდა. დაიამხანაგა 3—4 კაცი და მთელი ზაფხული ძველს პლანინაში გაიდუკობდნენ. შემდეგ ისევ რუმინიაში ვხედავთ ტოტიუსა. 1866 წელს კი ხელახლა გაიდუკად იქცა. ამ ხელად კი ტირნოვოს ბალკანზე ამოჰყო თავი. ამ უკანასკნელ გალაშენების შემდეგ რუმინიაში რომ დაბრუნდა, ოსმა-

ლთ მთავრობამ რუმინიის მთავრობასთან მოლაპარაკება გამართა—ეს კაცი უნდა მოგვცეთო. რუმინიის პოლიციამაც დაიჭირა, და, უეჭველია, თვისს ყაჩალობას ჩაამწარებდნენ, და ცოცხალს არ გაუშვებდნენ, ოსმალთ რომ ხელში ჩაჰვარდნოდა; მაგრამ რუმინიაში მცხოვრებ ბოლგარელთ ეს რომ შეიტყვეს, რუმინიის შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე იშუამდგომლეს—ოსმალთ ნუ ჩაუგდებთ ხელში ტოტიუსაო. მინისტრმაც შეიწყნარა მათი თხოვნა, და ტოტიუ გაათავისუფლეს...

ეს გახლავსთ მოკლედ თავსგადასავალი იმ კაცისა, რომელმაც შიშის ზარი დასცა ოსმალებს 1867 წ., როგორც ხალხის აჯანყების წინამორბედმა.

2

სანამ ოსმალეთში გაილაშქრებდა, ფილიპპე ტოტიუმ წინასწარ თავისი განზრახულება სამშობლოში მყოფ ზოგიერთ ბოლგარელებსაც გაუზიარა და დახმარება სთხოვა. სისტოვის ახალგაზღობის ერთი მცირე წრე დაპირდა, შენი რაზმი რაწამს ფეხს შემოსდგამს ოსმალეთის სახელმწიფოში, დაუყოვნებლივ შევუერთდებითო. კიდეც ამიტომ გავიდა ნაპირად სისტოვის ახლო, მოელოდდა რაზმს შემოუერთდებიანო. მაგრამ როცა სარდალი ქალაქის არემარეში გამოჩნდა და როცა სისტოველ ახალგაზღები სიტყვიდან საქმეზე უნდა გადასული-

უკნენ, უმეტესი მათგანი შიშმა აიტანა, და ტოტიუს რაზმს მხოლოდ რამდენიმე კაცი-ლა მიემხრო. ტოტიუს გუნდი ამ რამდენსამე კაცითაც მოხარული იყო, ასე ეგონა, მთელი ბოლგარელი ხალხი თანაუგრძნობს დაწყებულს საქმეს და სალამს გვაძლევსო.

მეამბოხეთა რაზმი პირველ ქალაქს მიუახლოვდა თუ არა ოსმალთ მიწაზე, მაშინადვე შველა და დახმარება აღმოუჩინეს!.. „მეტად სასიხარულო და სანუგეშო ნიშანიაო!..“ ასე ჰფიქრობდა ერთი მუქა ვაუკაც-იდეალისტებისა და ბოლგარულის აფრიალებულის დროშით (გამძინვარებული ლომი, ნამგალა-მთვარის ჩასანთქმელად განმზადებული), გულადად წინ მიდიოდა.

სისტოვს ახლოვე, რაზმს შემთხვევა ჰქონდა საზიზლარ ასმალთან ბრძოლა აეტეხნა, ხელი „ურჯულოს სისხლით“ შეეღებნა... ტოტიუმ თავისის რაზმიდან ერთი ყძაწვილი კაცი გაგზავნა ქალაქში — სისტოველ ამხანაგებს შეატყობინე ჩემი მოსვლაო, გზაში ეს ყმაწვილი საშმა თუ ოთხმა ოსმალოს მწყემსებმა ხელში ჩაიგდეს და სულის-შემაშფოთებული ძალდატანება მიაყენეს. ესევე მწყემსები თითონ რაზმსაცა ჰქედავდნენ და რაზმის ხაშველად ქალაქიდან მომავალ ახალგაზდებსაცა, და, რა თქმა უნდა, რომ დასკლოდათ, ოსმალოს მთავრობას ყველაფერს შეატყობინებდნენ. ამიტომ, ტოტიუს ამხანაგებმა გადასწყვიტეს, დავიჭიროთ

ეს მწყემსები და დავხოცოთო. თქმა და ნათქვამის ასრულება ერთი იყო... ეს პირველი სისხლი იყო ოსმალებისა, მათგან დაღვრილი.

ამის შემდეგ რაზმი შორს მდებარე ბალკანის გზას დაადგა. აქ, ბალკანში უნდა დაბანაკებულიყო და იქიდან ემოქმედნა. მეტი არ იქნება, აქვე შევნიშნოთ, რომ ტოტიუს არავითარი სამხედრო პლანი არა ჰქონდა შედგენილი; ერთი ბეჭოც არის, სიფრთხილე არ ეტყობოდა მოქმედებაში; როგორც ძველ გაიდუკს, შეგნებული არა ჰქონდა მთელი სიმძიმე, მთელი მნიშვნელობა დაწყებულის საქმისა; ამ საქმეს მსუბუქად ეკიდებოდა, ალალბედზე მოქმედებდა, როგორც წინად ჩადიოდა ხოლმე ამიტომ, საკვირველიც არ არის, ეს გალაშქრება პირველადვე ჩაიფუშა, დამარცხდა. არც ის უნდა დავივიწყოთ,— ეს პირველი ცდა იყო. ხოლო ყოველსავე ახლად დაწყებულს საქმეს, როგორც ვიცით, უქმდელად თან სდევს ათასგვარი შეცდომები და ფეხის წატეხანი.

რაზმმა რამოდენიმე ბოლგარელთა სოფელი გაიარეს. გზაზედ სურსათის საშოვნელად რომ გაჩერდებოდნენ, გარემოებათა მიხედვით, ხან იტყოდნენ,— აჯანყებულები ვართო, ხან კიდევ—სულთანის კაცებით, ფირალების დასაჭერად გამოგზავნილებით. ამასობაში, სალამო ხანზედ ვერბოვკას მოატანეს, სადაც ბოლგარელნი და ოსმალონი სცხოვრობდნენ, ერთმანეთში არეულები. შიგ სო-

ფელში შესვლა ვეღარ გაბედეს, შორი-ახლო გა-  
ჩერდნენ, სრულიად გაშლილ და უფარო ადგილას  
და აქედგან კიდევ განთიაღზე ერთს პატარა ტყემდე  
მიაღწიეს. ამ ტყეს პუსტიას უწოდებდნენ. ვისაც  
მხედრობისა რამე გაეგებოდა, ამგვარად საომრად  
დაბანაკებას უეჭველად დაუწუნებდა და ძალზე  
სახითვათოდ ჩასთვლიდა. გლეხებს გახურებული  
მუშაობა ჰქონდათ, გარშემო ყანები და ვენახები  
იყო, საითაც არ გაიხედავდით, მუშები იდგნენ...  
თხელ ტყეში დამალული რაზმი ისედაც ადვილად  
სანახავი იყო; თვითონ მეამბოხეთაც, გამოუცდე-  
ლო, ძალიან გაუფთხილებლად ეჭირათ თავი. ერთს  
მეამბოხეს წყლის სმა მოუნდა, გამოვიდა ტყიდან  
და მახლობელს წყაროსაკენ გაემართა. შეშინებით  
იქით-აქეთ იყურებოდა, ტანთ უცნაურად ეცვა;  
ყველა ამან და მისმა თოფმა ერთის ახლო მომუ-  
შავე ოსმალოს ყურადღება მიიქცია. ოსმალო მა-  
შინადვე მიხვდა—საქმე სხვა ნაირად არისო, და  
ოთხ-ამონალებ სოფელში მიიჭრა და მთელი სოფელი  
ფეხზე დააყენა.

სიტყვამ მოიტანა და შევნიშნავთ, რომ იმ  
ხანებში ოსმალეთში ხმა დადიოდა—რუსეთი ჩვენ-  
თან ომს აპირობსო; თან ოსმალთ ვერც კი წარ-  
მოედგინათ, რომ გათახსირებულს რაიას ფალიშაპის  
საწინააღმდეგოდ იარაღი აღემართა. ამიტომ, ბოლ-  
გარელი მეამბოხენი ოსმალებს პირველად „მოს  
კოველები“ და ჩერნოვორიელები ეგონათ.

სულ რამდეიიმე საათი არ გასულა, ვერბოვკაში მცხოვრებ ასმალებისგან ქუდზე კაცი, გამოვიდა შეიარაღებული და რიცხვით 100—150 კაცამდე თამამად, ვითომ-და მოსკოველებისაგან დაჭერილ ტყისაკენ გაემართნენ. ტოტიუს რაზმს კი იჭვი არაფრისა ჰქონდა და მაგარის ძილით ეძინა; უდარდელ სარდალსაც ეძინა და დარაჯსაც, თუ კი იყო დარაჯი დაყენებული. მეამბოხეთ მხოლოდ მაშინ გამოეღვიძათ, როცა მტერმა ყოველის მხრით ალყა შემოარტყა და როცა ზოგიერთს მათგანს ასმალები მოეპარნენ და თოფებიც კი ააცალეს... თუ სახეში მივიღებთ, რომ ყველანი თოფის ტარების ხამი და გამოუცდელი ყმაწვილები იყვნენ, აღვილად მივხვდებით, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მათზე მათს შორის ასმალების მოულოდნელად გაჩენა.

მეამბოხეთა უმეტესობამ თავ-გზა დაპკარგა და არ იცოდა, რა ექმნა, სანამ სარდალმა ტოტიუმ, რამოდენისამე უფრო გამოცდილ და გაბედულ მეამბოხეთა შემწეობით, მაგალითი არ უჩვენა... ასმალები და ბოლგარელნი ერთმანეთში აირივნენ... ასტყდა თავგამოდებითი ბრძოლა, ულმობელი ჩეხა... ყველაზე წინ ასმალო იათაგანების მსხვერპლი რაზმის მედროშე, ვინმე ივანე შიპჩენსკი, გახდა... დიდს ხანს არ გასტანა ასეთმა გამძაფრებულმა ბრძოლამ; მეამბოხეთა რაზმი სრულიად გაიფანტა. მტერი რიცხვით სჭარბობდა ბოლგარელებსა,

ერთზე ათი და მეტი მიდიოდა. მეტი გზა არ იყო, იქით-აქეთ დაისაჭინენ და გაქცევაში ეძებდნენ შველასა. ზოგი დახოცეს, ზოგი იქვე შეთოკეს. სხვებსა — თვალთაგან სარდალი დაეკარგათ და ზოგი დაიხოცნენ, ზოგიც, ცოტა გვიან, მტერს ხელში ჩაუარდა. თვითონ ფილიპპემ და მასთან ერთად თორმეტმა მეამბოხემ, როგორც, იყო, მოახერხეს და გაატანეს გამძვინვარებულს რაზმს მტრისასა, თან ღამის სიბნელემაც ხელი შეუწყოთ და ბალკანისაკენ გაიქცნენ.

ა.

3

პუსტიაში მომხდარი ამბავი ელვის სისწრაფით მოეფინა ახლო-მახლო სოფლებს და დუნაის სავილაიეტოს მახლობელ ქალაქებს. ბოლგარელებმა ხელი არ გაანძრიეს თავისიანების საშველად, რომელთაც აჯანყების დოოშა აღმართეს, როგორც ამას წინად ჩვენი მეამბოხენი ოცნებობდნენ; ის კი არა, შიშით გულები დაუსკდათ და ყველამ თავისი სორო მოსძებნა დასამალავად; ყველანი იმასა ფიქრობდნენ, არ დაგვწამონ, ვითომც მეამბოხეთ თანავუგრძნობთო, და გულის-ხეთქით მოელოდნენ, ოსმალები აბა რა სახით მოგვაყენებენ შეწუხებასაო.

ოსმალები ამ დროს გულ-ხელ-დაკრებილნი არა მსხდარან. იმავ ღამეს, 20 მაისს, სისტოვოსა,

პლევნასა და ტირნოვოში ადგილობრივი აღები და გარნიზონების უფროსები შეიყარნენ, სამხედრო თაბბირი ჰქონდათ და ჯარის შეკრებისათვის ჰქონდავდნენ. დაუყოვნებლით აცნობეს ტელე-გრაფით სტამბოლში, რაც ამბავი მოხდა.

მეორე დღეს სისხამ დილაზე რეგულიარულის ჯარის რიცხვ-მრავალი რაზმი აჩქარებით მიღიოდა ტირნოვოდან სოფ. ვერბოვკაში; იქითკენვე მიე-შურებოდნენ სხვა რაზმები, სხვა-და-სხვა ადგილებიდან. დამარცხებულ გუნდის დასაჭერად ზაფთიერებმა ბოლგარელებს უბრძანეს, ჩვენს ჯარს თქვენც შემოუერთდით.

ფილიპე ტოტიუს და მისს ერთს მუჭა ამხანა-გებს შორს წასვლა არ შეეძლოთ. მთელი ღამე იქით-აქეთ უგზო-უკვლოდ იხეტიალეს. განთიაღზე გაიხედეს და—თურმე ოსმალოს სოფელ გორნი-თურჩეთის არემარესაც კი არ გასცილებიან; სულ ორის საათის სავალი გზით დაშორებიან იმ საბე-დისწერო ადგილს, სადაც პირველი ომი გადაიხა-დეს. დღისით გზის გაგრძელება ყოვლად შეუძლე-ბელი იყო და, სანამ დაღამდებოდა, არჩიეს ერთს ხევში ჩაწოლილიყვნენ. მდევრებმა ისევ ღამითვე დაპკარგეს მათი გზა-კვალი და წინ გაუსწრეს ძალიან დიდს მანძილზედ... ერთი მდევრების უკან ჩამორჩენილი ბოლგარელი. მეამბოხეთ შემთხვევით, წააწყდა. მაშინვე დაიჭირეს. ამ ბოლგარელისაგან შეიტყვეს—მათს დასაჭერად რამდენი ჯარი იყო

გამოგზავნილი ან ახლა სად იმყოფებოდნენ. დაიწყეს ამ კაცთან ლაპარაკი, გამოჰკითხეს საჭირო ცნობები, მიენდვნენ კიდეცა. გამოდგა რომ მახლობელ სოფლის მცხოვრები ყოფილა. ტოტიუმ ამ სოფლის მასწავლებელთან ბარათი გაატანა: „ილაჯ გაშუცეტილ და დაყმენდილ გუნდისათვის პური, თუთუნი და სხვა რამ საჭირო, რაც იყოს, გამომიგზავნეო.“ ამ მასწავლებელს არც ტოტიუმ იცნობდა და არც მისი ამხანაგები. მაგრამ დანამდვილებით ამბობდნენ, რა-კი მასწავლებელია, უეჭველად „ხალხის კაცი“ უნდა იყოსო. არც მოტყუებულან. ოსმალნი მართალს ამბობდნენ,— მასწავლებელნი მეამბოხეთა მარჯვენა ხელნი არიანო, — სწერს ამ ამბის გამო ზ. სტოიანოვი.— მასწავლებლები და მღვდლები რომ არა ყოფილიყვნენ, ღმერთმანი, არ ვიცი, უიმათოდ რაღას გაარიგებდნენ ლევსვი, სტამბულოვი, ბენკოვსკი და სხვ.!!!.

სარდლის ბარათი რომ მიიღო, კირო პეტროვიჩმა \*)— მასწავლებელმა,— ვერ გაპბედა დამალულ

\*) კირო პეტროვიჩი ერთი თავგამოდებული და დაუღალვაწე იყო განთავისუფლებისათვის ბრძოლის ლროს; ამასთან პოეტიც იყო. 1876 წელს დაიჭირეს, თოფით შეიარაღებული, და როგორც აჯანყებაში მონაწილეს, საუკუნო ციხე გადაუწყვიტეს. როცა სასამართლოში განაჩენის მოსასმენად მიიყვანეს, მოსამართლეთ უშიშრად გამოუტადა: ნამდვილად მეამბოხე ვარო, აჯანყების ღროშა მე აღმართევით, ოსმალებისა არ მეშინიანო და სხვ. და სსვ. ეს გამბედაობა სიცოცხლედ დაუჯდა: ტურქოვოში ჩამოახრჩეს...

გუნდთან თვითონ წასულიყო. მინდორში რომ  
დაენახათ, მაშინათვე იკითხავდნენ აქ რას დაე-  
ხეტებაო, ეს ერთი; მეორეც ასეთ საშიშ დროს,  
უეპველია ვინც დაინახავდა, ეჭვის თვალით დაუ-  
წყებდა ყურებას. მაგრამ არც მამულისათვის მებრ-  
ძოლ ძვირფას იუნაკების დაგდება უნდოდა უმწეოდ  
ერთს თავის მეგობარს სოფლელსა სთხოვა ფილი-  
პესთან წასულიყო და საჭირო ხორავი წაეღო.  
სოფლელმაც ტოტიუს ყველაფერი წაუღო. ამავე  
სოფლელმა გუნდს ასწავლა მარჯვე და უშიშარი  
გზა ბალკანისაკენ. გუნდიც დაუყონებლივ დაადგა  
ამ გზას... სამშვიდობოს ველარ გააწია.

ის ადგილები, სადაც გუნდს მალულად უნდა  
გაეარა, სრულიად დაცემული და გაშლილი იყო;  
ყველა მხრით მდევარნი დაძრწოდნენ; გზაზე მდე-  
ბარე სოფლების მცხოვრებთაც გაგებული ჰქონდათ,  
გიაური-კომიტები გაჩენილანო.—ამიტომ ჩვენი  
მეამბოხენი იძულებულნი იყვნენ ყოველს ნაბიჯზე  
პასუხი გაეცათ მდევრებისათვის და გზაში დაეგდოთ  
უპატრონოდ ზოგი სასიკვდილოდ დაჭრილი და  
ზოგიც მკვდარი ამხანაგი. თან, მეამბოხეთა შორი-  
საც უთანხმოება და განხეთქილება ჩამოვარდა. ზოგიერთებმა დრტვინვა დაიწყეს ტოტიუზე. აქაო-  
და სიფრთხილე გვმართებსო, წყლის სასმელად,  
არ გვიშვებსო!.. ბოლოს, გუნდს თავის-ნებით  
სხვებიც ჩამოეცალნენ, რომ ერთს წყაროსთან  
წყურვილი მოეკლათ და დაესვენათ. აი, სწორედ

აქ წამოესწრნენ ოსმალები და ამოუუჯეს...

ძველს პლანინაში რომ ჩავიდა, ტოტიუს  
მხოლოდ ოთხი ამხანაგი-ლა ჰყავდა. ოთხი კაცით  
ბრძოლის გაგრძელებაზე ლაპარაკიც კი მეტი იყო.  
ხოლო სოფლელებიდან ძე-ხორციელი არა ჩნდე-  
ბოდა მათს მომხმარედ. ამიტომ, ჩვენს სარდალს  
ერთი-ლა რჩებოდა - რუმინიაში გადასულიყო, და  
ისიც დაეშურა ამ ქვეყანაში ეძებნა ხსნა...

დანარჩენი მისი სიცოცხლე საინტერესოს  
არას წარმოადგენს. ამ ჩვენგან აწერილ გაცუდე-  
ბულ ბრძოლის შემდეგ ტოტიუ რუმინიდან  
ადესაში გადავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ადესიდან  
ისევ რუმინიაში გადავიდა, სადაც, შემდეგში,  
განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობას  
არავითარს არ იღებდა; მის ძველ მეგობარ, ერთს  
ღროს სახელ-განთქმულ სარდალ პანაიოტ ხიტო-  
ვისავით, ცოტა არ იყოს, ცუდს ცხოვრებას ეწე-  
ოდა. თუ არა ვსცდებირ, ტოტიუ დღესაც ცო-  
ცხალია,—1884 წელს კი როცა რუშჩუკში დაე-  
სახლა, ცოცხალი იყო.

მისის გუნდისაგან, როგორც დავინახეთ,  
ძალიან ცოტანი გადარჩნენ. ზოგნი ბრძოლაში  
დაიხოცნენ, ზოგნი ოსმალთ ცოცხლები ჩაუვარ-  
დნენ ხელში და სამშობლოს მიწა-წყალზე ჩამო-  
ახრჩეს,—ზოგი ჩისტოვოს, ზოგი რუშაუკსა, ზოგი  
ტირნოვოში და სხვ. და სხვ.

ოსმალეთი ტოტიუს რაზმის გაწყობას არ დასჯერდნენ. პუსტიის ტყეში ბრძოლის შემდეგ, მთელი ორმოცი დღე ოსმალთ ჯარები ახლო-მახლო სოფლებში იდგნენ. რა თქმა უნდა, მთელი ეს ხანი, ბოლგარელების ხარჯითა სცხოვრობდნენ. სოფლელთ ხშირად მუშაობაზე ხელს ალებინებდნენ და კომიტების საძებრად ჰლალავდნენ... ბოლგარელების ტანჯვითა ქვანიც კი იცრემლებოდნენ... მთელი გზა ტოტიუს რაზმისაგან გავლილი, მოფენილი იყო ოსმალთ მტარვალობისა და მხეცობის მსხვერპლითა. ერთი ბეჭო იჭვი ჰქმაროდა, რომ ბოლგარელისათვის დაეწამებინათ — მეამბოხეთ თანაუგრძნობ და ხელს უწყობო. ასეთს იჭვ-მიტანილს მაშინვე იჭერდნენ. აქ ვაჭარი ჩამოახრჩეს, — გამვლელ იუნაკებს ხორავი რად მიეციო; იქ სხვა სოფლელებთან ერთად ციხეში მლვდელი ჩაგდეს, — კომიტებს ასე გულმხურვალედ რად დაუხვდიო!.. ერთს დედა აუტირეს, იმიტომ რომ კომიტებს ახლო გაუარეს და გზა ასწავლეს; მეორენი ციხეებში ლპებოდნენ, ამიტომ რომ ჩეტების მოსვლა იცოდნენ და მთავრობას კი არაფერი გააგებინეს; მესამენი საშინლად ჰგვემეს და, ცოტას გაწყდა, სარჩობელაც არ აჩენეს, იმიტომ რომ ვითომუ გაეხარდათ იუნაკების გუნდის გამოჩენა ოსმალთ მიწაზედა; სხვები მარტო იმიტომ იტანჯებოდნენ,

რომ გამძვინვარებულ მტერთ ხელში ჩაუვარდათ... მარტო სისტოვოდან, რომლის მიღამოში, როგორც მკითხველს ახსოვს, ოსმალთ მწყემსები დაიხოცნენ, დიამბექირში დასამწყვდევად ოც და ათამდე კაცი გალალეს, ყველაზე უფრო განათლებულნი, მაშა-სადამე, უფრო საშიშნი. ესენი ერთმა შეშინებულმა ამხანაგმა გასცა. ყველანი მამულის მოყვარეობაში გაამტკუნეს. სისტოვს ზოგიერთ მცხოვრებთ თავიც დასდვეს ამ გრძნობისათვის .. ოსმალებმა დამონავებულებზე გაიმარჯვეს. ბოლგარელებს შიშის ზარი დაეცათ,—რა გვეშველებაო!—„დიდალი ხალხი ეწამა მაშინ ღვთის გულისათვის და ერის თავის-უფლებისათვის“,—ამბობს დატოვებულს წერილებში ზემო-დასახელებული კირო პეტროვიჩი, რომლის თვალ-წინ ისე მწარედ დამარცხდა ტოტიუს რაზმი. — ოსმალნი ისე თავის დღეში არ გაათორებულან. დღე და ღამე ფილიპე ტოტიუს სახელი ეკერათ პირზედა... ყველა ბოლგარელს, ცოტა-ოდნად შეგნებულს და განათლებულს ტოტიუს ეძახდნენ...

ტოტიუს რაზმს თვალსაჩინო ნაყოფი, მართალია, არ მოუტანია. ტოტიუ და მისი ამხანავები თავ-გამოდებით და ვაჟ-კაცურად იბრძოდნენ, გარნა გულის წადილს ვერ ეწივნენ, ბოლგრაელები ოსმალთ წინააღმდეგ ველარ ააჯანყეს, ოსმალ ბატონობის ნიადაგი ვერ შეარყიეს. იუნაკებმა მარტო თავისი სიცოცხლე შესწირეს, თავისი სისხლი და-

პლვარეს მშობელ მიწაზედა თავისის ერის თავისუფლებისათვის; ხოლო ერს კი მწარე ხვედრი ვერ შეუმსუბუქეს. სამაგიეროდ ჩვენ-მიერ მოთხრობილს ამბავს ძლიერ დიდიზნეობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. თავ-განწირულმა გალაშქრებამ ტოტიუს რაზმისამ დიდი, დაუვიწყარი შთაბეჭდილობა მოახდინა, როგორც ბოლგარელებსა, ისე ოსმალებზედა; პირველად ამათ გაპბედეს აჯანყების დროშის გაშლა ოსმალთ იმპერიის ბოლგარელ პროვინციებში, და ოფიციალურად პირველად იმათ უწოდეს **კოშითები**, მართალია, ამ მოციქულებმა განთავისუფლებისამ სისხლი დაღვარეს, სიცოცხლე შესწირეს მხოლოდ თავისუფლების სახელს, გარნა იმ დროისთვის ესეც ბევრი იყო. ბოლგარელ ხალხს დიდი მაგალითი უჩვენეს, ასწავლეს გზა, რომელზედაც უნდა ევლო და რომელზედაც, რამდენსამე ხანს უკან მართლაც გაიარა ამ ხალხმა. შევიწროებულ ბოლგარელთ ბრძოლის საჭიროება შეიგნეს, გამოჩდნენ გმირები და ამ გმირებს ხალხმა თანაგრძნობით დაუწყო ყურება... ყველანი ერთი-მეორეს ეუბნებოდნენ — რა თქმა უნდა, გაგონილს ყველა უმატებდა თავის მხრით ცოტა რასმე, — ტოტიუს რაზმის იუნაკების გმირობაზე, ვაჟაცობაზე; ამ ამბის გავლენით შევიწროებული მონები გონს მოდიოდნენ, მიძინებული გრძნობა თავისუფლებისა ეღვიძებოდათ, სიმხნევე ემატებოდათ. რაიცა შეეხება ოსმალებს, დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა ამ ჩევოლიუციურის ცდისა

ზედმიშვნით შეიგნეს. ამის საბუთად ისიც გვეყოფა, რომ, ხმა გავარდა თუ არა — კომიტეტები გაჩდნენ, ოსმალებმა ერთი ქოთქოთი შექმნეს, არიქა, ვიღუპებითო, და ისე ამხედრდნენ, რომ ჩეტები ერთ ლუკმადაც არ ეყოფოდნენ.

ოსმალნი ძალიან დააშინა მაშინ მცირე-რიცხოვანმა რაზმა მეამბოხეთა. ეს რაზმი, კაცმა რომ სთქვას, არც მაგრე საშიში იყო, სრულებითაც არა; ოსმალები მიხვდნენ, - რაკი საქმე იქამდე მივიდა, რომ ბოლგარელმა რაიამ გაჰპედა აჯანყების დროშის ამართვა, მარტო პირველს ცდას არ დასჯერდება: პირველს აჯანყებას სხვებიც მოჰყვება, უფრო სერიოზი და მარჯვეო...

ტოტიუმ უფრო ძალუმი და საგრძნობი შიშისზარი დასცა ოსმალთ, ვიდრე ისა და მისი ამხანაგები ჰფიქრობდნენ: მათმა ბრძოლამ ოსმალებთან, პუსტიის ახლო, ოსმალთ მთავრობას თვალები აუხილა. და უჩვენა, — ქვეშ ნიადაგი გეცლებაო... დუნაის სანაპირო პროვინციის ოსმალები კი ჰფიქრობდნენ, რომ ტოტიუ, — რომელზედაც მაშინათვე ქვეყნის ლეგენდები შექმნეს, — ხელ-ახლა მოვა და უფრო მეტს ჯარს მოიყვანს ჩვენს გასაწყობადო... იმასაც ამბობდნენ, ტოტიუ ბალკანზე არა ერთხელ ვნახევითო: ხან ამბობდნენ, ქეიფობდაო, თავისი გუნდიც მანდა ჰყავდაო, გაშლილ ტოტებიან მუხის ქვეშ, ღვინოს ქვაბებითა სვამდაო; ზოგნი ამბობდნენ, ბალკანზე ვნახევით მდევურის ნაბიჯებით დახტოდა

და ხეებს ცალის ხელით ამტვრევდაო, და სხვ. და სხვ. ამასაც ამტკიცებდნენ, ფრთები ასხია, არწივსავითო... ეტყობოდა ბოლგარელ სარდლის და მისთა ამხა-ნაგთა თავგანწირულმა ქცევამ დიდი შთაბეჭდი-ლება მოახდინა ოსმალთ გონებაზედა...

### III

#### ჰაჯი-დიმითრი და სტეფანე შარავა

##### I

ფილიპე ტოტიუმ, როგორც თავისუფლების ბრძოლის დამწყებმა, დიდად განითქვა სახელი თანამედროვეთა შორის. მაგრამ მის სახელსა და დიდებას სრულიადა ჩრდილავენ სხივნი ასპარეზზე მის შემდეგ გამოსულ სარდალთა სახელისა. ესენი იყვნენ ჰაჯი-დიმითრი და სტეფანე შარავა. ამ წერილში ჩვენ განზრახვა გვაქვს ამ ორზე ვიღა-პარაკოთ.

თანამედროვე ბოლგარელებმა, ვეჭვ, ცოტა-თიც არის, დაწვრილებით იცოდნენ ცხოვრება და მოქმედება ამ მართლა ეპიკურ გმირთა; მაგრამ მათის სახელის მაინც უცოდინარობა დიდ სირცხვი-ლად მიაჩნიათ ბოლგარეთში. მართლაც, არ არის ისეთი მივარდნილი კუთხე, მივარდნილი სოფელი, სადაც ამ სახელებს სასოებით არ იხსენიებდნენ

უბრალო სოფლელები, როგორც მოხუცნი, ისე  
ახალგაზდანი...

**ჰაჯი-დივითი** დაიბადა 1837 წელს ქალაქ  
სლივნოში. ამ ქალაქს, მცხოვრებთა დაუდგრომელ  
და ანჩხლი ხასიათების გამო, ცუდის თვალით  
უყურებდნენ ასმალები. იმდენი სახელგანთქმული  
გაიღუკები, სარდლები და, საზოგადოდ მებრძოლნი  
ოსმალთ წინააღმდეგ, ბოლგარიის არც-ერთ ქალა-  
ქიდან არ გამოსულან, რამდენიც სლივნოდან  
გამოვიდნენ.

ძველ დროის გაიღუკების სარდლებში უკა-  
ნასკნელი ადგილი, სხვათა შორის, არც ჩვენის  
გმირის პაპას, უელეზკო პალაბუიუკს, ეჭირა.  
დაუმშვიდებელი ზე და გმირული ხასიათი პაპისა-  
გან შვილი-შვილს დაჰყვა. დიმიტრი თავისუფლო-  
ბაში იზრდებოდა; ბავშვობაში საშინელი ანცი და  
დაუდევარი რამ იყო. მეზობლების ბალები, ვენახები,  
ყანები მისა და მის ამხანაგებისაგან აკლებული  
იყო ხოლმე. მამამისთან მომჩინენი ოსმალები  
ერთი-მეორეზე მოდიოდნენ.. რა თქმა უნდა,  
პატარა დიმიტრის ხშირად სტუქსავდნენ თვისის  
მოუსვენრობისათვის, მაგრამ მაინც, არა ცხრებოდა...  
ადგილობრივმა ჩორბაჯიებმა გადასწყვიტეს—ნამ-  
დვილი ავაზაკი დადგებაო, სახრჩობელა არ აცდე-  
ბაო. დიმიტრის მამასაც, რომელსაც მეწვრილმანის  
დუქანი ჰქონდა, ამასვე ეუბნებოდნენ. მშვიდი და  
ოსმალთ ერთგული ქვეშევრდომი მამა ძალიანა

სწუხდა: რა მეშველება, თუ მართლა ასეთი გა-  
მოვიდა ჩემი შვილიო, და, რაც შეეძლო, ცდას  
არ აკლებდა—ძალზე სცემდა, ეგებ მოჭკვიანდესო.  
ერთხელ ლაზათიანად დამჯავების შემდეგ,—უქმე  
დღე იყო,—ხუთის წლის დიმიტრი ყავახანას მიე-  
პარა, სადაც ჩორბაჯიები მეგობარ თსმალებთან  
ერთად ქეიფს ეწეოდნენ და ყალიონს სწევდნენ,  
ქუჩიდან კარი შეაღო, შიგ თავისი პაწია თავი  
შეჰყო და პატივცემულს საზოგადოებას დაუყვირა:  
„მამაჩემს აგონებთ — შვილი ავაზაკი გამოგივაო!..  
მაშ იცოდეთ, როცა დიდი გავხდები, ყველას  
დაგხოცავთ, ერთსაც არ გაგიშვებთ ცოცხალსა!..“

როგორც მკითხველიც დაინახავს, დიმიტრის  
ჯერ ისევ პატარაობაში ეტყობოდა, რომ გმირი  
უნდა დამდგარიყო. დადგა კიდეცა. ცხრა წლისა  
რომ შეიქმნა, ბერძნების სამოქალაქო სკოლაში  
მიაბარეს (ბოლგარელებს მაშინ სლივნოში სკოლა  
არა ჰქონდათ). სკოლაში ბავშვი ცოტა დაჭკვიანდა,  
ბეჯითად შეუდგა სწავლასა და თითქმის პირველი  
შაგირდი დადგა; მაგრამ ორის წლის უკან სწავ-  
ლაზე გული აიცრუვა, შიგ საინტერესოსა და  
სახალისოს ვერასა ჰპოვებდა, და ათასგვარის  
სიანცით და მასწავლებლების დაცინვით სახელი  
გაითქვა... საქმე იქამდე მივიდა, რომ მამა იძულე-  
ბულ იქმნა, შვილი სკოლიდან გამოეყვანა და  
დუქანში დაეყენებინა თვისს თანაშემწედ.

დიმიტრის თვალ-ყური ქუჩაზე ეჭირა და

ერთთავად თავისს ტოლებთან გიუობდა, მამის  
დუქანი არც კი ახსოვდა. ოსმალთ ბიჭ-ბუქებთან  
მოკრივეობაში ბადალი არა ჰყავდა... თან-და-თან  
უფრო-და-უფრო გაითქვა სახელი. მოკლე ხანში  
მთელი ქალაქი იყო და ჰაჯი-დიმიტრიზე ლაპარაკი.  
ოსმალთ ახალგაზღობას საშინელი მეტოქე გამო-  
უჩნდა. ოსმალთ ძალიანა სწყინდათ: რაია და  
მეტოქე!.. სად გაგონილაო!..

გარნა საქმე მარტო ყოჩალობით და ბიჭობით  
არ გათავებულა. ოცის წლისა არც-კი გამხდარა  
ჰაჯი-დიმიტრი, როცა თამამად გაილაშქრა უხსოვ-  
რის დროიდან დაწესებულ ჩვეულებისა და ადათის  
წინააღმდეგ, რომელნიც თავისუფალ ოსმალთ და  
დამონავებულ რაიას ერთმანეთისაგან აშკარად  
არჩევდნენ. ჩვენმა ყმაწვილმა კაცმა მოკლე ჯუბა  
შეიკერა, ყურთმაჯებიანი, შარვლის ბოლოზე  
რამდენიმე დუგმები შეუკვრელი დასტოვა \*),  
წელზე განიერი საჩტყელი გაიკეთა, ბოლოებ  
გაშვებული. მაშინდელს ბოლგარელს ამ სახით  
სიარული არამც-და არამც არ შეეძლო, დიმიტრი  
კი ქუჩაში თამამად დადიოდა და ოსმალებს  
თვალში ეკლად ესმოდა თავისის უშიშრობით...  
მაშინდელს დროში შარვალი, ბოლოებ შეკრული,

\*) ოსმალური შარვალი, როგორც ვიცით, თავში ძალზე  
განიერია ხოლმე და ბოლოზე კიდევ ვიწრო. ბოლო დუგმე-  
ბით იკერის და მუხლებეით ფეხზედ ვიწროდ ადგია.

მხოლოდ ოსმალოს, **თავისუფალს** კაცს, შეეძლო  
ჩაეცვა; ბოლგარელს კი, როგორც მონას, ასეთი  
თავისუფლება სასტიკად აღკრძალული ჰქონდა...  
აბა, რა თქმა უნდა, ოსმალებმა გაბრაზებით დაუ-  
წყეს ყურება შეუპოვარ რაიას: როგორა ჰბედავს.  
უხსოვრის დროიდან დადგენილ ჩვეულების უარ-  
ყოფას და ჩვენ, თავისუფალ ხალხს, თავს როგორ  
გვიყადრებსო!?!... მალე დარწმუნდნენ, რომ ჰაჯი-  
ლიმიტრი მხოლოდ იწყებდა საქმეს და მის მოსარ-  
ჯულებლად სერიოზი საშუალებანი უნდა გამოე-  
გონათ...

ლამე ოსმალთ დიმიტრისა, და მის ამხანაგები-  
საგან მოსვენება არა ჰქონდათ. ერთხელ სლივნოში,  
არავისა სმენია, ისეთი ამბავიც მოხდა: ქალაქში  
სახელგანთქმულს და თითქმის პირველ კაცს,  
ჩარბაჯია გეორგიევის, ყავახანაში ოსმალთ მაღალ-  
წოდების პირებსა და მოხელეებთან ერთად ყავის  
სმაში გართულს, „ავაზაკმა“ ჰაჯი-დიმიტრიმ და  
მისმა ლირსეულმა ამხანაგებმა შეურაცხყოფა მია-  
ყენეს და სცემეს. დიმიტრი თვისის დანაშაულობი-  
სათვის მაშინათვე ციხეში ჩააგდეს. მამა ყველას  
შეეხვეწა, ზოგიც — მამის მწყალობლების, სხვა  
გავლენიანის პირების, დახმარებით, „ავაზაკმა“  
ციხიდინ თავი გაითავისუფლა; მაგრამ ამის შემდეგ  
ქალაქში დარჩენა მაინც არ შეეძლო: ოსმალებმა  
ლაპარაკი დაიწყეს, არც აქეთ, არც იქით, — უნდა  
მოვკლათო...

მეტი გზა არ არის, ჩემს მტრებს ჩემი სახელი უნდა დავავიწყოვო,—სთქვა დიმიტრიმ და სლივნოდან ნოვაზაბორაში წავიდა. აქ მაშინდელს დროში განთქმულს მეპარომეს და ავაზაკების დამფარავს ოსმან-ბეის, მოსამსახურედ დაუდგა... ოსმალოთადმი სიბრაზითა აღსავსემ, აქ შემდეგი მოიქმედა; მეგობრის დახმარებით, ორი ოსმალო მოჰკლა, თვისის ბატონის ამხანაგი — ავაზაკები, და ოსმან-ბეის ეზოში დამალა, საღაც მთავრობამ კიდეც აღმოაჩინა მოკლულები. ოსმალთ მკვლელობა ოსმან-ბეის დაბრალდა, დაამწყვდიეს ციხეში და აქ სულიც ამოხდა კიდეცა.

ამის შემდეგ დიმიტრი ხელახლა დაბრუნდა სლივნოში, რადგან შიგ ქალაქში გაჩერება ვერ გაჰვდედა, მეველედ დადგა და ქალაქ გარედ დაიწყო ცხოვრება მაგრამ ჩუმად და მშვიდობით ეროვნება ამ მთის არწივს \*) ვერასგზით ვერ შეეძლო.

იმ ხანებში სლივნოში ახალგაზდა ბოლგარელებმა ერთი წრე დაარსეს, რომელსაც საგნად ჰქონდა შური ეძია ოსმალთ მოსამართლეთა, აღებისა, ბეიებისა და, საზოგადოდ, მოხელეებისა მათ-მიერ ჩადენილ უსამართლობისა, შევიწროებისა და შეურაცხყოფისათვის ჰაჯი დიმიტრი ამ წრეს, რა თქმა უნდა, მაშინადვე შეუერთდა... ამ შურის

\*) ქალაქი სლივნო ძველ ბალკანას ძირას არის აშენებული, სამხრეთით.

მძიებელთა წრემ, სხვათა შორის, პირველად გადასწყვიტა ბერძენი კოსტაკი მოეკლა, რომელსაც სლივენელ ბოლგარელებში ცუდი სახელი ჰქონდა დავარდნილი ოსმალთ მტარვალობის წარმომადგენელ მოხელეთა მარჯვენა ხელი ეს კოსტაკი იყო, იგივე იყო ჯაშუში და თავგასული გარყვნილი კაცი: ბოლგარელი ქალები ძალი-ძალით მოჰყავდათ ხოლმე მასთან, სადაც ეს საცოდავები ამაშფოთებელის ძალდატანების მსხვერპლნი ხდებოდნენ. ოსმალთ მთავრობა თვისის საყვარელ კაცის ამ საზიზღარ საქციელს ისე უყურებდა, როგორც ბუნებრივს რასმე, მაზე ლაპარაკიც არა ღირსო.

აი, ამ არა-კაცის მოკვლა განიზრახა ზემო-სენებულმა წრემ. თვითონ მოკვლა ჰაჯი-დიმიტრიმ იკისრა. ქალურად ჩაიცვა, თავზე ჩადრი მოიხვია და ერთ ღამეს კოსტაკის სახლის კარები დააკაკუნა. რა თქმა უნდა, შინ მაშინათვე შეუშვეს. როცა კოსტაკიმ უცნობ „მშვენიერ ქალის“ გადახვევნა მოინდომა, დიმიტრიმ დანით სასიკედილოდ რამდენსამე ალაგას დასჭრა და გაიქცა...

კოსტაკის სიკვდილმა მთელი ქალაქი ააშფოთა და პოლიცია ფეხზედ დააყენა. ბოლგარილების უბანში ორმოც-და-ათი მეტი კაცი დაიჭირეს და ციხეში ჩააგდეს. დაჭრილებში ჰაჯი-დიმიტრიც გადანიშნული მოსამართლე ალი-ეფენდიმ, იშუამდგომლა და მთავრობას განუცხადა, მკვლელობის ღამეს

ეჭვმიტანილი დიმიტრი ჩემთან მუშაობდაო, და  
გაათავისუფლეს...

კოსტაკის სიკვდილის შემდეგ დიღს ხანს არ  
გაუვლია, იგივე გუნდი, ჰაჯი-დიმიტრის მეთაურო-  
ბით, შეიარაღებული, ადგილობრივს მოსამართლეს  
დაესხა თავსა; ამ თავს-დასხმას შედეგად დიღი  
უბედურება მოჰყვა სლივნელ ბოლგარელთათვის:  
ორას კაცზე მეტი დაიჭირეს ზაფთიებმა, საშინლადა  
ჰვემეს და მერე ციხეში ჩააგდეს; ასევე დღე  
დაადგათ ჰაჯი-დიმიტრის ძმებსა და მამას, თვითონ  
კი, თუმცა გაფაციცებით ეძებდნენ, გაქცევა  
მოასწრო...

ამის შემდეგ კი სამშობლოში დარჩენა, რა  
თქმა უნდა, ყოვლად შეუძლებელი იყო ჰაჯი-დიმი-  
ტრისათვის, და აი, ისიც შორდება, ამ ხელად კი  
— სამუდამოდ. როგორც უკვე ვიცით, ამ ჯურის  
ხალხის დასამალ ადგილად ბოლკანი ითვლებოდა.  
ჩვენმა იუნაკმაც 1860 წლის გაზაფხულზე ბალკანს  
მიაშურა. ამ წლის გაზაფხული და ზაფხული  
დიმიტრიმ ერთს გაიდუკების ბრძოსთან ერთად  
გაატარა, რომელიც ძველს პლანინაში დათარე-  
შობდა, ხოლო ზამთარს რუმინიაში გადავიდა.  
აქედან, თავის შესანიშნავ გალაშქრებამდე 1868  
წელში, რამდენჯერმე გამოდიოდა ღუნაიაზე და,  
სხვა-და-სხვა სარდლების ხელმძღვანელობით, „მშვე-  
ნიერს ბალკანზე“ გაითარეშებდა ხოლმე...

მეორე ჩვენის გმირის, **სტეფანე ჭარაჯას**,  
ცხოვრება ჰაჯი-დიმიტრის ცხოვრებას ძალიანა  
ჰგავს. როგორც ჰაჯი-დიმიტრი, სტეფანეც ბალ  
კანებში \*) დაიბადა ანდრიანოპოლის ვილაიეტის  
ერთს პატარა სოფელში, 1842 წელს. ოთხის  
წლისა რომ შეიქნა, მისი მშობლები, უბრალო  
მხვნელ-მთესველნი, დობრუჯაში გადასახლდნენ.  
აქ სტეფანეს დედა მალე გადაეცვალა, მისი და  
მისის ხუთის ძმების პატრონი და მომვლელი უფ-  
როსი და ტირნა შეიქმნა. ტირნამ ცხრა წლის სტე-  
ფანე სასწავლებელში მიაბარა. სკოლაში სტეფანე  
უხეიროდა სწავლობდა, ერთავად ანცობდა და თავი  
ცუდად ეჭირა. როცა თხუთმეტი წელი შეუსრულდა,  
მისმა სიძემ, ტირნას ქმარმა ტულჩაში თავისს დუ-  
ქანში დააყენა შაგირდად. ამ ქალაქში უქმე დღე-  
ებში ჭიდაობა იმართებოდა ხოლმე. ჭიდაობაში  
სტეფანეც ერეოდა და მალე საუკეთესო ფალავნის  
სახელი გაითქვა.

აღდგომა იყო, ჩვეულებრივი ჭიდაობა გაე-  
მართნათ. სტეფანემ ერთი, მთელს დობრუჯაში  
სახელ-განთქმული ფალავანი გალახა. ოსმალთ და

\*) მეტი არ იქნება, აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ბოლ-  
გარეთის განთავისუფლებისათვის გამოჩენილი და 'შესანიშნავი  
მებრძოლთაგანი უმეტესად ბალკანიდან არიან გამოსულები.

განსაკუთრებით თვითონ ფალავანს გული მოუვიდათ: „საზიზლარმა რაიამ“ ესეთი სირცხვილი როგორ გვაჭამაო?!.. გადასწყვიტეს, სამაგიერო გადაეხადნათ სახელოვან ფალავანის გამლახავისათვის. სტეფანეს წინადაც ჩაედინა ცოტა რამ, ოსმალთ გასაბრაზებელი, ერთი დღეც იქნება, სულ ერთად ამომაშხამებენო,—ჰთიქრობდა. ახლა ფალავნის გალახვაც ზედ დაურთო“—ტულჩაში არ მედგომებაო,—სთქვა სტეფანემ და რუმინიაში წავიდა, ამ მაშინდელს დროში დევნილ ბოლგარელების აღთქმის ქვეყანაში; კიდევ კარგი, ეს ქვეყანა ასე ახლო იყო.

მთელი ხუთი წელიწადი, რაც წავიდა, მშობლებმა მისის სად-მყოფობისა არა იცოდნენ-რა. მთელი ეს დრო-ხანი სერბიაში იყო, ხან რუმინიაში, სადაც გადახვეწილ რაკოვსკის აღზნებული სიტყვები გაისმოდა თავისუფლებაზე. სტეფანემ ერთგულად მოპკიდა ხელი საერთ საქმეს; რაკოვსკის-მიერ დაარსებულ რაზმში პირველად ის ჩაეწერა, მრავალ ემიგრანტებთ შორის 1862 წელს, როცა ბელგრადს იცავდნენ ციხეში ჩამსხდარ ოსმალოს ჯარისაგან ბრძოლაში ისიც იღებდა მონაწილეობას. მასთანავე ერთს რაზმში იბრძოდნენ ჰაჯი-დიმიტრი და შემდეგში სახელ-გათქმული ლევსკი, რომელზედაც დაწვრილებით გვექნება ლაპარაკი შემდეგს წერილებში.

მშობლებს სტეფანე დაკარგულად მიაჩნდათ.

შათდა მოულოდნელად კი 1863 წელს ტულჩაში მოვიდა და მთელი წელიწადი იცხოვრა ამ ქალაქში. აქ ცხოვრების ბოლო ხანებში, ერთს უქმე დღეს ჩაჯდა ურემში შეიარაღებული, თეთრი დროშა გაშალა, ბოლგარულ სახალხო სიმღერებით, ტულჩის ქუჩებზე სიარული დაიწყო ამ სამამულის-მოყვარეობო ამბისათვის ციხეში ჩასვეს. მგრამ ციხეში დიდ ხანს არ დარჩენილა და რაღაც მანქანებით თავი გაითავისუფლა...

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ყარაჯამ განიზრახა ტულჩა ერთის თათრისაგან განეთავისუფლებინა. ქალაქში მცხოვრები ბოლგარელები აწიოკებულები იყვნენ ამ თათრისაგან. ერთს საღამოს ხალხის ამ სისხლის-მსმელის სახლს მიეპარა და თოფით სიცოცხლე მოუსპო. მკვლელი ვერ იპოვეს. იმავ ხანებში სტეფანემ ამხანაგები იშოვა და გადასწყვიტა ტულჩის ბერძენ ეპისკოპოსისათვისაც სიცოცხლე მოესპო. მაგრამ გულის-ნადები ვერ აღისრულა, რადგან მისმა მეუფებამ იცოდა სამწყსოის მისდამი სიძულვილი, და დროითვე გაფრთხილდა. რაკი ეპისკოპოსს ვერა დააკლეს-რა, ახლა ჯერი ტულჩაშივე მცხოვრებ ერთ მდიდარ მოლდოვანელზე მიდგა, რომელიც ულმერთოდა ჰყვლეფავდა ბოლგარელებსა. სტეფანესა და მისს რამდენსამე ამხანაგებს გადაშეცვეტილი ჰქონდათ გაეძარცვათ და მოეკლათ ეს სისხლის-მსმელი; მაგრამ გულის-ნადები ვერც აქ აისრულეს, — როცა თავს დაესხნენ, მოლდა-

ვანელმა სტეფანე იცნო და ოსმალოს მთავრობასთან  
დააბეჭდა, სტეფანემ ზაფთიებს თავი დააღწია;  
სამაგიეროდ ჯავრი მის სიძეზედ იყარეს: დაიჭირეს  
და საშინლად დასჭრეს. ამ ჭრილობისაგან მისი  
სიძე მოკვდა კიდეცა. არც მისი და, ტირნა, მო-  
ასვენეს და ძმის ცოდვებზე პასუხი მას აგებინეს.

სტეფანე ტულჩას გარედ გავიდა და ქვის  
სამტვრევ ადგილებში იმალებოდა. იქიდან მთავრო-  
ბას მოსთხოვა, ჩემს დას ნუ აწუხებთ, და თუ გინდათ,  
ისევ მე მომთხოვეთ პასუხიო. მთავრობა ძალიან  
მოწადინებული იყო ხელში ჩაეგდო, მაგრამ ცდამ  
ყოველთვის ამაოდ ჩაუარა... სტეფანე უამ-და-უამ  
ბინიდან გამოძვრებოდა ხოლმე და ოსმალთ აწიო-  
კებდა. სხვათა შორის, დადიოდა მახლობელ სოფ-  
ლებში და ძალით თუ ნებით ართმევდა ყველას  
ფულებს. ამ ფულებით მერე რუმინიაში თოფ-  
იარალსა ჰყიდულობდა და უფრო საიმედო ყმაწვილ-  
კაცებს ურიგებდა ადგილობრივ... ამავ ხანებში  
ჰყავდა დასი, შვიდ-რვა კაცისაგან შემდგარი და  
ბალკანში დათარეშობდა.

1864 წელს სტეფანემ ტულჩა სამუდამოდ  
დასტოვა და რუმინიაში გადაესახლა. აქედან ორჯელ  
თუ სამჯერ პატარა რაზმებით ბოლგარიაში  
გაღმოვიდა; ერთის გამოლაშქრების დროს, რაკოვ-  
სკის ბრძანების თანახმად, აზრადა ჰქონდა ტირ-  
ნოვოში ბერძენი ეპისკოპოსი მოეკლა. შემდეგ  
ცოტა ხანს უურჟევოში სცხოვრობდა და პატარა

დუქანიცა ჰქონდა. რუმინიაში 1869 წლამდე რას  
აკეთებდა,—ამაზე მეტი ჩვენ არ ვიცით....

**შარაჯა** (ოსმალურად—შველი) ამხანაგებმა  
დაარქვეს, რაღაც საოცარი მარდი იყო. ოსმალები  
ოფიციალურს მიწერ-მოწერაში,—ალბად პატარა  
ტანისა რომ იყო იმიტომ, **ჩუჩუკ-სტეფანეს**  
(პატარა სტეფანეს) ეძახდნენ.

3

პაჯი-დიმიტრიმ და სტეფანე ყარაჯამ უფრო  
სერიოზად დაიწყეს საქმე, ვიდრე ტოტიუმ. ბევრი  
სისხლიც დაღვარეს. ამ სისხლის ღვრის ამბავსაც  
მკითხველს შემდეგს თავებში მოუთხრობთ.

ფილიპე ტოტიუ ბოლგარიაში რომ მოდიოდა,  
მისი ქცევა უფრო გაიღუკის ქცევას აგონებდა  
კაცსა, ვიდრე შეგნებულის პატრიოტისას. აზრადა  
ჰქონდა, ოსმალები დაეშინებინა,—სხვა რამ სე-  
რიოზული არაფერი. ზევით დასახელებული სარ-  
დლები კი სულ სხვა რიგად მოიქცნენ. დაწყებულ  
საქმეს უფრო ფრთხილად და შეგნებულად უცქე-  
როდნენ, ვიდრე სამოქმედოდ მათზე წინად გამო-  
სულნი სარდალნი, და საქმეც სერიოზად და ფარ-  
თოდ წაიყვანეს. მათ აზრადა ჰქონდათ თავისი  
უკმაყოფილება ოსმალთ ბატონობის წინააღმდეგ  
მთელ განათლებულ ქვეყნისათვის გაეგონებინათ,  
ხალხიც თავისკენ მოემხროთ და ოსმალთ წინააღმდეგ

აეჯანყებინათ. აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სარდლები თავს არ იზოგავდნენ; მათი მომხრე ბოლგარელი ახალგაზღობაცა იმედოვნობდა — ხალხი თავს გამოიდებს და დაგვეხმარებაო. ეს ყარაჯის სიტყვებიდანაცა სჩანს. ყარაჯასა ჰკითხეს: სარდლებმა ხომ მოიმხრეთ ბოლგარელი ხალხი ოსმალეთში და ხომ იმედი გვაქვს, რომ ეს ხალხი შველას გაგიწევენო?

— ჩვენ იმიტომ მივდივართ, რომ ჩვენის სამშობლოს თავისუფლებისათვის თავები დავსდვათ... მორჩა და გათავდა... ვისაც უნდა, მოგყვეს... ვისაც არ უნდა... ღმერთმა მშვიდობა მისცეს... ძალას არავის დავატანთ.

სიტყვასა და საქმეს შორის დიდი საზღვარია ხოლმე. ეს ძველი ჭეშმარიტება ჩვენმა ჯარის შემადგენელ სარდლებმაც გამოსცადეს. პირველად დანიშნული ვადა ომის დასაწყებად, დიდი ხანი იყო, გავიდა, და მზად ,ი არა ჰქონდათ-რა- ხალხის მოგროვება, მათი საომრად მომზადება, იარაღისა და ფულის შოვნა საადვილო საქმე არ იყო... ამ მზადების დროს აქეთ-იქით წანწალმა, დარღმა და მარცხმა სტეფანე ძალიან მოსწყვიტა წელში; წელში მოიხარა, ჩამოდნა, დასუსტდა, ხველება დაიწყო, გული ასტკივდა,— მარტო აჩრდილი-ლა დარჩა წინანდელ ლომ ყარაჯისა... ძალიან ძვირად დაუჯდა ეს მზადება!.. ყველაზე მეტად საქმეს უფულობა უჭირებდა ..— „ყველამ იცის, — ამბობს ზ. სტო-

იანოვი, — ვინც მამულისათვის თავის დასაღებად ემზადება, იმას ფული გაურბისო „... სალაშქროდ თავმოყრილი ახალგაზდა კაცები მოუთმენლად მოელოდნენ ომის დაწყებას და ყარაჯას მოსვენებას არ აძლევდნენ — როდის დავიწყებთო?.. ყარაჯა ამ სულწასულებს თითქმის თვალ-ცრემლმორეული ემუდარებოდა: — ძმებო!.. თქვენ მაინც თავი დამანებეთ!.. ამდენ დავიდარაბაში გული გადამელია... ურუევიდან ბუქარესტში, ბუქარესტიდან სხვა ადგილში ხეტიალს ვუნდები, ხან ერთს მდიდარსა ვსოთხოვ და ხან მეორესა — ერთი რევოლუცი მაინც მიყიდეთ-მეთქი...; დამპირდებიან, — გიყიდოთო გაიხედავ, კაცი გროშსაც არ იმეტებს;. . ამავე დროს ყველას ეს-ლა აკერია ენაზედ: “პატრიოტი ვარ”, „ხალხი მიყვარსო“... თუ ერთს თვეს კიდევ გასტანა ფულის მოგროვებამა, მგონი, ჭლექმა თან გადამიტანოს... ცარიელი დაპირება-ლა გესმის, გატყუვდენ — „ლმერთო შენითაო“.. საქმეზე კი არაფერი გამოდის!..

რაკი დარწმუნდნენ, მარტო თხოვნითა და მუდარით ვერაფერს გავხდებითო, საქმის მოთავეებმა გადასწყვიტეს სხვა რამ საშუალება ეხმარნათ ნიშანში ერთი მდიდარი ვაჭრის ცოლი ამოილეს, რომელსაც ოცი პარკი ოქრო ჰქონდა. ერთი პარკი მოჰვარეს, შიგ ათასი ოსმალური ლირა იყო (10,000 მანეთზე შეტი) ამ ფულით რაზმს თოფ-იარალი უყიდეს... ამ რაზმში ჩაეწერნენ უფრო გულადი

და თავგამოდებული ემიგრანტები, რუშებუში  
მცხოვრებნი და, სხვათა შორის, 45 კაცი ბოლგა-  
რელ ლეგიონისა, რომელიც იმ წინახანებში სამ-  
ხედრო საქმეს სწავლობდა ბელგრადში და, სერბიის  
მთავრობისაგან დევნული და შევიწროებული,  
რუმინიაში იმალებოდა. ჰაჯი დიმიტრისა და სტე-  
ფანე ყარაჯის მეთაურობით შედგენილი მამაცი  
ჯარი სულ ახალგაზდა კაცებისაგან იყო შემდგარი,—  
ზოგი ოცის წლისა არც-კი იყო. 30 წელს გადა-  
ცილებული მხოლოდ 12 კაცი ერია, ხოლო 40  
წლისაზე მეტი ერთი-ლა იყო. თვითონ სარდლებიც  
ძალიან ახალგაზდები იყვნენ: ჰაჯი დიმიტრის, ის-  
ის იყო, 30 წელი შეუსრულდა, ხოლო სტეფანე  
ყარაჯას — 26 წელიწადი...

რის ვაი-ვაგლაბით მოემზადნენ და ჯარს ბრძა-  
ნება მიეცა — გზას შეუდექითო. ყველანი ერთს  
ადგილას უნდა მოგროვილიყვნენ, დუნაის ნაპირას,  
ურუევოს ახლო, სადაც მეომრებს კარგა მო-  
ზრდილი იალქნიანი გემი ელოდებოდა, ერთის  
ბერძნისაგან დაქირავებული, ვითომც ხე-ტყის წა-  
სალებად...

მოსულებმა დიდის აღტაცებით მოისმინეს  
ყარაჯის სიტყვები, რომელმაც უამბო, რომ ჯარში  
4,000 — 5,000 კაცზე ნაკლები არ გვეყოლებაო.  
ამდენმა ემიგრანტებმა რუმინიაში მართლაც პირობა  
მისცეს სარდლებს ჯარში გავალთო, მაგრამ, რო-  
ცა დრო დადგა - ხალხის სიყვარული საქმეზე დაემ-

ტკიცებინათ, ამდენის ხალხისაგან პირობა მხოლოდ  
მცირე ნაწილმა შეასრულა... დანიშნულ ადგილზე  
მხოლოდ 125 კაცი-და მოვიდა. დანარჩენები რუ-  
მინიის დუქნებში დარჩენ — სამშობლოს აქედან  
ვიხსნითო... სხვათა შორის, დაპირდნენ — ჯარს  
შემოვუერთდებითო — მოხუცი სარდლებიცა: პანაიო-  
ტი ხიტოვი და ფილიპე ტოტიუ, მაგრამ რაღაებიც  
მოიმიზებეს და არ მოვიდნენ. პირველი მათგანი  
ამბობდა, ომში წავალ; თუ ჩვენს ჯარში, სულ  
უკანასკნელი, 1000 კაცი იქნება, კარგად შეიარა-  
ლებული, თუ ზარბაზნები და ფულები გვექნებაო  
და სხვ.-და-სხვ... ტოტიუ მეტსაც თხოულობდა:  
„ფული და ზარბაზნები ხომ გვინდა და გვინდაო,  
ჯარიც 20,000 კაცისაგან უნდა შესდგებოდესო!..  
თუ ასე არ იქმნა, ადგილიდან არც კი უნდა დაი-  
ძრას კაციო.“

— მიჰქარავენ! ბარემ ეგა სთქვან — ომისა გვეში-  
ნიანო! — მწარედ გაიძახდა ყარაჯა, ძველ სარდლე-  
ბის ნათქვამები რომ ესმოდა.

4 მკათათვეს 1868 წ., მოუთმენლად ლოდინში  
მყოფ ჯართან ორივე სარდლებიც მოვიდნენ.  
ნაღვლიანად გადაავლო თვალი სტეფანე ყარაჯამ  
მცირე ჯარს. იმედი კი სულ სხვისა ჰქონდა: —  
ათასობით გვეყოლება მეომრებიო.

— ძმებო! — სთქვა ყარაჯამ მიუბრუნდა რა თავისს  
მეომრებს, ღმერთმა მაგიერი მიაგოს ჩვენს მდიდ-  
რებსა და ჩორბაჯიებსა!.. იმათ გაგვიფუჭეს საქმე...

ცოტანი ხართ, ძმებო! მაგრამ ჩვენმა სიცოტავეშ  
არ უნდა შეგვაშინოს და ჩვენს დამონავებულს  
სამშობლოში შესვლაზე ხელი არ უნდა აგვალები-  
ნოს... ჩვენი აზრი ის კი არ არის, ვითომ ცარე-  
გრადის დაპყრობა გვეწადოს; არა, ჩვენს ძმებს,  
ბოლგარელებს, უნდა ვუჩვენოთ სამშობლოსათვის  
თავის დადება როგორც უნდა! მართალია, ისე  
ცოტანი ვართ, რომ ხსენებადაც არა ვლირვართ,  
მაგრამ ჩვენს მცირე ძვლებსაც შეუჭლაა სა  
ბლოს რაშიმე გამოადგეს!..

— ბოლგარეთს გაუმარჯოს!.. სარდლებს გაუ-  
მარჯოს!.. სიკედილი მტარვალთ! — გაისმა ყარაჯის  
კეთილშობილურ და გრძნობით სავსე სიტყვაზე  
პასუხად.

ამის შემდეგ მწერალმა გულდასმით დასთვალა  
მეომრები, სახელი და გვარები ჩაიწერა; ათის-თავები  
და ორიც დროშიონები აირჩიეს; აფრიალებულ  
დროშის ქვეშ სარდლების გადაჯვარედინებულ  
ხმლებზე იქ დამსწრეთ დიდის მოწიწებითა და  
კრძალვით ფიცი დასდეს „სამშობლოს ერთგულე-  
ბაზედ“; მეომრებმა საომარი ტანისამოსი ჩაიცვეს,  
შეიარაღდნენ, ზურგზე ზურგსაკიდები და პარკები  
კადაიგდეს სურსათით და ზოგიერთ, ომში საჭირო,  
აივთებ-ჩალაგებულები, და იმ ადგილისაკენ გაე-  
სართნენ, სადაც დაქირავებული გემი იდგა.

— ამ „ხე-ტყის“ გადასაზიდად დაიქირავეთ ჩემი  
ეგმი!?!... — დაიღრიალა გემის პატრონმა ბერძენმა,

როცა თოფუ-იარალში ჩამსხდარი ჯარი დაინახა: მაგრამ ამ დროს რევოლუციის ტუჩი დაუმიზნეს და იმანაც ხმა ჩაიწყვიტა და არჩია ბეჭს დამორჩილებოდა.

განთიადისას ჯარი პატარა კუნძულზე გაჩერდა; მთელი დღე აქ გაატარა, ბუჩქებში დამალულმა. შებინდდა თუ არა, მდინარეს მიადგა, და, სიბნელეში, ოსმალთ ნაპირზე გავიდნენ... შიშისაგან კანკალ-ავარდნილ ბერძენს რამდენიმე ოქრო მისცეს და მშვიდობით გაისტუმრეს; მეომრებმა მაშინვე თოფით ხელში გზას დაუწყეს ძებნა... ჩვენც იმათს კვალს მივსდიოთ, მკითხველო, მათის კეთილშობილურის სისხლით მორწყულს.

4

— ვინ არის! — ბნელაში, მაღალს ნაპირიდან, მუქარით დაუყვირა ოსმალოს სანაპიროს დარაჯმა, რა-კი რაზმი ნაპირად გავიდა.

— მოვალთ და მაშინ გაჩვენებთ, ვინცა ვართ! — ოსმალურად დაუძახა ყარაჯამ.

ამდროს ნაპირიდან თოფი დასცალეს. ყარაჯამ ნიშანში ამოიღო ბნელ სივრცის ის ადგილი, სადანაც თოფის დაცლის დროს ინათა, და მტერს ჰასუხად ტყვია გაუგზავნა. ოსმალო-დარაჯი ლრიალით მიწაზე დაეცა ამ ყვირილისა და თოფის ხმაზე დარაჯის ამხანაგები მოიჭრნენ და ნაპირზე მდგარ

იუნაკების რაზმს თოფის სროლა დაუწყეს. მაგრამ ბოლგარელები გაუმაგრდნენ და რამდენიმე კაციც დაუჭრეს. დარაჯებმა გაქცევა იკადრეს, თან ლრიალი ასტეხეს გვიშველეთო! ახლო-მახლო ღამე ყანებში დარჩენილი მომკლები და მთიბავები გამოაღვიძეს, მთელის დუნაის ნაპირის დარაჯებიც ფეხზე დააყენეს. ამასობაში რაზმი, ყარაჯის მეთაურობით, წინ მიღიოდა. მაგრამ გზა დაეკარგათ და მთელი ღამე ჭაობებში უგზო-უკვლოდ ეხეტნენ... მხოლოდ განთიადისას დაადგნენ რიგიანს გზასა; შორიდან ცის კიდურზე ბალკანიც გამოჩნდა და ამათაც ამისაკენ გასწიეს.

თანამემამულეთ პირველმა შეხვედრამ ჩვენი რაზმი ვერ ანუგეშა კვირა-დღე თენდებოდა. ამ დღეს ბოლგარები, ჩვეულებრივ, არა მუშაობენ. მაშინ კი გზაზე მძიმედ მიმავალ ქალებისა და ბავშვების გროვას, სამკალ იარაღებიანს, ორი ოსმალო მიელალებოდა, თან რამოდენიმე, ურმებში შემბული, წყვილი ხარი მოუდიოდათ. გროვა სევდიან, გულის მომკვლელ სიმღერას ამბობდა. ჩვენმა იუნაკებმა გამოიკითხეს და გაიგეს, რომ ესენი მახლობელ სოფლის აღას გამოერეკა თავის პურის სამკალად. ამგვარად, ჩვენი იუნაკები პირველშივე წააწყდნენ თავისის ხალხის მონობის ნიშნებს... ძარღვებში სისხლი აუდუღდათ.

— ახლავ უკან დაბრუნდით! — უბრძანა გაოცებულ ხროვას მონებისას ყარაჯამ; თვითონაც

თავისის რაზმით უკან დაედევნა სოფელში, რათა სამაგალითოდ დაესაჯა აღა, — ბოლგარელების ამგვარად წვალებაზე ხელი აელო! მოულოდნელ სტუმრების მოსვლაზე, აღას გამოელვიძა, სცადა წინაალმდეგობა გაეწია, მაგრამ, რა დაინახა, რევოლვერები დამიმიზნესო, თითო მოიკაკვა და ყარაჯსა და მისს ამხანაგებს დაელრიჯა — შემიბრალეთო!.. ამასობაში რაზმი მწყობრად დადგა. სოფლის შეუადგილას, მოედანზე, გარს სოფლელი ბოლგარელები შემოეხვივნენ და ლოცვა-კურთხევით ხსენება დაუწყეს სისხლის-მსმელის, — აღის, ხელიდან განთავისუფლებისათვის... რაკი გაიგეს, სოფელში მღვდელიც არისო, ყარაჯამ ბრძანება გასცა მოეყვანათ, რომ დროშა ეკურთხებინა. მაგრამ შეშინებული მღვდელი დაიმალა და ვეღარ იპოვეს.

— არა უშავს!... მღვდლის დაულოცავადაც შეგვიძლია მტრებს ვეომოთ! — სთქვა ყარაჯამ და რაზმს უბრძანა გზას გასდგომოდა. რაზმმა აღას იარაღი, რამდენიმე ურემი და საუკეთესო ცხენები. წაართვა და სოფლიდან გავიდა; წინდაწინ ფიცი ჩამოართვა, დღეის უკან სოფლელები არ შეაწუხოვო.

მკათათვის პაპანაქება სიცხეში აჯანყებულთა რაზმი აღნიშნულ გზაზე უხითათოდ მიღიოდა მთელი ორი საათი. შეუადლისას სოფელი ყარაესენის ვენახებს დაუახლოვდნენ. ამ დროს რამდენიმე მხრიდან შეიარაღებული ოსმალები გამოჩნდნენ, — გარშემო სოფლებიდან საჩქაროზე მოგროვილიყვნენ,

რომ უცნობ ხალხს დასდევნებოდნენ. მაშინადვე წინასწლის რაზმი მოიგონეს ტოტიუსისა და სთქვეს, ესენიც მათი მსგავსი საშინელი „კომიტები“ (კომიტეტის წევრები) იქმნებიან.

მტრის მოახლოვების გამო, ყარაჯას რაზმი იძულებული შეიქმნა ურმები და ცხენები გზაზე დაეყარა. და თვითონ კი ვენახში დამალულიყო...

ამასობაში ქალაქ სისტოვის მხრიდან ცხენოსან ზაფთიების რაზმი მოიჭრა. საათიც არ გასულა, რომ სიცხისა და წყურვილისაგან ილაჯ-გაწყვეტილ იუნაკებს ოთხისავე მხრიდან მტერი შემოერტყა... მეტად ცუდს დღეში ჩავარდნენ... ნელ-ნელა ომი გახურდა... ვენახში ტყვია სეტყვასავით მოდიოდა; იუნაკებს მაინცა და მაინც ბევრი არა უშავდებოდათ-რა. ესენი ტყვია-წამალს ძალიან იზოგავდნენ და ყოველთვის ჯერ ნიშანში ამოილებდნენ, მერე ისე ისროდნენ, თანაც ჩწყობრად, ისე რომ მტრებს დიდს ზარალს აძლევდნენ და ვენახთან ახლო არ უშვებდნენ.

ომი მთელი ხუთი საათი გაგრძელდა, შეუწყვეტლივ; ოსმალთ სულ ახალი და ახალი ჯარი ემატებოდა... ყარაჯას რომ იმდენი მხნეობა და თავგამოდებული მამაკობა არ გამოეჩინა,— ამბობდა მერე ერთი ამ ბრძოლაში მყოფთაგანი,— ჩვენ, უეჭველია, ამ პირველ ბრძოლასაც ვეღარ გავუძლებდითო...

ლამდებოდა; დედა-მიწას სიბნელე ეფარებოდა... ოსმალთა სთქვეს, რაკი დაბნელდა, იუნაკები ვენახიდან გამოვლენ და ბალკანისაკენ წავლენო ამიტომ ამ მხრით გამაგრდნენ და ლოდინი დაუწყეს. ამ გარემოებით რაზმმაც ისარგებლა: უკან, დუნაისაკენ დაბრუნდა, მტერს გვერდით აუარა და საჩქაროზე მთებისაკენ მიმავალ გზას დაადგა. ბრძოლის დროს ვენახს ამოფარებულ იუნაკებს იმ დღეს დიდი ზარალი არ მოსვლიათ: მხოლოდ სამი კაცი მოუკლეს და ხუთიც, ვენახიდან გამოსვლის დროს, როგორლაც შიგ ჩარჩა და მეორე დღეს ოსმალთ გაულიტეს.

უხიფათოდ და შეუსვენებლივ მიღიოდა რაზმი მთელი ლამე. განთიადისას, დამშეულმა, დაქანცულმა და ილაჯ-გაწყვეტილმა იუნაკებმა ერთ ახალ აყრილის ტყით დაფარულ სერს მიატანეს და ამ ტყეში ისე შეჰვევეს თავი, რომ არავის უნახავსთ. არ იცოდნენ, დღისით რა გადახდებოდათ, ამიტომ სარდლებმა რაზმი შეასვენეს... ჩეტელები (რაზმის წევრები) ისე იყვნენ მოწყვეტილები, რომ მაშინათვე მწვანეზე დაეყარნენ და დაიძინეს მკვდრებსავით.

დიდ ხანს კი არა სტკბებოდნენ ძილითა. საიდანლაც, იქავ მინდორზე ორი გამოქცეული ხარი გამოჩნდა, უკან პატრონი მოსდევდა - ოსმალო. ხარები პირდაპირ ტყეში შემოიჭრნენ, სადაც კომიტები იყვნენ; ოსმალოც შემოჰყვა. მაგრამ, საუბედუროდ, ველარ დაიჭირეს; ხეებ შორის

შეიარაღებული ხალხი შენიშნა თუ არა, ელვის  
სიმალეზე თვალთაგან მოეფარა ჩეტელებს, გა-  
ბობლდა ბალახში, ტყეს კარგა მანძილზე მოშორდა  
და მერე, მუხლებში რაც ძალა ერჩოდა, მახლო-  
ბელ სოფლისაკენ გამოექანა და ხალხი ფეხზე  
დაყენა.

ერთი საათიც არ გასულა, იუნაკების რაზმი  
საომრად მოემზადა, იმიტომ რომ სარდლებმა გა-  
დასწყვიტეს, აქედან წასვლა გვიან-ლაა და, აქედან  
რომ გავასწროთ კიდეცა, იქნება ამაზე უკეთესი  
საფარი ველარც კი ვნახოთო დიდი ხანი არ  
გასულა, ტყიდან სერს დაბლა მდებარე მინდორს  
ოსმალთ ხროვა მოეფინა; აქვე მოასწრეს გუშინ-  
დელმა მდევრებმა და ზაფთიებმა, ასე რომ მტრის  
რიცხვი სამჯერ მეტი მაინც იქმნებოდა, ვიდრე  
წინა დღით იყო... ცუდს დღეში ჩავარდა იუნაკე-  
ბის რაზმი; ეგ არის, სიკვდილი არ აგვცდებაო,  
და სახელოვნად მაინც დავიხოცნეთ, ჩვენი სი-  
ცოცხლე ძვირად გავიმეტოთო, გადასწყვიტეს იუნა-  
კებმა. (ჭაბუკებმა).

— მმებო! — შესძახა ჰაჯი-დიმიტრიმ, — მტერი,  
საცაა, თავს დაგვესხმის .. ჩვენზე მეტად ლონიერია,  
მაგრამ ამას ნუ ვუყურებთ! ვაუკაცურად დავიხო-  
ცნეთ ერის თავისუფლებისათვის! ჩვენი თავი  
დავსდვათ, სამაგიეროდ ბედნიერი დღე გავუთენოთ  
სხვებსა!.. მანამ იბრძოლეთ, სანამ შეიძლოთ!..  
დღევანდელი დღე არამც თუ მარტო ჩვენთვის

იქმნება სანახსოვრო, არამედ მთელის ბოლგარეთის-ხალხისათვისაც... ბევრი დედები დაპლვრიან დღეს-მდუღარე ცრემლსა!?

ის იყო, ჰაჯი-დიმიტრიმ ეს ორი სიტყვა წარ-მოსთქვა, და ოსმალებმაც სერს მოატანეს და-თოფის სროლა დაიწყეს; საშინელი ბრძოლა და სისხლის ღვრა ასტყდა. მთელი დღე არ შეწყვე-ტილა ბრძოლა, და ოსმალთ ძვირადაც დაუჯდათ; სერზე იერიშს მიიტანდნენ თუ არა, იძულებული ხდებოდნენ უკან დაეხიათ, და ყოველ დახევაზე მათს რაზმს 15—20 კაცი აკლდებოდა. არ ვიცით, სულ რამდენი კაცი დაეხოცათ, მაგრამ თქმა არ უნდა, ბევრს უნდა დაპლებოდა მზე. ჩეტელები გაშმაგებით ებრძოდნენ; ხეებს ამოფარებულები და მალლობზე გადმომდგარნი, უფრო მოხერხებულიდ უმკლავდებოდნენ მტერს და ამ ხელადაც ზარალი მაგდენი არ უნახავსთ: მტრებმა სამი კაცი მოუკლეს და ხუთი დაუჭრეს, მათ შორის თვით ყარაჯაც. მარჯვენა ხელში ორგან მოხვდა ტყვია ყარაჯას, მაგრამ ბრძოლის დროს არა უთქვავს-რა ამხანაგე-ბისათვის და მეომართ აქეზებდა და გულს უმა-გრებდა...

ჩეტელების მდგომარეობა ძალზე საშინელი იყო. უძილობით ილაჯ-გაწყვეტილთ, შიმშილისა, წყურვილისა და სიცხისაგან შეწუხებულთ, ორი ბრძოლა ზედიზედ გადაიხადეს და მათმა ღონემაც ვეღარ გაუძლო. ფეხზე ძლივსა დგებოდნენ... მტერს

კი თან-და-თან ახალი ღონე ემატებოდა. მთელს ვილაიეტში ხმა გავრცელდა: „მოსკოველები“ მოვიდნენ, და რაზმი-რაზმზე მოეშურებოდა ბრძოლის ველზე ტირნოვოდან, სისტოვოდან და სხვა მახლობელ ადგილებიდან. ასეთს დღეში იყვნენ ჩვენი გულადი მეომრები! როგორც იყო, საბედნიეროდ ღამემაც მოატანა და ომსაც ბოლო მოედო. მეორე ღლემდე ამ ადგილას დარჩენა ჩეტელებისათვის შეუძლებელი იყო, — მეორე დღეს ოსმალები სულ ერთიერნად ამოჰუევდნენ; ამიტომ სარდლებმა გადასწყვიტეს, ღამით როგორმე გაპარულიყვნენ, მით უფრო, რომ ოსმალებმა წინა დღის შეცდომა იმ დღესაც განიმეორეს, ესე იგი ჩეტელებს მთელის თავისის ღონით დაესხნენ თავსა...

ჩეტელებმა ერთ საათი-ღა დაისვენეს, მკვდრები ღამარხეს, ერთს სასიკვდილოდ დაჭრილს შხამი ღაალევინეს, ორი სხვა დაჭრილი მხრებზე შემოიდვეს, რადგან თვითონ სიარული ველაზ შეეძლოთ, გაიძლოლეს სარდლები და დიდის სიფრთხილით საფრიდან გამოვიდნენ. ყოველ ფეხის გადადგმაზე სიკვდილი მოელოდათ. მაინც მშვიდობიანად დაეშვნენ სერზე, დაადგნენ უკვე გავლილს გზასა, მერე განზე გაუხვიეს, მტრებს მოუარეს და ბალკანისაკენ გასწიეს...

გამოპარულ კომიტების იღბალზე ღამე ბნელი იყო, უმთვარო. ნელა მიღიოდნენ, მაგრამ მაინც თან და თან შორდებოდნენ მდევრებს; ამათ კი

ისევ ტყეში ეგულებოდათ ჩეტელები. ბალკანს რაც უფრო უახლოვდებოდნენ, ადგილმდებარება ოლრო-ჩოლროიანი და ტყიანი ხდებოდა; ასეთს ადგილას, თუ ვინცობაა, რამე გაჭირება გაადგებოდათ, თავს უფრო ადვილად უშველიდნენ; გზაში მთის წყაროები და მოჩხრიალე ნაკადულები შეხვდათ, ხელ-პირი გაიგრილეს, წყურვილი მოკლეს. მათს მიახლოვებაზე, ზოგიერთ მწყემსებმა თავიანთს ბინებს თავი ანებეს და გაიქცნენ. ჩეტელები შიგ შედიოდნენ, ჰპოულობდნენ ყველსა, რძესა, პურსა და ნაყრდებოდნენ... ბალკანის დიდი მწვერვალები სულ ახლოდან მოსჩანდა, დალლილი ჩეტელები მიეშურებოდნენ მთის ბნელ ხრამებისაკენ, სადაც შეეძლოთ გულიანად დაესვენათ და, შედარებით, უშიშრად ყოფილიყვნენ.

ამდროს გამოჩნდა მთვარე და გაანათა მთის მწვერვალები.

— ყოჩალად იყავით, ძმებო! — ამხნევებდა ყარაჯა თვისს რაზმსა. - ხვალ ნაშუადღევს ძველს პლანინაში ვიქმნებით, მერე აგლიკინის ველსაც მივატანთ... მანდ კარგად დავისვენებთ, მოვირჩენთ ჭრილობებსა, ბევრი ჩვენი სლივნოელი ძმები — პატრიოტები შემოგვხდებიან...“

შუადღისას ჩეტა ბალკანის ფერდოზე იყო, ხშირის ტყის ნაპირში. აქ ჩეტამ ცხვრის ფარა და მწყემსი დაინახა, რომელსაც გაქცევა ველარ მოესწრო. გადასწყვიტეს, ვიდრე გზას გავუდგებოდეთ,

პური ვჭამოთო. მწყემს კარგი სასყიდელი მისცეს, იმანაც რამდენიმე ბატყანი დაუკლა და გაჩალებულ ცეცხლზე წვა დაუწყო... გემრიელ საჭმლის ლოდინში, დაყმენდილი რაზმი იქავ ბალახზე მიწვა. გულდამშვიდებით იყვნენ, საქმე კარგად მიღიოდა. უცბად ხეებში რამდენიმე ჩალმით თავშეხვეული კაცი გამოჩნდა და წამოწოლილ ჩეტელებისაკენ თოფები გამოისროლეს... პატარა რაზმი ყოფილა მდევრებისა, ოსმალთ მთავარ ჯარს უკან ჩამორჩენილი. უმეტესობა გაწვრთნილ-გავარჯიშებულ ჯარისკაცებისაგან შესდგებოდა და ბალკანაში ბოლგარელების დრუჟინაზე აღრე მისულიყვნენ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმ დღეებში მთელი ოლქი ფეხზე იყო და მდევარი რაზმები ყველა კუთხივ დაძრწოდნენ. ასე რომ ჩეტა ერთ რაზმს თავს რომალწევდა, მეორეს უეპველად შეეხეჩებოდა.

დასვენებასა და გემრიელ სადილზე, რა თქმა უნდა, ფიქრის დრო აღარ იყო. ისევ თოფებისა-თვის უნდა დაევლოთ ხელი და ხელ-ახლა უნდა გამკლავებოდნენ მტერსა... მცირედი რაზმი ოს-მალთა, ჩეტას რომ მოსვენება არ მისცა, ისე ადვი-ლად გარეკეს, რომ ზარალი სრულებით არა-მოსვლიათ-რა. მაგრამ შიში სხვა ალაგიდან მოე-ლოდათ: თოფების დაცლაზე სამხედრო ლოროტო-ტოს ხმა გაისმა, ამის შემდეგ საჩქაროზე ოსმალთ ცხენოსანი და ქვეითი ჯარი გამოჩნდა. საჭირო იყო მესამე ომი გადაეხადნათ. .

მებრძოლთ თავი გამოიდეს, და ჩვენს რაზმსაც  
ძვირად დაუჯდა ამ ბრძოლის გადახდა. თვითონ  
ყარაჯას გვერდში მოხვდა ტყვია,—ეგ უკვე მესამე  
ჯერ დაიჭრა,—მაგრამ მაინც თავს იმაგრებდა და  
მებრძოლთ უმფროსობდა... ბევრი დაიხოცა, უფრო  
ბევრი დაიჭრა... ისევ ლამემ უსწრო და ბრძოლას  
ბოლო მოუღო, თორემ ჩვენი რაზმი აქვე მთლად  
გასწყდებოდა. სხვა გზა არა ჰქონდა, ამ ლამეში,  
ისევ უნდა გაპიარვოდა როგორმე მდევრებსა,  
წინანდელსავით. ძალიან მარჯვედ გაიპარნენ,  
განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ რაზმი ახლა  
ძალზე შეთხელებული იყო: ბრძოლის ატეხამდე  
125 კაცი იყო, და მტერს რომ ზურგი შეაქციეს,  
68 კაცილა დარჩა მეომარი, ამათ რიცხვში დაჭრი-  
ლებიც უნდა მივათვალოთ, რომელთაც კიდევ  
შეეძლოთ, ამხანაგების დახმარებით, სიარული.  
დანარჩენები ზოგი დახოცეს, ზოგი ტყვედ წაასხეს,  
ზოგი ჩამორჩა, ზოგიც, რაკი სიარული არ შეეძლოთ,  
მწყემსების ქოხებში დააგდეს, ზოგი სად და ზოგიც  
სად...

იმედ გადაწყვეტილნი მიღიოდნენ იუნაკები.  
ბალკანების მთის თავი ძალიან ახლო მოსჩანდა,  
მაგრამ ესენი ჰფიქრობდნენ, აქამდე ვეღარ მივალ-  
წევთ ცოცხალის თავებითაო. მთელი ლამე სიარუ-  
ლის შემდეგ, ერთს ტყიან ლრეს მიატანეს, .აქ

დაბინავდნენ, დასასვენებლად. იმედი ჰქონდათ, აქ  
მაინც ვერავინ მოგვაგნებს და ხელს არ გვახლე-  
ბენო... ტყუილი იმედი ჰქონდათ!... ილაჯ-გაწყვე-  
ტილმა ჩეტელებმა, ის-ის იყო, მკვდრებსავით  
დაიძინეს, დარაჯებსაც მაშინადვე ძილი მოერიათ;  
— ამ დროს ძალლების გაცხარებული ყეფა მოისმა:  
კომიტელთ მოსახებნელად ამ ჯერად ოსმალებმა  
ძალლების დახმარებასაც მიმართეს...

გაიმართა ხელ-ახლად ბრძოლა და სისხლის  
ღვრა. რაზმი საშინლად დაზარალდა: მთად დაჭრილი  
სტეფანე ყარაჯა მტრებმა ტყვედ წაიყვანეს... სხვა  
დაჭრილებისა და დახოცილებისას ხომ ნურას  
იკითხავთ!.. მტერს ყარაჯის დატყვევებაზე სიხა-  
რული შეექმნა და ერთ ხანს სხვა ჩეტელებს  
თითქო თავი დაანებესო.

ჩეტელებმაც დრო იპოვეს, ერთს მაღალს  
ადგილს მოექცნენ და იქ გამაგრდნენ. მტრის  
რიცხვი თუნდაც ათჯერ მეტი ყოფილიყო, აქედან  
თამამად შეეძლოთ ყველას გამკლავებოდნენ.  
დაფარულ ადგილას დაჭრილები დააწვინეს და  
მთელის დღის განმავლობაში კრიჭაში უდგნენ  
გაალმასებულს მტერს... რაზმს ეშინოდა, მეორე  
სარდალიც არ დაგვეღუპოსო, და ჰაჯი დიმიტრისა  
სთხოვდა, თავს გაუფრთხილდი, წინა რაზმებში  
ნუ ჩადგები და დაჭრილებისაკენ იყავიო, უკან.  
ჰაჯი დიმიტრი ბრაზობდა მათს ხვეწნა-მუდარაზე.

— თქვენ თქვენის თხოვნით შეურაცხყოფას მა-

ყენებთ!—ეუბნებოდა ჰაჯი დიმიტრი თავისს ამხა-  
ნაგებსა.—როგორ, ჩემი ძმები თავებს იხოცავენ  
და ამ დროს მე უკან დავდგე, დაჭრილებთან?..  
თავის დღეში!..

მართლაც-და, თავის ნათქვამი გაამართლა კი-  
დეცა ჰაჯი დიმიტრიმა. ერთთავად თავში უდგა  
ერთ მუქა რაზმსა. სხვათა შორის, მეტი არ იქმნება,  
ერთი ამბავიც აღვნიშნოთ. როცა ოსმალებმა იმედი  
გადიწყვიტეს, იუნაკებს იმ ადგილიდან ფეხს ვერ  
მოვაცვლებინებთო, ბოლგარების გროვა მიუსიეს;  
იმედი ჰქონდათ, ჩეტელები თვისსავე ძმებს თოფს  
არ ესვრიანო. ბოლგარელები, ოსმალთა ბრძანების  
მორჩილნი, მოუახლოვდნენ ჩეტელებს და, ის-ის  
იყო, თოფების სროლა უნდა აეტეხათ, ამ დროს  
ჰაჯი დიმიტრიმ ზიზლით დაუყვირა:

— ეი, თქვე ასმალთ მონებო!.... არა გრცხვე-  
ნიათ, ძმებისა და წმ. ჯვარის წინააღმდეგ როგორ  
მოდიხართ?!... თუ თქვენთვის არა, მაშ ვიღასთვისა  
ვლვრით ჩვენს სისხლსა?!... თუ თქვენი ტუტუცი  
თავი არ მოგბეზრებიათ, მალე გაგვეცალენით  
აქედან!...

არ ვიცი, შერცხვათ თუ შეეშინდათ, ას კია,  
რომ ბოლგარელები მოეცალნენ და ტყეში დაი-  
მალნენ. ამის შემდეგ ოსმალებმა კიდეცა სცადეს,  
რამდენჯერმე თავს დაეხსნენ, მაგრამ ვერა  
დააკლეს-რა....

ეს ბრძოლა ფრიად შესანიშნავი კიდევ სხვა

ფრივაც იყო: ბრძოლის ველზე ბევრი მაღალ-ხარისხის გვამნი იდგნენ და უყურებდნენ სისხლის ლვრასა, მაგალითად ტირნოვოს ფაშა, ქალაქის მოხელენი, რუშჩუკის ქაიმაქამები, ალები, ბეგები და სხვ. თავისის თვალით დაინახეს, რა მამაცურად იბრძოდა ხუთასის წლის მონობით დაჩაგრული და წელში გაწყვეტილი რაია. (მონა-ბოლგარელი)

დაღამდა თუ არა, რაზმა დასტოვა ბიჩა და ბალკანში გაეშურა. 12 ამხანაგი მკვდარი აქ და-ყარეს, და რამოდენიმე დაჭრილიცა; დაჭრილები ეხვეწებოდნენ, შეგვიბრალეთ, ღვთის სინაბარა დაგვტოვევითო. გზას მხოლოდ 40 კაცი დაადგა...

ახლა ბალკანის ოლრო-ჩოლროები ჰქონდათ გადასათელი. სიარულის დროს რამდენჯერმე შე-ნიშნეს მტრების მრავალ-რიცხოვანი რაზმები, მა-გრამ ყოველთვის ოსტატურად ხელიდან უსხლტე-ბოდნენ და ტყეში მოასწრობდნენ ხოლმე დამალ-ვასა. მეორე დღეს დილაზე მთის ერთს ვაკეზე გამოქცეულებმა სოფელი დაინახეს. ყველამა სოჭვეს — ბოლგარელებისა არისო. დიდი ხანი გავიდა მას აქედ, რაც უკანასკნელი პური შესჭამეს. შიმშილი ძალზე აწუხებდათ, სიარული აღარ შეეძლოთ და გადასწყვიტეს, რაც მოგვივა, მოგვივიდესო, და შევიდნენ სოფელში. სოფელი მართლა ბოლგა-რელთა გამოდგა და სულითა და ხორცით დამაშვრალ საცოდავ იუნაკებს ძალიან გაუმასპინძლდნენ და თანაგრძნობა აღმოუჩინეს, თუმცა ძვირად კი დაუ-

ჯდათ ეს თანაგრძნობა. სოფლელებმა გაიგეს თუ არა მათი ვინაობა, მაშინადვე საჭმელ-სასმელი მოუტანეს საცოდავ მეომართ. ქალებმა და კაცებმა მოუზიდეს ბლომად პური, ყველი, რძე, ლვინო, შეუწვეს ხორცი და მგზავრები მწვანეზე დასვეს, უზარმაზარ მუხის ჩრდილ ქვეშ. დამშეული რაზმი რაც ხანი იქ იჯდა და პურსა სჭამდა, სოფლელები გარს ეხვევოდნენ და სცდილობდნენ პატივი ეცათ; მათს ქებაში იყვნენ და თანაგრძნობით ოხრავდნენ. „ეს თანაგრძნობის ოხვრანი-ლა იყვნენ ჩვენი ერთად-ერთი ჯილდო ხალხის მხრივ, რომლის თავისუფლებისათვის თავსა ვსდებდით“, — ამბობდა მერე ერთი მონაწილეთაგანი ამ ლაშქრობისა.

კომიტლებმა ძალის-ძალათი მიაჩეჩეს ფული კეთილ სოფლელებს სანოვაგისათვის. ის-ის იყო, სოფელს გასცდნენ და ტყით დაფარულ ფრიალო კლდეზე გადმოდგნენ, რომ უკანიდან თოფების ხმა გაისმა. ოსმალები სოფელში შემოვიდნენ და სოფლელებს დაერივნენ, ამჯანყებლებს ხელი როგორ მოუმართეთო?!.. იუნაკები ამასობაში ზევით-ზევით მიდიოდნენ; ხან-ლა-ხან მწყემსებიც შემოხვდებოდათ ხოლმე ერთ მწყემსისაგან გაიგეს ამ ორის დღის წინ ოსმალების უფროსებმა ბრძანება გასცეს, ყველა მწყემსები ბარად ჩამოეშვითო. ჰკითხეს. ასეთს ბრძანებას რა აზრი აქვსო, და მწყემსმაც უპასუხა:

— ბალკანში მოსკოველები (რუსები) გაჩენილანო,

— ასმალები ამბობენ, — რაკი მთაში მწყემსებს ცხვარი არ ეყოლებათ. „მოსკოველებს“ საჭმელი არა ექმნებათ-რა და ხელში ჩავიგდებთო.

სხვა მწყემსებმა უამბეს, გუშინ გაიარეს ამ ადგილებზე ასმალთ რაზმებმა და კომიტებს დაეძებენო. ახლა, უეპველია, ბალკანის მწვერვალებზე იქმნებიან გაფანტულნიო. ოლონდაც რომ საშიში იყო იმ გზით სიარული: მოსალოდნელი იყო, მტერს ყოველ წამს შეხვედროდნენ პირის-პირ. მაგრამ რაზმს სხვა გზა არა ჰქონდა, უნდა ზევით ევლო, „აგლიკინის ველისაკენა.“ ისიც მიღიოდა საშინელს ოლრო-ჩოლროებსა და ფლატოებზე ერთი ფეხი რომ გასხლტომოდათ, მათს ძვალსაც ვერ იპოვიდა ადამიანი. ერთს ქანც-გაწყვეტილს მგზავრს მაინც ეს დღე დაადგა. ერთმა ახალგაზღა კაცმა ლაშქრობის სიმწარეს ვეღარ გაუძლო და ჰკუაზე შესცდა. აველაზე სამწუხარო ის იყო, რომ 14 დაჭრილი მეომარი კარგად მყოფთ სიარულში ვერ მიჰყვნენ და უკან-უკან რჩებოდნენ და, ბოლოს სულ ჩამორჩნენ. ამხანაგებმაც ბნელაში ვერ შეამჩნიეს დაჭრილების დაკარგვა. როცა მათი ჩამორჩენა შენიშნეს, უკვე გვიან იყო: უკან დაბრუნება ქანც-გაწყვეტილ ჩეტელებისათვის ყოვლად შეუძლებელი იყო, მეორე მხრივ, აქა-იქ ასმალებიცა ჩნდებოდნენ. ერთი მუჭა რაზმი იმასა ცდილობდა, თავისი თავი მაინც დაეხსნა მტრებისაგან, ხოლო დაკარგული ამხანაგები, რომელთა

უბედურებაზე ორიოდ სიტყვას მერე ვიტყვით,  
ლვთის სინაბრობაზე დაეგდოთ.

18 მკათათვეს დილა აღრიანა, როგორც იყო,  
ლიდის გაჭირვებით ბალკანის ზურგს მოექცნენ და  
ბიუზლუჯაში დაბანაკდნენ. ეს ადგილი ბოლგა-  
რელთ აჯანყების მატიანეში არა ერთხელ არის  
მოხსენებული.

ოსმალების გუნდები და გაწვრთნილი რაზმები,  
როგორც ვიცით, ყოველ მხრიდან გროვდებოდნენ  
და ჩვენს მეამბოხეთ კვალ-და-კვალ მისდევდნენ,  
ხანაც წინ გაუსწრებდნენ, ხან კიდევ უკან მიჰყე-  
ბოდნენ. ამავე დროს ყაზანდიელ ოსმალებმა  
შეიტყეს მეამბოხენი ბალკანას უახლოვდებიანი  
და დიდი ფაცა-ფუცი შეუდგათ. ქალაქიდან მაშინვე  
რამდენიმე ასი ოსმალო გამოვიდა შეიარაღებული,  
მათ მიემატნენ რაც კი რეგულიარი ჯარი იყო  
ქალაქში დარჩენილი და ლონიერი რაზმი ზაფთიე-  
ბისა. ყველანი თან-და-თან უახლოვდებოდნენ  
ბიუზლუჯას და ბოლოს გარს შემოერტყნენ კიდეცა  
დასასვენებლად დაწოლილ რაზმს იუნაკებისას.  
დაპრა უკანასკნელმა საათმა ჩეტელების დრამისამ.  
ჩეტელები ჰაჯი-დიმიტრითურთ სულ 20 კაცი  
იყყნენ, საშინლად მოსწყდნენ ამდენის ვაი-ვაგლა-  
ხით და ის იყო, უნდა დაესვენათ, სწორედ ამ  
დროს შემოერტყა მტერი გარშემო და გასაქცევი  
გზა ყოველის მხრივ მოუჭრეს. ყველამ იმედი  
გადიწყვიტა, ვერაფერი გვიხსნისო. ან ლაჩრულად

თოფუ-იარალი უნდა დაეყარათ და გამძლავრებულ  
შტერს ხელში ჩავარდნოდნენ, ან უკანასკნელ სი-  
სხლის წვეთამდე ეომნათ და სახელოვანათ დახო-  
ცილიყვნენ... იუნაკებმა სახელოვანი სიკვდილი  
არჩიეს... გახურდა ომი; ამ ომის შედეგი ყველასა-  
თვის აშკარა უნდა ყოფილიყო... ოსმალებს უნდო-  
დათ, დიდებული ყოფილიყო მათი გამარჯვება და  
სცდილობდნენ კომიტელები მეტი დაეჭირათ  
ცოცხლები, და რამდენჯერმე უთხრეს, ცოცხლები  
დაგვნებდითო. მაგრამ კომიტელები პასუხად თო-  
ფებს ესროლდნენ. როცა ტყვია-წამალი შემოელიათ,  
დანებით დაერივნენ მტრებსა და თავგანწირულად  
დაიხოცნენ, ისე რომ ერთი არ გადარჩენილა  
ცოცხალი... სხვებთან ერთად განთქმული პაჯი  
დიმიტრიც მოჰკვდა და მისი თავი სხვა დანარჩენ  
ლირსეულ მეომრების თავებთან ერთად ოსმალებმა  
გამარჯვების ნიშნად ტირნოვოში წამოიდეს

მახლობელ სოფლის მღვდელს ნება მისცეს  
ოსმალებმა მიწისათვის მიებარებინა დასახიჩრებული  
გვამნი თავისუფლებისათვის მებრძოლთა... ახლა  
ბიუზლუნჯაში, ბოლგარელთა ამ წმ. ადგილას,  
რამდენიმე ხის ჯვარი-ლაა, გარშემო სოფლების  
ღვთისმოყვარე მცხოვრებთაგან სახელოვან იუნა-  
კების საფლავებზე დადგმული... 1883 წლიდან,  
ყოველ 18 მკათათვეს, ბიუზლუნჯაში დღეობასა  
მართავენ ამ ადგილას დახოცილ გმირების მოსა-  
გონებლად. ამ დღეობაზე ბოლგარის და რუმინის

ყველა მხრიდან ათასობით მოდიან ხოლმე. 1884 წ.  
ბიუზლუნჯაში პირველად მოვიდა ქალაქ სლივნოს  
დეპუტაციასთან ერთად დღემდე ცოცხალი, პატივ-  
ცემული მოხუცი, ლვიძლი დედა გმირ სარდალის  
ჰაჯი დიმიტრისა.

კიდევ ორიოდე სიტყვას ვიტყვით თავ რაზმი-  
საგან ჩამორჩენილ და გზაში დაკარგულ დაჭრილ  
ჩეტელებზე და გავათავებთ კიდეცა ჰაჯი დიმიტრისა  
და სტეფანე ყარაჯას მრავალ-ტანჯულ ლაშქრო-  
სანთა ამბავს.

იმ დროს, რა დროსაც ბიუზლუნჯაში ჩვენ  
მიერ ზემოაღწერილი უკანასკნელი ომი იყო  
ჩეტელებისა და ოსმალთ შუა, გზა-დაკარგული  
ჩეტელები იქვე მახლობლად ხშირს ტყეში იმაღე-  
ბოდნენ და გულის ფანცქალით ყურს უგდებდნენ  
თოფის სროლასა. იცოდნენ ჩვენი ამხანაგები  
იბრძვიანო, და უნდოდათ მიჰშველებოდნენ, მაგრამ  
სურვილი გულშივე უნდა მოეკლათ, ამიტომ რომ  
უმეტესი მათგანი ხეირიანად ფეხზე ველარც კი  
დგებოდა და მუხლით მიღოლავდა... საღამო ხანს  
ბრძოლა შესწყდა... დაჭრილ ჩეტელებმა არ იცო-  
დნენ, მათი ამხანაგები რა ოონის პატრონ მტერს  
ეომებოდნენ ან რა პირობებში იყვნენ ჩაყენებულნი,  
და თავი ინუგეშეს, ალბად ჰაჯი დიმიტრი ოსმალთ  
ხელიდან გაუსხლტა და აგლიკინის მინდვრისაკენ  
წავიდათ. ამ ადგილისაკენ თვითონაც წამოვიდნენ.  
ველარც კი აიშერება, რა ტანჯვა-წვალება გამოია-

რეს ავადმყოფმა ჩეტელებმა ღადა-ღრეებში და კლდეებზე სიარულითა. დანიშნულ ადგილამდე სიარულს მთელი ხუთი დღე-ღამე მოუნდნენ. მაგრამ წარმოიდგინეთ მათი სასოწარკვეთილება, როცა აგლიკინის ველი ცარიელი დაუხვდათ: არც ჰაჯი დიმიტრი და მისი ამხანაგები იყვნენ აქა და არც სხვა პატრიოტები, რომელთაც პირობა დასდვეს—აქ შევიყრებითო. . მთელი ერთი კვირა იტრიალეს საკოდავებმა აგლიკინის ველის გარშემო, მერე იმედი გადაუწყდათ, აქ ჩვენებს ვერავის ვნახავთო; გადასწყვიტეს, იქნება როგორმე სერბიის საზღვარზე გადავახწიოთო და ბალკანიდან ძირს დაეშვნენ. მაგრამ გზაზე ოსმალთ დაინახეს, ტყვედ დაიჭირეს, აწვალეს უსულ-ღმერთოდ, და ჯერ ტირნოვოში წაიყვანეს და იქიდან—რუშების.

აი, ასე სამწუხაროდ ბოლო მოელო ბოლგარეთის თანამედროვე ისტორიაში შესანიშნავ გალაშქრებას ჰაჯი დიმიტრისა და სტეფანე ყარაჯის გმირული რაზმისას.

როგორც მკითხველი დაინახავდა, იუნაკების უმეტესი ნაწილი დახოცილ იქმნა ოსმალებთან ბრძოლაში. ისინი კი, ვინც ჩეტას უკანასკნელ დღეებში დაშორდნენ და გაქცევით უნდოდათ თავის ხსნა, აგრეთვე ყველა მძიმედ დაჭრილნი,

ბალკანეთის სხვა და-სხვა ადგილას მწყემსებთან  
დატოვებულნი, ოსმალთ ჩაუვარდათ ხელში. ამათ  
მიემატათ გზაში ჩამორჩენილი გუნდი დაჭრილთა,  
რომლებზედაც წინა სტრიქონებში ვამბობდით, და  
ყველანი რუშჩუკში ჩამოიყვანეს. ზემო აწერილ  
ლაშქრობის მონაწილენი, ვინც ცოცხალი დარჩა,  
და ამ საქმეში გარეულნი გარეშე ხალხი რუშჩუკში  
გაასამართლეს... რუშჩუკის სატუსალოში, განჩინე-  
ბის მოლოდინში, იჯდა აგრედევე მღვდელი იმ  
სოფლისა, იუნაკებს ისე გულ-უხვად რომ გაუმას-  
პინძლდა... კომიტელები, მათი დამხმარენი  
და თანამგრძნობნი ზოგი ჩამოახრჩეს, ზოგს  
საუკუნო საპატიმრო გადაუწყვიტეს და ხუნდებ-  
გაყრილი სტამბოლზე გაატარეს მცირე აზიაში,  
სენ-უან დარკის ციხეში. ამ ციხიდან ზოგი გამოუ-  
შვეს ათის წლის უკან, როცა ბოლგარეთი გან-  
თავისუფლდა.

ერთი საზიზლარი ამბავიცა. „როცა რუშჩუკში  
მივყავდით,—მოგვითხრობს ერთი საპატიმროს  
გადარჩენილი ამხანაგი ჰაჯი დიმიტრისა და სტეფანე  
ყარაჯასი—ანგელ ობრეტენოვი,—ბოლგარეთის  
სოფლებში; რომლებზედაც კი გაგვატარეს, ქალი  
და კაცი გზაზე გველობებოდნენ, პირში გვაფურ-  
თხებდნენ, უშვერის სიტყვებით გვლანძლავდნენ:—  
ოსმალებთან ჰატიოსნად, მშვიდობიანად ვსცხოვ-  
რობდით და თქვენ აგვრიევითო“... სოფელ ტრე-  
ტენიკაში ერთი ვაჭარი ესეთნაირად გვლანძლავდა

და გვათრევდა, რომ ბრაზით ჩვენი ხუნდებიც კი ჰყანკალებდა... მხოლოდ ციხეში რომ გაგვისტუმ-რეს, რკინის გზაზე რუშჩუკსა და ვარნას შეა, აქა-იქ შეხვდებოდით ისეთებს, რომელნიც ღირსე-ულად გვაფასებდნენ და გზას გვილოცავდნენ, მაგრამ დასალონებელი კიდევ ის იყო, რომ ესენიც ჩვენი ძმები, ბოლგარელები, არ იყვნენ,—რკინის გზაზე, მოსამსახურენი იყვნენ, ზოგი პოლონელნი და ზოგიც იტალიელნი ..

თვითონ სტეფანე ყარაჯი, როგორც გმირი, ცოტა არ იყოს, პატივით,—ოსმალები ხომ რაინ-დული ხალხია და იციან გმირობის დაფასებაცა, — ურმით მოიყვანეს ჯერ ტირნოვოში, მერე რუშჩუკში, საღაც, მრავალი ხალხი დაუხვდა, მის საყუ-რებლად შეგროვილი. ვინც არ იცოდა სტეფანე ყარაჯის ვინაობა, მისს წამყვან დარაჯებსა ჰყით-ხავდა, ვინ მიგყავთო? ისინიც დაცინვით უპასუხე-ბდნენ: „ბოლგარეთის მეფეო!..“

მთელი ორი კვირა ეწვალა საცოდავი სტეფანე მთლად დაჭრილი რუშჩუკის სატუსალოში, თუმცა ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ აქ გვარიან კარგად ეპყრობოდნენ. მორჩებოდა თუ არა, სახრჩობელაზე უნდა აეყვანათ. მაგრამ ბედმა იბრალა და სახრჩ-ბელაზე ტანჯვას გადაარჩინა: ჭრილობებს თან გადაჰყვა სატუსალოში და რუშჩუკის სატუსალოს ეზოში დამარხეს. მისის საფლავის ბეჭობი, უკვე მიწასთან გასწორებული, უეჭველია, დაავიწყდებო-

დათ კიდეცა, რომ არ გაეახლებინა ცნობილ  
პატრიოტ-ქალს, „დედა-ბერ ტონკას“, რომელზედაც  
ქვემო თავში ვიღლაპარაკებთ.

## IV

### დედა-ბერი ტონკა

#### I

დედა-ბერი ტონკა ობრეტენოვისა დაიბა-  
და 1812 წ. ერთს რუშების მახლობლად მდებარე  
სოფელში, უბრალო, მაგრამ გვარიანად შეძლებულ  
სოფლელ მწყემსის ოჯახში. მისი მშობლები სოფ-  
ლიდან რუშების გადმოესახლნენ; ტონკა 20  
წლისა რომ შეიქმნა, ერთს შეძლებულ ვაჭარს,  
ტიხო ობრეტენოვს, მიათხოვეს, რომელთანაც  
იცხოვრა 40 წელზე მეტი. შვიდი შვილი ეყოლა,  
ხუთი ვაჟი და ორიც ქალი. როგორც ახლავე  
დავინახავთ, ყველა მისმა შვილებმა თავიანთი თავი  
მსხვრებლად შესწირეს ბოლგარელ ხალხის განთავი-  
სუფლების საქმესა.

ხალხის განთავისუფლებისათვის მოქმედებაში  
ტონკა გაერია 1862 წლიდან, როცა უკვე 50  
წლის პეტერი იყო. იმ ხანებში რუმინიაში გაისმოდა  
აღზნებული ლალადისი ბოლგარელ ემიგრანტისა  
და მწერლის რაკოვსკისა, რომელიც თავისს ერს

ოსმალთ წინააღმდეგ იწვევდა და ამისთვის მეამბოხეთა  
დასიც შეადგინა. რაკოვსკის ქადაგების სიტყვებმა  
თავისუფლებაზე ტონკას ყურებამდეც მიაღწია და  
ფეხზე დააყენა ეს შესანიშნავი ქალი. მისი სახლი  
ზედ დუნაის ნაპირას იყო გაშენებული და შესაკრე-  
ბელ ადგილად გახდა ადგილობრივ ახალგაზდა  
პატრიოტთათვის, რომლებიც ტონკას უფროს შვილე-  
ბთან ერთად — ანგელ და პეტრე ობრეტენოვთან —  
თოფის ხმარებასა სწავლობდნენ, რადგან განზრახვა  
ჰქონდათ, მეამბოხეთა რაზმებში შესულიყვნენ,  
რომელთა შედგენაზე მაშინდელ ემიგრანტებს ლა-  
ვარაკი ჰქონდათ. ეს ჩეტები ბოლგარეთში არ გა-  
ჩენილა; სწორედ ამ დროს კი სერბის მთავრობის  
ნება-როვით, ემიგრანტებმა ბოლგარელი ლეგიონი  
შეადგინეს; ამ ლეგიონში ახალგაზდები, მომავალ  
აჯანყებისათვის, სამხედრო ხელობასა სწავლობდნენ.  
ეს ლეგიონი დაარსდა თუ არა, ტონკას სურვილით,  
შიგ ჩაეწერა მისი ერთ-ერთი ვაჟი, პეტრე... უფროსი  
შვილი, ანგელი კი და რამდენიმე მისი ამხანაგი,  
ტოკამ დაპლოცა, და ბოლგარეთსა და ფრაკიაში  
დაიარებოდნენ, რათა გაევოთ, ხალხი რასა ფიქ-  
რობდა, და როცა შესაძლებელი იქმნებოდა, თავი-  
სუფლება.

მერე დადგა ბოლგარელთათვის, საზოგადოდ,  
და ტონკასათვის, კერძო სამახსოვრო 1868 წელი-  
წადი, როდესაც ჰაჯი დიმიტრიმა და სტეფანე  
ყარაჯამ ამბოხება. სცადეს. აბრეტენოვების ოჯა-

ხამდე მიაღწია თუ არა საიდუმლო ამბავმა, — რუმინის ნაპირზე, უურუევას ახლო, ჩეტას თავი მოუყრია და ბრძოლა უნდა დაიწყოსო, ანგელი და პეტრე მაშინვე გავიდნენ დუნაიაზე და კომიტელების რაზმს შეუერთდნენ... თვითონ ტონკაც მივიდა საომრად გამზადებულ ჩეტებთან, თან მი-იტანა ყვავილები და არაყი, იუნაკებს ყველას ჩამოუტარა: ღმერთმა გამარჯვება მოგცესთ თქვენს სამამულიშვილო საქმეშიო, ყოველ ხიფათისა და გაჭირვებისაგან გიხსნათო, და მერე შინ დაბრუნდა. ტონკას მოსვლამ ძალზე გაახარა კომიტელები და მათი პატრიოტული იმედები უფრორე აღაფრთოვანა. თუ ბებერი დედაკაცი იმ ზომამდე თანაუგრძნობს ჩვენს საქმეს და იმედიცა აქვს გამარჯვებისა, რომ თვისს შვილებს ჩეტაში აძლევს და გზას გვილოცავს, — ამბობდნენ ისინი — „მაშ რა აღტაცებით და სიხარულით მოგვეგებება სამშობლოში ხალხი საზოგადოდ და განსაკუთრებით ახალგაზღობაო!?!... მკითხველმა უკვე იცის, რა მწარედ გაუცრუვდათ იმედი ამ კეთილშობილ თავდადებულთ თავიანთ ღვიძლ ხალხზე... აღბად არ იცოდნენ, რომ ისეთები, როგორც დედაბერი ტონკა იყო, მთელს მილიონზე ერთი იბადება...“

დედაბერი ტონკა რუშჩუკში დაბრუნდა, გულის ფანცქალით დაუწყო ლოდინი ოსმალეთის საზღვარზე მეამბოხეთა, რომელთაც, როგორც უთხრეს, სახელდობრ რუშჩუკიდან უნდა დაეწყოთ

თავიანთი მოქმედება. რამდენმამე კვირამ გაიარა  
ამ ლოდინში: იუნაკებზე არაფერი ისმოდა.

ერთბაშად ელვის სიმალეზე ხმა მოედო რუ-  
შჩუკა: მეამბოხენი ვარდინის ჭაობების ახლო  
გამოვიდნენო, სანაპიროს დარაჯნი გასწყვიტესო,  
ამის შემდეგ, რამდენჯერმე შეეტაკნენ ოსმალოს  
ჯარსაო, და ამ შეტაკებაში ზოგი იუნაკები დაიხო-  
ცნენ, ზოგი ტყვედ წამოიყვანეს, ბოლოს, თვითონ  
რაზმი მთლად გასწყდა და სარდლებიც ოსმალთ  
მსხვერპლნი შეიქმნენო... ეს ამბები რა გვარად  
დააძმარებდა რუშჩუკის ბოლგარელთ, რომელთაგან  
იმდენი ახალგაზღობა წავიდა ჯერ ემიგრანტებად,  
და მერე მეამბოხეთა რაზმში,— მკითხველისათვის  
მიგვინდვია გამოსაცნობად... ცოტა ხანმაც გაიარა,  
და მთელი რუშჩუკი თავისის თვალით დარწმუნდა,  
რომ მეამბოხეთა დამარცხებაზე გავრცელებული  
ხმები მართალი ყოფილაო. ქალაქში ერთი მეორეზე  
შემოჰყავდათ ტყვედ დაუერილი დაჭრილი მეამბო-  
ხენი, მათ შორის სტეფანე ყარაჯაც შემოიყვანეს;  
შემოჰყონდათ აგრედვე ოსმალთ გამარჯვების ნი-  
შანი: ანძაზე ჩამოცმული თავები იუნაკებისა...  
ზოგ მშობელთ თვალი უბრმავდებოდათ და თვისის  
შვილების თავებსა სცნობდნენ, სწორედ იმ შვი-  
ლებისას, რომელნიც ცოტა ხნის წინად სადლაც  
გაპერნენ...

ქალაქის ქუჩებზე ჰკვნესისა და ტირილის ხმა  
გაისმა... დედაბერს ტონკას ყველაზე მეტი ხვდა

იმ დროს: ჯერ იყო, თვისის ორ-ორის შვილის  
ამბავი არა იცოდა-რა, ცოცხლები იყვნენ თუ  
დახოცილნი, მერე—მწუხარებისაგან გაბოროტე-  
ბულნი მშობელნი ჯავრს ტონკაზე იყრიდნენ...  
ზოგ-ზოგი დედა თავისის თვალით ჰქედავდა, შვილი  
დამეღუპაო, თანაც იცოდნენ, რომ მათი შვილები  
ამ უბედურებამდე დედაბერ ტონკას სახლში და-  
იარებოდნენ; გულმოსაკლავ ტირილითა და ლრია-  
ლით სხვა ქალებთან ერთად მოდიოდნენ ტონკას  
სახლის ფანჯარებთან და ისე იყვნენ უბედურებით  
შეპყრობილნი, რომ არ იცოდნენ, რა სიტყვებით  
გამოეთქვათ თავიანთი წყევლა, გულისწყრომა და  
სიძულვილი ამ უბედურ ქალისადმი... ტონკამ  
მოაჯადოვა ჩვენი შვილები და „ბრუდე გზაზე“  
დააყენაო... ამ დროს რა გენია ჰტრიალებდა  
ტანკას გულში, კალმით ვერ აიწერება...

ამასობაში თავისის შვილების, ანგელისა და  
პეტრეს, ამბავი მაინც არა იცოდა-რა; ტყვეთა  
შორის არა სჩანდნენ; არც რუშიუკში მოტანილ  
მოჭრილ თავებთა შორის ერთა მათი თავები...  
საცოდავი დედა ხან რასა ჰფიქრობდა, ხან რასა,  
და აუწერლად იტანჯებოდა... ბოლოს ორი დღის  
უკან, მისმა უმცროსმა ქალმა, ანასტასიამ, ტირ-  
ნოვოს შოსეზე რომ ჰდარაჯობდა მთელი ის დრო,  
მოირბინა და სთქვა, ტირნოვოდან ახალი ტყვეები  
მოიყვანეს და მათში ჩვენი ანგელიც ურევიაო. ეს  
ამბავი ქალაქის დედაკაცებისგანაც გაიგო ტონკამა;

ესენი გროვად თავს იყრიდნენ მისის სახლის ფანჯრებთანა და ერთი მითქმა-მოთქმა ჰქონდათ, ბებერი დედა და მისი შვილები უნდა ჩამოაღრჩონ...

მართალია, დიდად სულგრძელი ადამიანი იყო ტონკა, მაგრამ ყველა ეს საშინელი ამბები, მეზობლების წყევლა და ნიშნის მოგება, მისის შვილების მომავალი ბედი—სულიერად სტანჯავდა და ზნეობრივად აუძლეურებდა ამ მოწამე-პატრიოტ ქალს თითქმის სასო წარეკვეთა საცოდავსა, ველარა ჰბედავდა უბედურებისთვის თვალი გაესწორებინა, ველარ ჰბედავდა თვითონ თავისის თვალით დარწმუნებულიყო, რომ მისს შვილებს საშველი გზა შეეკრათ, გაეგო მათი ამბავი, პირის-პირ დამდგარიყო მაზე გაბოროტებულ მცხოვრებთან... და აპა, თავის სახლში ჩაიკეტა. ეშინოდა რუშჩუკის ქუჩებზე გამოსვლისა, საღაც სწორედ ამ დროს ამართულიყო საბედისწერო სახრჩობელები და ტყვეები ზედ გაპყავდათ. უბედურებისაგან თითქმის გონ-დაკარგული საბრალო მოხუცი თავისს სახლში აქეთ-იქით ეწყვეტებოდა. ამ დროს ახლად მოყვანილ კომიტელებს გამოძიებითა სტანჯავდნენ. ბოლოს ველარ მოითმინა საშინელი სულიერი ტანჯვა, გამოვარდა სახლიდან და პირდაპირ სატუსალოსკენ გაექანა,—ჩემი შვილები უნდა ვნახო, რაღაც უნდა დამიჯდესო; ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ უფროსი შვილი, პეტრე ბალჭენში მოუკლეს

და სატუსალოში მარტო უმცროსი შვილი, ან-  
გელი იჯდა.

მაგრამ სატუსალოში შესვლა ძნელი იყო.  
უფროსები ფრიად გააოცა დედაბრის ჯიუტობამა  
და გამბედაობამა,—ხუმრობა საქმე ხომ არ იყო  
მეამბოხეთა ნახვა!...—ტონკა უბოდიშოდ გააგდეს.  
მაგრამ დედა-ბერი ტონკა ისეთი როდი იყო, რომ  
თვის გულისნადებზე ისე აღვილად ხელი აეღო!  
რამდენჯერმე ისევ მოვიდა სატუსალოში და ითხოვა,  
— შვილები მაჩვენეთო, მაგრამ მცველებს გული  
ვერაფრით მოულბო და უწყალოდ ერეკებოდნენ  
იქიდან; ბოლოს კიდეცა სცემა უანდარმა. ტონ-  
კამ კარგად იცოდა ოსმალთ მოხელეების ხასიათი.  
უველა სატუსალოს ზოსამსახურეებს საჩუქარი დაუ-  
რიგა,—სატუსალოს უფროსიდან მოყოლებული  
თვით უკანასკნელ ზაფთიამდე. ტონკა ამ ხერხით  
ბოლოს, როგორც იყო ფონს გავიდა: დაჭერილები  
აჩვენეს. ტონკა ისეთნაირად მიეგება შვილსა და  
სხვა ტყვეებსა, რომ მასთან მყოფი ოსმალოს  
მოხელენი სახტად დარჩნენ. ეგონათ , ცრემლად  
დაიღვრებაო, ტირილით აქაურობას აიკლებსო...  
და ის კი არა, ტონკა სატუსალოში თავდაჭერით  
შევიდა, დამშვიდებული, მკაცრის შეხედულობით,  
ტუჩებზე გესლიანი ლიმილი უკრთოდა. რა ძალას  
ად თავისს თავსა ტონკა,—ოსმალებს არ  
და არც უნდა გაეგოთ.  
— კამი მოგიძლვნათ მთელი ბოლგარეთის

სამეფომა,— დაცინვით უთხრა ოსმალურად ტონკამა ტუსალებს,— თქვენ გეთაყვანეთ, მითხარით ერთი ბებერსა, თქვენში რომელი დაიდგამს ბოლგარეთის მეფის გვირგვინსა, რომელი იქმნება ვალიფაშა და სხვა, როცა ოსმალთ გაპრეკავთ?“

მერე მიუბრუნდა შვილსა და ბრაზმორეულმა საყვედურით აავსო.

— მთვრალი იყავ, თუ რა ღმერთი გაგიწყრა, როცა ბოროტ ხალხის ფეხის ხმას აჰყევი და უკულმართ გზას დაადექი?! რატომ შენს მოხუცს დედას კი არა ჰქითხე რჩევა?! იმას რომ დაპითხებოდი, გეტყოდა, რომ ოსმალთ სამეფო თვით ღვთისაგან არის კურთხეული და რომ ბოლგარნი საუკუნოდ უნდა ტანჯვა-წვალებაში იყვნენ და რაიებად დარჩენენ!..“

ტონკამ ისტატურად ითვალთმაქცა. კომიტელებიც რა თქმა უნდა მიუხვდნენ მისს ხერხსა, ჰქვიანი მოხუცი დედაბერი საწადელს ეწია. ოსმალებმა შეაქეს, ბარაქალა შენს ჰკუა-გონებასაო, „ყოჩალი-დედაბერი“ უწოდეს, მხარზე ხელი დაუცაცუნეს და ნება მისცეს, სატუსალოში, როცა გინდა, მაშინ მოდიო. ქურდისაც ბელი ლამე უნდოდა. ტონკა ყოველ-დღე დადიოდა, თან მოჰქონდა საჭმელი და ტანისამოსი როგორც შვილებისა; ისე ყველა მის დაჭერილ ამხანაგებისათვის...“ უძილ

მთელი თვე დადიოდა ტონკა სატუსალოში და ჰპატრონობდა ტყვეებსა. ერთის თვეს უკან

სასამართლომ ზოგიერთ მეამბოხეთ სასჯელი შეუ-  
მსუბუქა, მათს შორის ტონკას შვილს, --ანგელ  
ობრეტენოვს, —ჩამოხრჩობის მაგიერ საუკუნოდ  
სენქან-დარკის ციხეში ჯდომა გადაუწყვიტეს, და  
მალე კიდევ წაიყვანეს ყველანი. დედაბერმა  
ტონკამ მოუგროვა ფული, საგზაოდ რაც ესაჭიროე-  
ბოდათ, უშოვა; ერთის სიტყვით, თავის მხრივ  
ცდა არ დაუკლია, ძვირფას მოწამე-იუნაკების  
შავის დღისათვის, ცოტათიც არის, მალამო დაედო.

2.

ცუდი დღე დაუდგა დედაბერ ტონკასა! ორი  
უფროსი შვილი ხომ დაპკარგა, მერე ქმარიც  
მოუკვდა, — ამხანაგმა მოსწამლა იმ აზრით, იქნება  
ტიხო ობრეტენოვის ფული და ქონება მე დამრ-  
ჩესო. ქვრივი თითქმის ცარიელი დარჩა, ლუკმა-  
პურის შოვნის სახსარი გაუწყდა, სარჩენი კი სამ-  
სამი ვაჟი და ორი ქალი კიდევა ჰყავდა. მაგრამ  
გული არ გაიტეხა დ მხნედ დაიწყო შრომა.  
შვილებისათვის ჰზრუნავდა, ოჯახს თავს დაჰფუს-  
ფუსებდა; მაგრამ არც სამშობლო ავიწყდებოდა.

განსაკუდელის დრო იყო (1868—1871 წ.);  
პატრიოტული მოძრაობა დროებით შეჩერდა ბოლ-  
გარელმა ახალგაზდობამ გულ-ხელი დაიკრიფა.  
ტონკას ის აწუხებდა, რომ რუშების სახრჩობე-  
ლაზე დასჯილი მოწამეები თან-და თან ავიწყდებათო,

მათი ყველა პატრიოტისათვის ძვირფასი საფლავები მიწასთან სწორდებათ, ზედ შამბი ამოდისო... და აპა, მალულად დაიწყო სიარული, —გამოცხადებით სიარული არ შეიძლებოდა, — დასჯილთა სასა-ფლავოს სწმენდდა შამბისაგან, ჰრგავდა ყვავილებსა, უნთებდა სანთლებსა, მღვდელს ეხვეწებოდა, მა-ლულად: ღამ-ღამე პანაშვიდი გადაუხადეო, წვითა და დაგვით ნაშოენ უკანასკნელ ფულს იმაში ჰქარჯავდა, უბრალო მატურები ეყიდნა, — ზედ აწერინაბდა სახელსა, აწერინებდა როდისა და რისთვის დაიხოცნენ და ადგამდა საყვარელ საფლავებსა ამავე დროს რის ვაი-ვაგლახით მოახერხა და ამოსთხარა სტეფანე ყარაჯის თავი. ამ თავს ზანდუქში მოწიწებით დღემდეც ინახაუს. რა თქმა უნდა, სასაფლავოს მცველებს არ გამოე-პარებოდათ, ტონკა როგორა ჰზრუნავდა თავისის ძვირფასის მიცვალებულთა საფლავებისათვის და პირველში ერეკებოლნენ იქიდან; მაგრამ ძლვენს აძლევდა, ზოგს აჩუქებდა რასმე და ამგვარად ყველას გული მოულბო. მცველები ცოტ-ცოტათი შეეჩივნენ ტონკასა და ჰშველოდნენ საფლავების მოვლასა.

როგორცა ვსთქით, ყველას მიეძინა: მოძრაობის ნიშანწყალი არსადა სჩანდა, ერთი ცოცხალი სიტყვა რა არის, არსაიდან ისმოდა, არავინ იძახდა, — სამშობლოს ვუშველოთო; — ჩვენს გმირს ქალსაც სხვა მეტი არა დარჩენოდა-რა, ჰგლოვობდა

თავისს შვილებსა, არ ივიწყებდა დახოცილ მებრძოლთა და წამებულთა...

მაგრამ აპა, დადგა 1871 წელიწადი. პატრიოტულმა მოძრაობამ კვლავ ფეხი იიდგა. დედაბერი ტონკა მთელის თვისის ძალლონით ჩაება ამ საზოგადო ფერხულში. განუდრეკელი ხასიათი და ზნეობრივი ძალ-ღონე ტონკას ისევ შერჩენოდა. გარდა ამისა, ხუთი შვილი კიდევა ჰყავდა. მაშასადამე, კიდევ შეეძლო ბევრი რითომე დაპხმარებოდა თავისს დაჩაგრულს სამშობლოსა, ბევრი რამ შეეძლო შეეწირნა მისის განთავისუფლებისათვის... ტონკაც ჩველაფრით დაეხმარა, ჩველაფრი შესწირა...

ამ დროს სამოლვაწეოდ გამოვიდნენ ისეთი „მოციქულები“ თავისუფლებისა, როგორებიც იყვნენ ანგელ კინჩევი, დიაკონი ლევსკი და სხვ. ამათის მეთაურობით რუშჩუქში დაწესდა „ბოლგართ საიდუმლო კომიტეტი.“ პირველი კრება დედაბერ ტონკას სახლში ჰქონდათ. ამ კრებაზე დამსწრე ტონკამ ფრიად განაცვითრა თვისის გულადობითა, მხნეობითა, გულ-გაუტეხლობითა. მთელი ღამე თეთრად გაათენა, წამ-და-უწუმეზოში გამოდიოდა, ათვალიერებდა ყველა კუთხეებსა, შეთქმულებს ჩუმად ყურს ხომ არავინ უგდებსო, მერე ისევ ოთახში შემოდიოდა, საღაც მოლაპარაკება ჰქონდათ; დიდის აღტაცებით უსმენდა ნათქვამსა, კომიტეტის წევრებს ამხნევებდა, აფიცებდა, ამ

წმიდა ბრძოლას სულის უკანასკნელ აღმოხდამდე თავს ნუ დაანებებთო, უკანასკნელ სისხლის წვე-თამდე იბრძოლეთო. საშინლად უხაროდა, საქმე კვლავ აღიძრაო, წინანდელმა მსხვერპლმა, რომელ-შიც თვითონაც ედო წილი, —უქმად არ ჩაიარა, დათესილი თესლი მიწაში უხმოდ არ ჩალპაო...

ახლა ისიც მოიგონეთ, რომ ეს ამბავი მაშინ იყო, როცა ოსმალები საშინლადა სდევნიდნენ სამშობლოის გულ-შემატკივართა, როცა ყოველგან სახრჩობელები იყო ამართული, —მოწიწებით მუხლი უნდა მოიდრიკოთ ამ წმიდა დედაბრის წინაშე და შესძახოთ: სახელი და დიდება შენ, დიდებულო მამულის-შვილო! მართალია, აწმყო ბევრს არაფერს სანუგეშოს წარმოადგენს, მაგრამ მაინც გვწამს, რომ იმ ერს, რომელმაც დაპატიჟა დედაბერ ტონკას მსგავსი ადამიანი, მტერი ვერას დაკლებს...

საიდუმლო კომიტეტი, ლევსკის აზრით. რუ-შჩუკში იმისათვის დაარსდა, რომ რუმინიასთან მისვლა-მოსვლა გაეადვილებინათ, და საზღვარ-გარეთიდან ბოლგარეთში ადვილად შემოეტანათ თოფ-იარალი, ალკოჰოლული წიგნები და სხვ. ამი-ტომ, ყოველთ უწინარეს, ისეთი საიმედო ადგილი უნდა მოეძებნათ, სადაც შესაძლებელი იქმნებოდა დაემალნათ თოფ-იარალი და აქ მოსული „მოცი-ქულები“. დედაბერ ტონკასთანა საიმედო კაცს აბა ვის იპოვიდნენ! და აპა, მისი სახლი აირჩიეს საწყობად და შესაკრებელ ადგილად. ამ აზრით,

ტონკასიანებმა დიდის სიფრთხილით სახლის ერთ-ერთ ოთახის ქვეშ ლრმად მიწა ამოსთხარეს, სადაც თოფ-იარალი უნდა შეენახათ და, როცა საჭირო იქმნებოდა, რამდენსამე კაცსაც შეეძლოთ დამალვა. ტონკამ ყოველ შემთხვევისათვის ეზოში რამდენიმე პატარა კარებიც გააკეთა, თუ ვინცობაა უეცრად თავს დაესხმოდნენ, ტონკას სახლს გაუჩხრეკდნენ, დამალულებს შეეძლოთ ამ კარებიდან თავისთვის ეშველათ... გარდა ამისა, დედაბერმა ტონკამა, რომელიც კომიტეტის ბრძანებით ჰმოქმედებდა, რამდენიმე რუმინელი მენავეები მოიმხრო და რუმინიიდან მათს საშუალებით ყველაფერი შემოჰკონდათ, რაც კი საჭირო იყო მომავალ აჯანყებისათვის; ნავებით მოტანილს ნივთებს ტონკა და მისიანები ღამით მიწის ქვეშ ჰმალავდნენ. ტონკასა, მისს ქალებსა და კიდევ რამდენსამე სხვა დედა-კაცებსა, რომელთა შორის დავასახელებთ, ნატალია ყარაველოვასა, ლიუბენ ყარაველოვის ცოლსა, რამდენჯერ შემოუტანიათ კაბებ ქვეშ დამალული ხმლები, რევოლვერები, წიგნები, გაზეთები და სხვ. რუმინიიდან რუშჩუკში!... ვინ იცის, რამდენჯერ კიდებულია მათი სიცოცხლე ბეწვზედა!... ტონკას უფროსი ქალი, პეტრანა, როცა საჭირო იქმნებოდა, წერილებს ატარებდა რუმინიასა, რუშჩუკსა და ტირნოვოს შუა და ასრულებდა სხვა-და-სხვა მინდობილობასა კომიტეტისასა. პეტრანავე ჰკერავდა რაზმებისათვის დროშებსა... ამავე დროს

უმცროსი ვაჟი გიორგი, ტონკამ ოდესაში გაგზავნა, სამხედრო ხელობა ისწავლე, მალე გამოგვადგება შენი ცოდნაო... საზოგადოდ, ტონკა ამ დროს ბევრს რასმე აკეთებდა, ყველგან ერევოდა მისი კურთხეული დაუღალავი მარჯვენა... ვინ იცის, ვინ არ მოდიოდა მისს სახლში; ყოველთვის ბუზივით ირეოდა ხოლმე ხალხი მისას ცნობის-მოყვარე მეზობლებს, რა თქმა უნდა, ეს ამბავი შეუმჩნევლად არ გამოეპარათ. ტონკას საბედნიეროდ, მეზობლებმა არ იცოდნენ ვინ ან რისთვის დადიოდნენ მასთან, და გადასწყვიტეს, ტონკა, ალბად, მკითხაობს და ეგ ამოდენა ხალხი კიდეც იმიტომ აწყდება მისს სახლსაო.

ამაობაში დადგა შემოდგომა 1875 წლისა, როცა უნდა მომხდარიყო საერთო აჯანყება; სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო, აღარ მოხდა, მხოლოდ აქა-იქ მოახდინეს ამბოხება, როგორც მაგალითად ძევლს ზაგორაში, შუმლაში, ჩერვენოვოდაში (რუშების ახლო) და სხვ.

რა თქმა უნდა, კვლავ იჩინა თავი ოსმალთ მტარვალობამა... რუშებიში მთავრობამ, უწინარეს ყოველთა, ყურადღება დედაბერ ტონკას მიაქცია, რომელსაც წინანდელი ცოდვები ისევ აწვა სულზე; იმისი შვილები — ნიკოლაი და გიორგი, იმ ხანებში ოდესიდან დაიბარეს, და იმ აჯანყებაში ერივნენ; ახლა ორივე დედის სახლში იმაღებოდნენ; მათთან ერთად რამდენიმე მათი ამხანაგიც იფარავდნენ

თავსა. ერთს ლამეს ტონკას პოლიცია დაესხა თავსა. მაგრამ ვერც მეამბოხენი იპოვნეს და ველარც სხვა რამე. გვერდის კარებიდან ყველამ ღრუითვე უშველეს თავსა,—უშველეს თავსა პეტრანამა და მისმა ძმებმაც, თორემ არც იმათ დაინდობდნენ... მიწისქვეშეთი თოფ-იარალითა და წიგნებით იყო სავსე, მაგრამ ტონკამ იმდენი ითვალმაქუა, ისე ოსტატურად მოიქცა, რომ პოლიციამ ველარ აღმოაჩინა .. მართალია, მთავრობა პირჩალა-გამოვლებული დარჩა, მაგრამ მაინც თავისას გაიძახდნენ,—დედა-ბერი ტონკაა, რაც არისო, ის არ იყო, ასე აშკარად რომ ჩააყენა თავისი შვილები მეამბოხეებში?! ემუქრებოდნენ— სახრჩობელა არ აგცდებაო! დედაბერი ტონკა ქრისტეს აჩუას დაემსგავსა, იცინოდა, ხუმრობას მოჰყვა:

— დამაცადეთ, მალე ხელახლა გავთხოვდები,— სერიოზულად ეუბნებოდა ოსმალთ მრისხანე მოხელეებსა, როცა ისინი ხელახლა მისს ოთხს მეამბოხე შვილს მოაგონებდნენ.

— ეს შვილები, მართალი უნდა სთქვას კაცმა, როგორც მინდოდა, ისეთები ვერ გამოვიდნენ. მაგრამ ახლა ვეცდები, სულთანის დუშმანები მეტად არა ვშობო... .

მოხელეები ძალა-უნებურად იცინოდნენ ნნწლის დედა-ბრის, ან როგორც ეძახდნენ, ამ „ხოჯა კომიტის“ მასხარობაზე, და ჯერხანობით არ იჭერდნენ.

თავისუფლება კი დედა-ბერ ტონკას ძალიანა სჭირდებოდა, რადგან საქმე იმდენი ჰქონდა გასა-კეთებელი, რომ ძლივსლა ასდიოდა. რუშჩუკის სატუსალო, როგორც ბევრ სხვაგან, სავსე იყო ბოლგარელ პატრიოტებითა, რომლებზედაც მთავ-რობამ ეჭვი აიღო, რევოლიუციაში მონაწილეობას იღებენო. ბევრი შენიშნულები, მათ შორის ტონ-კას შვილები ნიკოლაი და გიორგი, — გაიჭინენ რუმინიაში და უურუევოში სცხოვრობდნენ ლუკმა-პურის სახსარ-გაწყვეტილნი. საჭირო იყო, რადაც უნდა დასჯდომოდათ, დახმარებოდნენ თრსავე, — დაჭერილთაც და გადახვეწილთაც. აი, ამ წმიდა საქმის დახმარებას შესწირა სავსებით მთელი თავისი ძალ-ლონე გმირ-პატრიოტმა ტონკამა თვითონ ლვთის განაჩენი არა ებადა-რა საცოდავსა და ამი-ტომ ყოველი ცისმარე დღე დაწანწალებდა რუშ-ჩუკელ ბოლგარელთა სახლებსა და დუქნებში, ფულებსა და შესაწირავს აგროვებდა ამ წმიდა ააქმისათვის.

საბედისწერო 1868 წლიდან დიდი ხანი გავი-და; ბოლგარელები ამ დროის განმავლობაში კულისხმაში ჩავარდნენ; — დედა-ბერ ტონკას წინან-დებურად არა ჰლანძლავდნენ, არ ათრევდნენ, არა აწყევლიდნენ და ვისაც რა შეეძლო, არ უჭერ-ზნენ. ისიც შეგროვილს ფულებს ჯერ სატუსალოში ჰიარბენინებდა, სადაც წინანდებურად, თავისუ-ფლად შეეძლო შესვლა, — სატუსალოდან დუნაიზე

გადიოდა გადახვეწილებთან, აცმევდა, აჭმევდა, ასმევდა ყველასა; უკან მათი საცვლები და ტანი-სამოსები შინ მოჰქონდა, ჰრეცხდა, აკერებდა, მე-რე უურუევოში გაჰქონდა; და, ამგვარად დარბოდა, ფაცა-ფუცში იყო, ჰზრუნავდა, დღესა-და-ლამეს ასწორებდა მუშაობაში თვისის უბედურ თანამო-ძმეთათვის. ცუდი დღე დაადგებოდათ ბოლგარელ ემიგრანტებს, რომ ლმერთს მათთვის უურუევოში არ მიეცა მხნე მოსიყვარულე თავისუფლების საქ-მისა და მისთვის მებრძოლთათვის თავდადებული დედაბერი ტონკა!...

1876 წ. ახალი მწუხარება და უბედურება დაატყდა თავს დედაბერ ტონკასა. მისი რუმინიაში გაქცეული შვილები ჩუმად შემოიპარნენ სამშო-ბლოში, „მოციქულობა“ იკისრეს და მხნედ შეუ-დგნენ ქადაგებას და ხალხის მომზადებას საერთო აჯანყებისათვის. აჯანყება მოხდა კიდეცა,—და აქ, ტონკას ეს ორი ვაჟიც დაეღუპა: გიორგი ოსმა-ლებთან ბრძოლაში მოჰკლეს, ნიკოლაი ცოცხალი შეიპურეს და ხუნდებ-გაყრილი, სხვა იუნაკებთან ერთად რუშჩუკში მოიყვანეს, აქედან კიდევ სენ-უან-დარკის ციხეში გაგზავნეს, სადაც, შვიდი წელიწადი იყო, მისი უფროსი ძმა, ანგელი, იტანჯებოდა...

ტყვეები დიდის ამბით გააცილეს... ოსმალნი გაშინ ძალზე დაფიქრდნენ და საგონებელს ჩავარ-დნენ. მართალია, ოსმალნი მეამბოხეთ სასტიკადა

სჯიდნენ, ამ შემთხვევაში მათმა გულმა შებრალება  
არ იცოდა, და მაინც, დღეს რომ ერთს ალაგას  
აჯანყდებოდა ხალხი, ხვალ მეორე ადგილას იჩენდა  
თავს იმნაირივე აჯანყება. და თან-და-თან სერიო-  
ზული და საშიში სახე ეძლეოდა ამ ამბოხებასა.  
საქმე უარესად მწვავდებოდა და ოსმალები და-  
ფიქრდნენ, —ბოლგარელები არა ხუმრობენო!..  
თვითონ ბოლგარელთ მხნეობა და გამბედაობა  
მოიკრიფეს, თავი მაღლა აიღეს. როცა ჰაჯი ლიმი-  
ტრის და სტეფანე ყარაჯის ამხანაგებს სწყვეტდნენ,  
ბოლგარელები თავზარ-დაცემულნი თავიანთს სორო-  
ებში ძერებოდნენ დასამალავად და ფიქრსაც კი  
ვეღარა ჰბედავდნენ, ასე თუ ისე, აშკარად გამოე-  
ცხადებინათ თავიანთი თანაგრძნობა ოსმალებისაგან  
დევნილ და ათვალისწინებულ თვის მოძმეთათვის.  
ახლა კი, 1876 წ., ტყვეებს ხელში ყვავილებით  
ასობით აცილებდნენ ბოლგარელნი ქალი თუ კაცი...  
დედა-ბერი ტონკა, ამაყად თავ-ალებული ყველაზე  
წინ მიდიოდა, თვის შვილს მოსდევდა, ხმა-მაღლა  
ლაპარაკობდა: ეს ოთხი შვილი შევსწირე თავი-  
სუფლებისათვის ბრძოლასაო! თანაც უმატებდა,—  
ახლა კიდევ სხვა ოთხიც რომ მყავდეს, იმათაც  
ვანაცვალებდი იმავე თავისუფლების ბრძოლასაო! .

1888 წ. სენ-სტეფანეს ზავის შემდეგ, და-  
ობლებულ დედა-ბერს ტონკას უდიდესი ბედნიე-  
რება ეღირსა: თვისს მრავალ-ტანჯულს მოხუც  
გულზე მიიკრა თვისი შვილები მცირე აზიის ცი-

ხიდან გამოშვებულები. პირველი ნიკო დაბრუნდა, ციხეში ორი წელიწადი იჯდა. ანგელი მერე გამოუშვეს. იმასა და მისის შვილის ამხანაგს ოსმალეთის მთავრობა დიდ ხანს არ უშვებდა,— ჰაჯი-დიმიტრის ამხანაგები პოლიტიკური დამნაშავენი კი არა, უბრალო ავაზაკები არიანო.

---

დედა-ბერი ტონკა, ყველასაგან დავიწყებული და თავ-მინებებული, დღესაც ცოცხალია. მასთან ერთად სცხოვრობენ მისი ციხიდან გამოშვებული ორი ვაჟი, რომელთაც ვითარცა „არა-საიმედოდ“ (რა სისაძაგლეა, მკითხველო!) ყოველ დღე დააწო-წიალებენ პოლიციაში, ჯაშუშებს უჩენენ, ნებას არ აძლევენ რამე გააკეთონ... მთელი მისი სიმღიდორე, მისი წარსული ცხოვრება მოგონებაა გავლილის ამბებისა, რომელთაც ყველას დიდის სიამოვნებით უზიარებს ხოლმე, ვინც კი მისს სანახავად მიდის. განსაკუთრებით ამაყობს სტეფანე ყარაჯის თავის ქალათი, რომელსაც მოწიწებით თავის ზანდუკში ინახავს...

მისის უფროსის ქალის, პეტრანასი, და მეხუთე ვაჟისა, ტანასისა, არა ვიცით-რა. უმცროსი ქალი, ანასტასია კი, ცოლადა ჰყავს ბოლგართა ნიჭიერს მწერალს და სახელოვანს პოლიტიკურს მოლვაწეს, ზაქარია სტოიანოვს.

---

V

დიაკონი ლევსკი.

I

სხვა მრავალთა თავდადებულ მამულის შვილთა და მებრძოლთა შორის, რომელთაც თვისის ქვეყნის ბედნიერებასა და კეთილდღეობასა, უმეტეს შემთხვევაში, თავისი სიცოცხლე შესწირეს, ერთი უპირველესი და უბრწყინვალესი ადგილი დიაკონ ლევსკის უჭირავს. ამ შესანიშნავ მამულის შვილის ცხოვრება და მოლვაწეობა ახლა გვსურს მკითხველს გავაცნოთ.

როგორც ახლავე დავინახავთ, აწინდელი განთავისუფლებული ბოლგარეთი ყველა თავისს შვილებზედ მეტად ლევსკის უნდა უმადლიდეს; განთავისუფლებისათვის ოსმალთ-მიერ დამონავებულის ბოლგარელ ხალხის მომზადება ლევსკიმ დაიწყო; ლევსკიმ შეუწყო ხელი მომავალის ბრძოლის სამზადისსა, თუმცა სახრჩობელამ არ დააცალა ამ სამზადისის ფრთის გაშლა ენახა. კიდეც იმიტომაა, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლთა შორის პირველს ლევსკის — და ჯერ-ჯერობით ერთად-ერთს — აუგეს ძეგლი მადლიერმა ბოლგარებმა თავისის სამშობლოს სატახტო ქალაქის ერთ-ერთს მოედანზე.

ვასილი ლევსკი დაიბადა 1837 წ. ქ. კარ-

ლოვოში (რუმელიას). მშობლები მეტად ლარიბები ჰყავდა. მამის სიკვდილს შემდეგ მთელი ოჯახი ულუკმა-პუროდ დარჩა. მაშინ ცხრა წლისა იყო ვასილი და ადგილობრივს სამოქალაქო სასწავლებელში სწავლობდა. სწავლაში მეტის-მეტს ნიჭს იჩენდა მომავალი მებრძოლი მამულისათვის.

14 წლისა რომ შეიქნა, ბიძამ, ჰაჯი ვასილიმ, ქ. ძველზაგორაში წაიყვანა. ჰაჯი ვასილი არქიმანდრიტად იყო ერთის ბოლგართა მონასტრისა. აქ, ბერებ-შორის, ლევსკიმ სამი წელიწადი დაჰყო. ემსახურებოდა თავისს ბიძასა და ამავე დროს იქაურს სასწავლებელში დადიოდა.

შემდეგ ვ. ლევსკის ისევ კორდოვოში ვხედავთ, სადაც ამაოდ დაეძებს რასმე სამუშავოსა. ბიძამ, არქიმანდრიტმა ჰაჯი ვასილიმ, ურჩია, ბერად აღიკვეცე. ბერობა ბიძამ ლევსკის იმიტომ ურჩია, რომ ძმისწულის ბერობა მისთვის პირადად სარტა იყო. ჯერ ერთი, ნათესავია და საიმედო თანაშემწე მეყოლება „ნებაყოფლობითის“ საჩუქრებისა და შესაწირავის მოვროვებაშიო, მეორეც, თვითონ ლარიბია და ბერობა უზრუნველ ლუკმა-პურს გაუჩენსო, დაჯდეს და სჭამოსო.

ვასილმა ჯერ უარი უთხრა ბიძასა, ბერად არ შევალო. სწავლა სწყუროდა და სთხოვა, როგორ-მე დამეხმარე და სემინარიაში მიმაბარე. ჰაჯი ვასილი დასთანხმდა, სემინარიაში მიგაბარებ, სწავლის დროს ფულითაც შეგეწევით და ჩემს სიკვ-

დილს შემდეგაც მთელს ჩემს ქონებას შენ დაგიტოვებ, მხოლოდ ბერად უეჭველად უნდა აღიკვეცოთ. თუ ბერად არ წამოხვალ, შიმშილითაც რომ მოკვდე, არ მოგხედავო... მეტი გზა არ იყო, დასთანხმდა და 19 წლის ლევსკი ეგნატეს სახელით ბერად შესდგა.

რომ აღიკვეცა, სამის დღის შემდეგ ვასილი ქ. კარლოვში სვიატოგორის მონასტერში წაიყვანეს. აქ ორმოცი დღე ამარხულეს. ამ ორმოცის დღის მარხულებითა და ლოცვით უნდა შეჩვეულიყო მოთმინებასა და სიმუშიდესა, ამ ქვეყნით განდგომასა.

მარხულობის გათავების შემდეგ დიაკონი ვასილი ერთს კარდოველ მასწავლებელს მიებარა და, ის-ის იყო, სწავლა უნდა დაეწყო, ისე გაზაფხულზე მისი ბიძა, არქიმანდრიტი ჰაჯი ვასილი, მოვიდა და თავისს ნათესავს, ახლა კი იერარქიულად ხელქვეითს, უბრძანა, სოფლები უნდა დავიარო, გამომყევი, კულტის აღებაში მიშველეო ვასილს ბარემ ემძიმებოდა გაყოლა, მაგრამ რას იზამდა, გაიმაგრა გული და გაჰყა.

ბიძასა და ძმისწულს შორის განხეთქილება უფრო გამწვავდა, წამ-და-უწუმ ჩხუბი და აყალ-მაყალი ჰქონდათ ხოლმე, ამიტომ რომ ლევსკი უარს ამბობდა, ეს დამამცირებელი ხელობა ჩემი საქმე არ არისო. სოფელი რომ მთლად დაიარეს, ბევრი არა უკლდა-რა, რომ არქიმანდრიტი და დიაკონი ერთ-მანერთს გაშორებოდნენ.

1860 წლიდან ახალი ხანა იწყება ვასილის ცხოვრებისა. ამ წელიწადს მისი ბიძა იერუსალიმს წავიდა, ხოლო ძმისწულს გროში-კაპეიკი არ დაუტოვა სარჩოდ. ეგ არაფერი, თავისი ცხენიც კი იმას მიუგდო: ჩემ ჩამოსვლამდე შეინახეო. ძმისწულმა ჰკითხა:

— ბატონო, ამოდენა ხანს ან მე რა ვჭამო და ან ცხენი რითი გამოვკვებოვო?

არქიმანდრიტმა უპასუხა;

— ითხოვე და, რაც მოგცენ, იმას დასჯერდი. ანაფორა მაშ რილასთვის გაცვია, თუ არ ამისათვისო?!

ბიძის წასვლის შემდეგ ლევსკი დედასთან წამოვიდა და დღეს-ხვალობით მუშაობით თავს ირჩენდა. ბუნებითვე ჰქონდა თანდაყოლილი სიძულვილი ყველა წურბელა და შემავიწროებელთა, — ბერებისა, ბერძენთა, ჩორბაჯრებისა, (ვაჭრებისა) და ოსმალთა; ახლა კი, რაც ბიძის წყალობით დამცირება და შეურაცხყოფა აიტანა, ეს სიძულვილი უფრო გაეზარდა. თვითონ ცხოვრებამ გარდაქმნა ბერი თავისუფლებისათვის თავგამოდებულ მებრძოლად. მართალია, ლევსკი ემდუროდა თავისს აწმუნ ცხოვრებასა, ეტანებოდა უკეთესს მერმისსა, ეძებდა ღონესა და საშუალებასა ამ უკეთესის მერმისის მისაღწევად, მაგრამ იმ დროს ბრუნდი, გაურკვეველი

წარმოდგენა ჰქონდა ყოველისავე. და, ერთმა ღმე-  
რთმა უწყის, ლევსკი რა იქმნებოდა, რომ, მის  
ბედად, კარლოვოში ცოტას ხნით მაინც ბოლგარ-  
თა ცნობილი მსწავლიული და პატრიოტი, რაკოვსკი,  
არ მოსულიყო. რაკოვსკის ჩვენი ლევსკი მაშინა-  
დვე გაეცნო. რამდენადაც ვიცით, ლევსკი რაკოვ-  
სკიმ დააყენა გზაზედ, იმან გაუღვიძა სამშობლოს  
სიყვარულის გრძნობა, იმის წყალობით დაიწყო ზრუნ-  
ვა ლევსკიმ პოლიტიკურ თავისუფლებისათვის, და  
შემდეგში მთელი მისი მოღვაწეობა სამშობლოს  
საბედნიეროდ და პოლიტიკურ თავისუფლების  
მოპოვებისაკენ იყო მომართული.... ვასილმა თავი  
ანება ბერებსა, და გარემოიკრიბა კარლოვოს მო-  
წინავე ახალგაზღობა და უხსნიდა: მტერს მტრუ-  
ლად მოვეპყრათ, თავისუფლება უნდა მოვიპო-  
ვოთო. სულ იმასა ლაპარაკობდა — რა გზითა და  
საშუალებით ვიხსნათ ჩვენი დამონავებული ბოლგა-  
რეთიო. მაშინდელ მის ამხანაგთაგანი, შემდეგში  
ბევრი საუკეთესო მებრძოლი დადგა თავისუ-  
ფლებისათვის.

ამასობაში არქიმანდრიტი ჰაჯი ვასილი იერუ-  
სალიმიდან დაბრუნდა და მაშინადვე უბრძანა  
ლევსკის, გამომყე, კულუხები უნდა მოვაგროვოთო.  
ლევსკიმ გადაწყვეტილი უარი უთხრა. ამის შემდეგ  
ბიძა და ძმისწული საბოლოოდ გაშორდნენ ერთ-  
მანერთსა. ლევსკის უხაროდა, ძლივს დავახწიე  
თავი იმ ჯოჯოხეთსა, სადაც ახალგაზღობაში სული

ამოვირთვი და ისედაც გამწარებული სიცოცხლე უარესად გავიმწარე.

მაშინდელ ბოლგართათვის აღთქმის ქვეყანად სერბია და რუმინია ითვლებოდა. ვასილმაც იქით გადასწყვიტა წასვლა. გაგონილიცა ჰქონდა, იქ, დუნაის გალმა, ბევრი მამულიშვილია გადახვეწილი, თავის მშობელ ერის განთავისუფლების აზრით გამსჭვალულიო. მაგრამ იქ გადასვლას ბევრი დაბრკოლება ელობებოდა წინ. ჯერ ერთი, საგზაოდ ფული იყო საჭირო. რის ვაი-ვაგლახით იშოვნა ნაცნობ-მეგობრებისაგან რამდენიმე ლირა; გაპყიდა თავისი ზოგიერთი საჭირო შესამოსელი და იქიდანაც აიღო ცოტაოდენი; ნათესავებმა **ქაზილევი** (მოწმობა) აშოვნინეს პლოვდივაში **თმსეშირის** (პასპორტის) ასაღებად, წაიყვანა ბიძის ცხენი,— ამდენი ხანი ვემსახურე და ეს მე მერგებაო, და კარლოვოდან გაპქრა.

ცხენის დაკარგვა რომ შეიტყო, ჰაჯი ვასილი მაშინვე ძებნას შეუდგა, თანაც ძმისწულს ემუ-ქრებოდა, ციხეში უნდა ამოვაყოფინო თავიო. მაგრამ ვასილი კვალ-წმინდად განქრა. საჩქაროზე პლოვდივაში მიიჭრა, აიღო პასპორტი და სერბიაში გასწია ნიშაში რომ მივიდა, ცხენი გაპყიდა, შავი ანაფორა გადიძრო, თმა გაიკრიჭა, ვასილი ივანოვი დაირქვა, და 1862 წ. მარტის თვეში საზღვარს გადაახწია.

ერთი გარემოება იყო მიზეზი, რომ ლევსკი

სახელდობრ სერბიაში გადაიხვეწა და არა სხვაგან. იმ ხანებში ბელგრადელ სერბთა და ამ ქალაქში გარნიზონად მდგარ. ოსმალთა შორის დამოკიდებულება მეტად გამწვავდა. სერბებს უნდოდათ ოსმალთა განდევნა, და ამ განდევნის აზრი მთელს ქალაქს მოეფინა; წამ-და-უწუმ მოელოდნენ ჩხუბის ატეხასა და სისხლის ლვრასა. სერბები ამ ჩხუბისათვის ემზადებოდნენ; ამ ჩხუბს მოუთმენლად მოელოდნენ ბოლგარიიდან გადმოხვეწილნიცა, გულით უნდოდათ საზიზლარ თავის გამკლავებოდნენ, თუნდაც უცხო მხარეში, და ყოველ მხრიდან ბელგრადში იყრიდნენ თავსა...

აი, ამ მიზეზით წამოვიდა ლევსკი სერბიაში... აქ მაშინადვე მიეკედლა ერთს დიდს გუნდს, რომელიც ბოლგარელ ემიგრანტ ვოლონტერთა შეედგინათ, შიგ ითვლებოდა 800 კაცი; ამ გუნდის შესანახად თავადმა ბოგორიოდიმ, მერე აღმოსავლეთ რუმელის გენერალ-გუბერნატორმა, ნ,000 ლირი შესწირა. ამ გუნდის შედგენის ერთი მოთავეთაგანი და წინამძლოლი რაკოვსკი იყო.

1862 წელს მაისში სერბთა და ოსმალთა შორის ომი მართლაც ასტყდა. ციხეში მყოფმა ოსმალთ გარნიზონმა ქალაქს თოფ-ზარბაზანი დაუშინა, ქუჩები სისხლით მოირწყო; ასტყდა გაცხარებული ბრძოლა და ეს ბრძოლა იმით გათავდა, რომ ციხეში მომწყვდეულმა ოსმალთ გარნიზონმა სერბთა წინაშე ქედი მოიხარა, თავისი თავი

დამარცხებულად აღიარა. ამგვარად, გამარჯვება სერბთა დარჩათ. ამ უკანასკნელთ ბოლგართა გუნდმა გაამარჯვებინა. ბოლგარნი სერბებზე ადრე ეძგერნენ ოსმალთა და, სამის დღის მამაცურად და თავგამოდებით ბრძოლის დროს, იქ ამოჰყოფდნენ ხოლმე თავსა, სადაც უფრო საჭირო იყო მიშველება. დამსწრენი მოგვითხრობენ, რომ დიაკვანმა ლევსკიმ იმ დღეს გააკვირვა ყველანი თავისის მამაცობითაო. პირველად ის ავიდა თურმე ხმალ ამოწვდილი ციხის ერთს კოშკზედ, სადაც ოსმალნი ძალიან გაუძალდნენ, მაგრამ მაინც ამოსწყვიტეს.

ბოლგარელი ემიგრანტნი ოსმალ-სერბთა ბრძოლაში, როგორცა ვსთქვით, დიდს მონაწილეობას იღებდნენ. გაგრამ მარტო იმისათვის არ იბრძოდნენ, აქაო-და ჩვენის სამშობლოს მტერნი არიანო. არა, ამ შემთხვევაში სხვა იმედებიცა ჰქონდათ. ახლა ამათ რომ მოვეხმარებით, როცა ჩვენის სამშობლოს განთავისუფლებას მოვინდომებთ, ესენი ჩვენც მოგვეხმარებიანო. თვითონ სერბიის მთავრობაც იმედს აძლევდათ. სანამ ჰერძნობდნენ, ბოლგართ შეუძლიათ ჩვენი შველაო, გადმოხვეწილთ ეფერებოდნენ და აიმედებდნენ; თვითონ სერბიის მთავარი თავისის პირით დაპირდა რაკოვსკისა და ბელგრადში მყოფ ბოლგართა სხვა სარდლებს: დიდს ბოლგარულს გუნდს შეგადგენინებთ, ისეთს გუნდს, რომ სერბიიდან თამამად ბოლგარეთში შეხვიდეთ და ხალხი ააჯანყოთ.

მაგრამ აპა, სერბთა და ოსმალთა შორის ზავი ჩამოვარდა. სწორედ ამ დროს სერბთა მთავრობამ ბოლგარელ გადმოხვეწილო სულ სხვა კილოზე დაუწყო ლაპარაკი. გადმოხვეწილნი ეხვეწებოდნენ: „ძმა ძმისთვისაო, შავის დღისთვისაო,“ თუ რასმე გვიშველით, ახლაო, თოფ-იარალი გვჭირდება და აბა თუ გაიმეტებოთ. მაგრამ მთავრობა ხან რას მოიმიზეზებდა, ხან რასა და თავიდან იშორებდა.

ზოგს გადახვეწილს მოსწყინდა ცუდად ჯდომა, დროს კარგვა და იმის ლოდინი, აკა სერბები როდის გამოგვიწვდიან ძმურად ხელსაო. რის წვითა და დაგვით თავისის ხარჯით შეიარალდნენ და ოსმალთ საზღვრისაკენ გამოსწიეს. ეს ამბავი სერბიის მთავრობამ შეიტყო. ბრძანება გასცა, ყველანი დაიჭირეთ და ბელგრადში წამოასხითო. ბელგრადში სასტიკად დასაჯეს მომავალი მებრძოლნი. ასეთმა საქციელმა სერბიის მთავრობისამ ბოლგარელ პატრიოტებს ნაოლად დაანახვა, რომ სერბია არამცუ არ დაგვეხმარება ჩვენის ხალხის განთავისუფლების საქმეში, პირიქით, ხელს შეგვიშლის, რაც კი შეეძლებაო. სერბიის მთავარმა პირდაპირ გამოაცხადა: „სერიოზული საპოლიტიკო მოსაზრებანი ნებას არ მაძლევენ ამ უამაღ ძმათა-ბოლგართა დავეხმაროვო...“ სერბიის მთავრობის ამ პირდაპირის უარის შემდეგ, მოუსვენარ ბოლგართ ბელგრადიდან გუდა-ნაბადი ააკრეფინეს: სადაც გინდათ, იქ წადით, თქვენის გულისათვის

ოსმალთ ვერ მოვიმდურებთო. ემიგრანტებს სერ-ბიის პოლიციაშ დევნა დაუწყო, მოსვენებას არ აძლევდა, რა არი, ჩქარა მოგვწყდით თავიდან, ჩვენი სამთავროდან გაიკრიფენითო. ხოლო მეთაურთა და გავლენიანთ პირ-და-პირ უთხრეს—დაუწყოვნებლივ დასტოვეთ სერბიის საზღვარიო. ასეთი ბრძანება გამოუცხადეს ყველა სარდალთა, და მათ შორის, რაკოვსკისაც. უმრავლესობა მათგანი—უგროშ-კაპეიკოდ, შშიერ-მწყურვალნი, ჩაუცმელ-დაუხურავნი—„წმიდა რუსანიაში“ წავიდა.

რუსინიაშივე წავიდა ლევსკიც, რომელმაც წინასწარ ბელგრადის სატუსალოც გაიცნო, საღაც შემდეგის შემთხვევისა გამო მოემწყვდა. ის-ის იყო, ბელგრადის ბრძოლა გათავდა; ბოლგართა გუნდი, რომელიც ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა, ჯერ კიდევ სულ არ გაეშვათ. სერბიის მთავარმა მათი დათვალიერება განიზრახა. რომ დაათვალიერა, მეომრებს ლაპარაკი დაუწყო. სხვათა შორის ჰკითხა, ომის წესებს რადა სწავლობთო, ან თოფ-იარალი. რად გინდათო? ამ ლაპარაკს რაკოვსკი შეესწრო. სხვა-და-სხვა სადიპლომატიო მოსაზრებათა გამო, ყველა ემიგრანტების მაგივრად, საჩქაროდ უთხრა: ბოლგარიიდან გადმოხვეწილთ რაიმე პოლიტიკური მოსაზრება არ ამოქმედებსთ, ჩვენ გვინდა ოსმალთ შევესიოთ და ჩვენი მატერიალური მდგომარეობა გავაუმჯობესოთ, პირადი ინტერესები გვაქვსო. ეს იგი. რაკოვსკის ნათქვამიდან ის გამოდიოდა,

რომ ბოლგარელ ემიგრანტთ განზრახვა აქვსთ ოს-  
მალნი გასძარცვონო.

— საზიზლარი! — დაიძახა ბრაზით აკანკალებულმა  
იქავ, მახლობლად, მდგარმა ლევსკიმ. — რაკოვსკიმ  
როგორ გაბედა და ჩირქი როგორ მოსცხო თავი-  
სუფლების იმ დიადსა და წმიდა საქმესა, რომლის  
გამარჯვებისათვის ჩვენ ყველანი და თვით ისიც  
მზადა ვართ თავი დავსდოთ! — ლევსკიმ ეს არ  
იკმარა; რაკოვსკი ნიშანში ამოიღო და თოფი  
ესროლა, მაგრამ, საბედნიეროდ, ააცდინა. რო-  
გორცა ვხედავთ, სამხედრო წესი დაარღვია ლევ-  
სკიმ. მთავარმა ბრძანა სატუსალოში დაამწყვდიეთო.  
მაგრამ სატუსალოდან, ამხანაგებისა და თვით  
რაკოვსკის დახმარებით, ერთის კვირის შემდეგ  
გამოუშვეს.

3

„საჩემო საქმე, — ამბობდა ლევსკი, — აქ, სა-  
ზღვარ-გარედ არაფერიაო, ტყუილად დროსა  
ვკარგავო. ვისაც თვისთა მოძმეთა მოხმარება და  
შველა ჰსურს, მათს შორის უნდა ტრიალებდენო.  
„მეორე ნაპირას“ დგომა და იქიდან ძახილი — ნუ  
გეშინიან, მე აქა ვარო, ბევრი ვერაფერი ნუგეშიაო.

ცოტას ხანს დარჩა რუმინიაში ლევსკი, მერე  
გადასწყვიტა სამშობლოში დაბრუნებულიყო...  
კარლოვოში თვისის საერო ტანისამოსით აშკარათ

გამოჩენა ვერ გაჰქიცდა. ჯერ, სანამ ბერად გამოიცვლებოდა, დედასთან იმალებოდა. მისი დაბრუნება არქიმანდრიტმა ჰაჯი ვასილმაც შეიტყო. ბიძა ისევ გულმოსული იყო ძმისწულზედა ცხენის გამო და დაეშურა მისს ნახვასა.

— შე ასეთ-ისეთო, ამდენი ხანი სად დაეხეტებოდი?  
— დაუყვირა არქიმანდრიტმა ძმისწულს ნათესავურის მისალმების მაგიერ.

ეგნატე ბერმა იფიქრა, რად დავუმალო ჩემი თავგადასავალიო და ყველაფერი დაწვრილებით უამბო. არქიმანდრიტმა ცეცხლი მოიკიდა.

— აბა დამაცა, თუ ოსმალებთან არ დაგაბეჭდო!  
— წამოიძახა ბრაზით გაშმაგებულმა ბიძამა. „გადარეულ“ ძმისწულის გულწრფელმა ლაპარაკმა პირთამდე მოუყარა მოთმინების ფიალა.

— თუ რასმე მკითხავენ, ვეტყვი, ბიძა-ჩემმა გამგზავნა „მოსკოველთა“ (რუსთა) მოსაყვანათ-მეთქი, — მაშინადვე სიტყვა მოუჭრა „ბერმა“.

არქიმანდრიტმა უთხრა — ჯანდაბას შენი თავიო, და გაშორდა....

დედამ კი ამასობაში შვილს დიაკვნური ტანისამოსი შეუკერა, და ვასილმაც, თითქო აქ არაფერი ყოფილაო, ქალაქში სიარული დაიწყო: ინახულა თავისი ძველი ნაცნობ-მეგობრები, გაიცნო ახლები, გარს შემოიკრიბა ახალგაზღობა, და, თუმცა ფრთხილად, მაინც მხნედ შეუდგა პროპაგანდას...

ასე გაიარა რამდენმამე თვემ. ლევსკი თავი-

სუფლად თავისს საქმეს აკეთებდა. ერთბაშად ხელი აუსვეს და პლოვდივის ციხეში ჩასვეს. პირველში კარგად არავინ იცოდა, რა პბრალდებოდა ლევსკის. თვითონ ლევსკისა, მისს ნათესავებსა და მეგობრებს ეგონათ, ოსმალოს მთავრობამ ალბად როგორმე გაიგო სერბიაში მისი მოღვაწეობაო, და ამიტომ ყველანი დაღონდნენ: ცუდი დღე დაადგებაო.

თურმე სულ უბრალო რამა ყოფილიყო. მთავრობას მოაგონდა, არქიმანდრიტი ჰაჯი ვასილი ამ ერთის წლის წინად თავისს ძმისწულს ცხენის მოპარეას აბრალებდაო და ახლა უნდა დავიჭიროთ. როგორც მომჩივანს, მამა არქიმანდრიტსაც შეატყობინეს. ბიძას მოერიდა თავისს საშიშ ძმისწულისა და საჩივარი უკანვე გამოიტანა. ლევსკი თავისის დანაშაულისათვის რამდენიმე თვე ჯდა ციხეში და მერე გამოუშვეს. ამგვარად, გაიგეს, რომ მთავრობას არა სცოდნია-რა იმისი, თუ სად იყო, ან რას აკეთებდა. „დიაკვანი ლევსკი“, ერთის წლის განმავლობაში სამშობლოს გარედ.

ციხიდან გამოსულმა ლევსკიმ ჯერ განიზრახა პლოვდივაში დარჩენა, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, ამ ქალაქში ნიადაგი ვერ ჰპოვა თვისის პატრიოტულის მოღვაწეობისათვის და ერთის თვის შემდეგ კარლოვოში დაბრუნდა. თავისს სამშობლო ქალაქშიაც უფრო-და-უფრო უჭირდებოდა ცხოვრება, ამიტომ რომ ყველა მდიდარმა და გავლენიანმა მოქალაქეებმა, როგორც ბოლგართა, ისე ოსმალთა

უკვე გაიცნეს ლევსკი და ყველანი იმას ამბობდნენ, ჩვენი მოსისხლე მტერიაო. ლევსკი დარწმუნდა, მტერი ბევრი გავიჩინე, და, ამასთან, მტერი ძლიერიო; ამასა ცდილობენ, როგორმე თავიდან მომიშორონ, და ჩემი თავიდან მოშორება კიდევ არც ისე გაუჭირდებათ, ამიტომ სჯობს სამუდამოდ გამოვესალმო ჩემს სამშობლო ქალაქსაო. ჯერ ანაფორა გაიხადა და წინანდელი სახელი დაირქვა. ამგვარად თავისს წარსულს ცხოვრებას ეთხოვებოდა.

ცოტა ხნის უკან ვასილს კარლოვის ერთს მახლობელ სოფელშია ვხედავთ მასწავლებლად. აქ ერთს წელიწადს დაჰყო. ბავშვების სწავლების მაგივრად, სოფლელთ მამულიშვილურს გრძნობას უღვიძებდა, რჩევას აძლევდა, დამონავებული მამული უნდა გავათავისუფლოთო. სოფლელნიც ბრძად მიენდვნენ ლევსკის. ყველასათვის აშკარა იყო ლევსკის „მავნებელი“ გავლენა სოფლელებზედ. მიღამოს დასათვალიერებლად მოსული ზაფთიერი უფროსებს შესჩივოდნენ, რომ სოფელ ვოინია-გოვოსი, სადაც მასწავლებლად ლევსკი იყო, და აგრედვე სხვა მახლობელ სოფლის მასწავლებელნი მთავრობას ეურჩებიან. ბრალს სულ ლევსკისა სდებდნენ: კარლოვის ბალკანაზე მოთარეშე გაიღუკებს იცნობს და მათთან დამოკიდებულება აქვსო.

ლევსკი ხედავდა, ოსმალთ ყველაფერი გამიგეს და ამის შემდეგ წინანდელს ადგილას დარჩენა

უკუუობა იქმნებაო. და აპა, ბალკანიდან დობრუ-  
ჯაში გადავიდა. იქ ჯერ ერთს სოფელში იყო  
მასწავლებლად, მერე მეორეში. დობრუჯაში სულ  
ერთს წელიწადს დარჩა. აქაც, როგორც კარლო-  
ვოსა და ვაინიაგოვოში, ხალხს აღვიძებდა, ასა-  
ჯანყებლად ამზადებდა. ბოლოსა-და-ბოლოს, სულ  
გაიტეხა სახელი ოსმალთა მთავრობის თვალში.  
პოლიციამ ძებნა დაუწყო, დაჭერა უნდოდა-  
ლევსკიმ მოასწრო და 1866 წ. რუმინიაში გაიპარა.

4

**1862** წლიდან, რაც ლევსკიმ პირველად  
ნახა რუმინია, ბევრმა კოკა წყალმა ჩაიარა, ბევრი  
რამ გამოიცვალა. ახლა ბუქარესტსა და რუმინიის  
სხვა ქალაქებში შეხვდებოდით არა მარტო ბოლ-  
გარეთიდან ძველად გამოსულ ჩორბაჯიებს, სულით  
მკვდართა, რომელნ-ც ჩვენს გმირს ჭირივით  
ეჯავრებოდა, არამედ ბევრი ახალგაზდა ბოლგარელი  
ემიგრანტებიც იყვნენ, რომელნიც ხროვად მოე-  
შურებოდნენ რუმინიაში, ოსმალთაგან დევნილნი.  
მათს რიცხვს ყოველ წელიწადს ემატებოდა. ბოლ-  
გარელი ყმაწვილები მაშინ ასობით იყვნენ რუმი-  
ნიის სხვა-და-სხვა სასწავლებელში. სხვა-და-სხვა  
ბოლგარული საზოგადოებანი — იდუმალი, თუ  
გამოჩინებული, — რუმინიაში ათობით და ოცობით  
ითვლებოდა. იბეჭდებოდა რამდენიმე პატრიოტული

გაზეთი ბოლგარულს ენაზედა... საზოგადოდ, ცხოვრება, გარემოების წყალობით, რუმინიაში გადმოტყორცნილ ბოლგართა სდუღდა და გადმოდიოდა. ამას, სხვათა შორის, ისიც უწყობდა ხელს რომ ბერძენი ემიგრანტები, გახარებულნი კრიტის კუნძულზე მეამბოხეთა გამარჯვებითა, ბოლგარელებს ამხნევებდნენ, გულს უკეთებდნენ. რუმინიაში მცხოვრები ბოლგარნი მარტო იმას-ლა პფიქრობდნენ - ხალხი ავაჯანყოთ სამშობლოშიო. შეუდგნენ გუნდების შედგენასა, რომელნიც ოსმალეთს უნდა შესეოდნენ და ხალხი აეჯანყებინათ ოსმალთ წინააღმდეგ.

მოქმედება ერთ ამგვარ გუნდისა, რომელსაც ფილიპე ტოტიუ წინამძღვარობდა, ჩვენ უკვე ავსწერეთ ერთს ჩვენს წინა წერილში. იმავ წერილშივე გვქონდა მოხსენებული, რომ თითქმის ტოტიუსთან ერთად (1867 წლის ზაფხულში) ოსმალეთში მეორე გუნდი გადავიდა, რომელსაც ხელმძღვანელად პყავდა ცნობილი ბოლგარელი მხედართ-მთავარი, პანაიოტი ხიტოვო. ამ მეორე გუნდში, რომელშიაც 30 იუნაკი ითვლებოდა, შევიდა ჩვენი ლევაკიცა, ბაირალტარად ამორჩეული. პანაიოტის გუნდსაც ის დღე დაადგა, რაც ტოტიუსას; ყოველ ნაბიჯზე იძულებულნი იყვნენ ოსმალთათვის პასუხი გაეცათ; მტერი სულ მუდამ იმათზე მეტი იყო ხოლმე; ცდილობდნენ ბალკანში გაქცეულიყვნენ და იქ დაეფარათ თავი; ბევრნი

მოუკლეს, ბევრიც დაუჭრეს. როცა გუნდს მტერი  
არ მოსდევდა, ლევსკი დროშას ამხანაგებს გადა-  
სცემდა, თვითონ სოფლებს დაუვლიდა და ხალხს  
ასაჯანყებლად იწვევდა. გარნა ხალხი როგორდაც  
გულგრილად ისმენდა ჩვენის გმირის აღფრთოვანე-  
ბულს ლაპარაკსა და რჩევასა. როცა გუნდმა  
კარლოვოს ბალკანს მიატანა, ლევსკიმ იღროვა  
და თვისის სამშობლო ქალაქის სანახავად გასწია.  
აქ მეგობრებმა და ამხანაგებმა უთხრეს, რომ სა-  
უკეთესო წარმომადგენელნი კარლოვის ახალგაზ-  
დობისა დაიჭირეს და სატუსალოში ჩასვეს, აბრა-  
ლებენ — მეამბოხეებთან დამოკიდებულება გაქვთო.

რამდენისამე დღის შემდეგ ლევსკი ისევ  
შეუერთდა თავისს გუნდსა, რომელიც კიდევ  
რამდენჯერმე შეებრძოლა ცხარედ ოსმალთა და  
სერბიაში გადავიდა...

ბელგრადში, სერბიის მთავრობის ნება-დარ-  
თვით, იმ ხანებში ბოლგართა ლეგიონი დაწესდა,  
რომ ბოლგარელ ემიგრანტებისათვის სამხედრო  
საქმე და წესი ესწავლებინათ. ამ ახლად შემდგარის  
ჯარის წრთვნა და ვარჯიშობა უნდა გაგრძელე-  
ბულიყო მეორე წლის (1868) გაზაფხულამდე. ხოლო მაშინ განსწავლულნი და გაწვრთნილნი  
ყმაწვილ-კაცნი წავიდოდნენ ისმალთ წინააღმდეგ  
საბრძოლველად. ამ საქმის მოთავეებმა ბოლგარეთში  
უველას შეატყობინეს: ვისაც გინდათ სამშობლოს  
განთავისუფლებაში მონაწილეობა მიიღოთ, ამ

ლეგიონში ჩაეწერევით და სამხედრო საქმე ისწავლეთო. მოკლე ხანში ორასზე მეტი ახალგაზდა ბოლგარელი ჩაეწერა ლეგიონში. ახლად ჩაწერილებში ერთი პირველთაგანი ლევსკი იყო. მაგრამ დიდს ხანს არ დარჩენილა ჯარში, მძიმედ გახდა ავად და კარგა ხანსაც არ მორჩენილა. როცა მორჩა, მაშინ ლეგიონიც აღარ არსებობდა. ამ ლეგიონის დაშლის მიზეზი იყო ის სიძულვილი, რომელიც ბოლგარელ მოწაფეთა და სერბ აფიცერ-მასწავლებელთა შორის ჩამოვარდა. სერბ აფიცერებმა პირველშივე მეტად უწესოდ დაიჭირეს თავი, შეურაცხყოფას აყენებდნენ ბოლგართა ეროვნულს თავმოყვარეობასა, ყოველ დღე, სწავლების დროს, ყოველსავე ბოლგარულს უდიერად იხსენიებდნენ, ხოლო სერბებისას ყველაფერს აქებდნენ; გაიძახდნენ, სერბებს ისტორიულად ეკუთვნისთ მთელი ჩრდილოეთი ნაწილი ბოლგარეთისა, სოფიის ოლქითურთო; პირდაპირ დაურიდებლად ეუბნებოდნენ თვისთა მოწაფეთა, „ბელგრადში იმიტომ კი არ მოთრეულხართ და ლეგიონში იმიტომ კი არ ჩაწერილხართ, რომ თქვენის მამულისათვის გინდოდესთ რამე სიკეთე,— სად ბოლგარელი და სად მამულის მოყვარეობაო?..— მხოლოდ მუქთი ლუკმა-პური გინდათ გქონდეთ, რომელსაც სხვა გზით ვერ იშოვნიდით!..“ და ყოველივე ესე იმათ უნდა მოესმინათ, ვინც, რა არი, იქმნება სამშობლო გავინთავისუფლოვო, ვინც თავი დაანება მამულს, სახლს, კარს,

ოჯახს და ვინც მზად იყო ოსმალთათვის თავიშეეკლა!

ერთს ხანს ბოლგარელი ლეგიონერნი ითმენ-დნენ, იტანდნენ დაცინვას და შეურაცხყოფას თვისთა მასწავლებელთაგან. მაგრამ, ბოლოსა და ბოლოს, მოთმინების ფიალა პირთამდე მოეყარათ, და სწავლას თავი დაანებეს. სერბიის სამხედრო მთავრობა სასტიკად მოეპყრო თავისს თვითნება შეგირდთა: იქერდნენ ქუჩებში, ატუსალებდნენ, სცემდნენ... „ცოდნა“, ამ სახით, ძვირად უჯდე-ბოდათ ბოლგარელ პატრიოტთა და ზედი-ზედ გავიდნენ ლეგიონიდანაც: და სერბიიდანაც. ბოლოს, მთელი ლეგიონიც დაიშალა... ლევსკი და მისი ამხანაგები 1868 წლის დასაწყისში რუმინიაში გადავიდნენ.

როგორც უკვე ვიცით, ამ წელიწადს უმრავ-ლესობა იუნაკებისა რუმინიიდან ოსმალეთში გა-დავიდა. წინ მიუძღვოდნენ ჰაჯი დიმიტრი და სტე-ფანე ყარაჯა. დასულტებული ლევსკი ჯერ კიდევ არ მოკეთებულიყო ავადმყოფობის შემდეგ და ამი-ტომ ამ გუნდებს ვერ შეუერთდა. დარჩა რუმინიაში, მაგრამ უსაქმოდ ჯდომა არ შეეძლო. 1868 წლის შემოდგომაზე ლევსკის ბუქარესტში ვხედავთ, საცა ამ ქალაქში მცხოვრებ ბოლგარელ ჩორბაჯის ქრისტო გეორგიევის მოსაკლავად ემზადებოდა. ჩვენ აქ იმის განხილვაში არ შევალთ, რამდენად ზნეობრივი იყო ლევსკის განზრახვა, მხოლოდ ვიტ-ყვით, რომ ლევსკის მიერ სასიკვდილოდ ნიშანში

ამოღებული კაცი მეტად უსინიდისოდ იქცეოდა ბოლგარეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროს. ქრისტო გეორგიევს დიდ-ძალი ნაცნობები ჰყავდა, სიმდიდრეც დიდი ჰქონდა. ამის წყალობით დიდად გართული იყო რუმინის გავლენიან წრეში. მაგრამ ამ თვისის ლონისა და გავლენის წყალობით ხელს უცარავდა საეროვნო საქმესა. თვითონ მიითვისა ბოლგართა წარმომადგენელის საეროვნო საქმის ქომაგის სახელი; რაკი ეს მოახერხა, ყველა მხრიდან, განსაკუთრებით რუსეთიდან, დიდძალი ფული, დიდძალი შეწირულობა მოსდიოდა და ყოველსავე ამას უსინდისოდ თვითონ ითვისებდა. პირველი ბოლგარელი ეს ვაჟბატონი იყო, რომ საჯაროდ არ მოუწონა ჰაჯი დიმიტრის და სტეფანე ყარაჯის ბოლგარეთის განთავისუფლებისათვის მეცადინეობა; იმან, ქრისტო გეორგიევმა, მოსკოვის ჩირქი ამ დიდებულ მხედარმთავართა პატიოსანს სახელსა და მათ და მათს ამხანაგებს იმან უწოდა „ავაზაკები“ და „ვაგაბონტები.“ აი, ყოველისავე ამისათვის განიზრახა ლევსკიმ, სხვათა ჭკუის სასწავლებლად, სიკვდილით დასჯა ქრისტო გეორგიევისა. სულ ყველაფერი მზად იყო, და თუ ქრისტო ცოცხალი გადარჩა, ამ გადარჩენას ლიუბენ ყარაველოვს უნდა უმაღლიდეს, რომელმაც ლევსკის ურჩია, მაგ განზრახვაზე ხელი აიღო.

ჰაჯი დიმიტრისა და ყარაჯის გმირულ გუნდის დამარცხების შემდეგ, გასაჭირი დრო დადგა

გულწრფელ და თავდადებულ ბოლგარელ პატრიოტ-  
თათვის, რომელთა რიცხვი ძალიან შემცირდა.  
ბოლგარების ძველ მხედარმთავართა უმრავლესობა,  
რომელიც ცოტა ადრე სიტყვით თამამად მუსრს  
ავლებდა მთელს ოსმალეთის იმპერიასა, ახლა  
განზე დადგა, თავს არიდებდა ისეთს საქმესა,  
სადაც, ყარაჯისა და დიმიტრის მსგავსად, შეიძლე-  
ბოდა სიცოცხლეს გამომშვიდობებოდნენ. მაგა-  
ლითად, პანაიოტი ხიტოვი დასასვენებლად ბელ-  
გრადში გადავიდა, ტოტიუ ადესაში დახლს მოუჯდა,  
და სხვ. ყველამ სასო წარიკვეთა; ყველას გულ-  
გატეხილობა ეტყობოდა; ხშირად და ხმამაღლა  
გარსმოდა ლაპარაკი, ძალით ვერას გავხდებით:  
უნდა მოვითმინოთ, ვეცადოთ ოსმალთ მთავრობას  
ხვეწნითა და მუდარით მოვულბოთ გულიო. მაშინ  
რუმინიაში მყოფ ემიგრანტთაგან მხოლოდ ლევსკი  
არა ჰყარგავდა იმედსა და სულ იმას გაიძახოდა:  
მანამდე ვიშრომებ და ვიბრძოლებ, სანამ სული  
არ ამომხდებაო!.... თანამგრძნობი და გამამხნევე-  
ბელიც იპოვა,—გამოჩენილი ბოლგარელი მწერა  
ლი ლიუბენ ყარაველოვი, რომელიც სწორედ იმ  
ხანებში დაბინავდა ბუქარესტში და პატრიოტულის  
გაზეთ „თავისუფლებას“ ბეჭვდა დაიწყო. ლევ-  
სკიმ ძვირფასი დრო არ დავკარგოვო და მაშინა-  
დვე საქადაგებლად ბოლგარეთში წავიდა.

დიდ ხანს დაეხეტებოდა ჩვენი დიაკვანი თავისს  
სამშობლოში; ყოველს ნაბიჯზე მისი ბედი ბეწვზე

ეკიდა, აი ახლა დამიჭერენ; აი ახლაო, და უოველთვის ოსტატურად გაუსხლტებოდა ხოლმე ზაფთიებსა; თითქმის ყველა ბოლგარულ ქალაქებში იყო ბალკანის იქით-აქეთ მხარეს; მონახა თავისი ძველი ნაცნობ-მეგობრები; ბევრი ახლები გაიცნო; ყველას უქადაგებდა პოლიტიკურ თავისუფლების საჭიროებასა, ულვიძებდა დაძინებულ გრძნობას მამული შვილობისას, გაცხარებით ეუბნებოდა ყველას, მხარი მხარს მიესცეთ ერთმანეთს, შევერთდეთ და ოსმალთ ვებრძოლოთო; შეერთების იქით ხსნა არ არის ჩვენისთანა დამონავებულ ერისათვისო. საშუალებას ასახელებდა ბრძოლისათვის, და სხვ. და სხვ. გულდადებით უსმენდნენ მისს ცხარე ლაპარაკსა და, უმეტეს შემთხვევაში, თანაგრძნობას უცხადებდნენ; მაგრამ ლევსკი როგორც კი ეტყოდა მათ, სიტყვიდან ახლა საქმეზე გადავიდეთ, ავჯანყდეთ, მტერს შევებათო, ყველანი უკან დაიხევდნენ, შეშინებულნი, — ვინ რას მოიმიზეზებდა, ვინ რას...

ლევსკი ბუქარესტში დაბრუნდა და ლიუბენ ყარაველოვის გარშემო თავმოყრილ მცირე გუნდს პატრიოტებისას თვისის მოქმედების ანგარიში მიცა. მართალია, შედეგი ლევსკის მოქმედებისა დიდის იმედების აღმძვრელი არ იყო, მაგრამ ზემოდ დასახელებულმა წრემ პატრიოტთა და ლიუბენ ყარაველოვმა სთქვეს, ბოლგარეთში აჯანყების საქმე არც ისე კუს ნაბიჯით მიდისო, და თუ ლე-

ვსკის ქადაგებამ სასურველი ნაყოფი ვერ მოიტანა, ამის მიზეზი ის არის, რომ თვისის ქადაგებით აგიტატორს მიუმართავს უმეტეს ნაწილად ქალაქში მცხოვრებთათვის და, ამასთან, ხშირად ისეთებისათვის, რომელნიც ქონებრივად უზრუნველყოფილნი არიან, საზოგადოებაში რამე საჩინო ადგილი უჭირავსთ, და რომელნიც, მაშასადამე, ნაკლებიტანჯვიან, ვიდრე დაბალი ხალხი, შეუძლო, ღარიბი... ამ მოსაზრების გამო, გადასწყვიტეს მთელი ყურადღება იმისთვის მიექციათ, რომ ასაჯანყებლად დაბალი ხალხი მოვამზადოთ, როგორც ქალაქსა, ისე სოფელში მცხოვრებიო... იმას უნდა ვეცადოთ, ქადაგება ხალხის გულს მოხვდესო, მისს გრძნობაზე იმოქმედოსო; ყოველი სიტყვა ლვთიურ სიტყვასავით ეწვეოთებოდეს მდაბიოს ყურშიო... აგიტატორებს დიდი და აჭრელებული „ვექილობის საბუთები“ დაურიგდათ, ვითომ და „ბოლგართა ცენტრალურ საეროვნო კომიტეტისაგან“, ქვეშ ხელი ეწერათ მოგონილ თავჯდომარებს ამ მოგონილ დაწესებულებათა, თავს და იქითა ქეთ გვერდებზე დახატული იყო ხმლები, დანები, ადამიანის თავის ქალა და სხვ., ხოლო სულ ქვევით ვეება წითელი ბეჭედი იყო დარტყმული, ზედ გამოსახული ჰქონდა გაცეცხლებული ლომი, რომელიც ნახევარ-მთვარეს ფეხითა სთელავდა. ამგვარივე თვალის ასახვევი სახე ჰქონდა სხვა-და-სხვა

ბილეთებსა და ბლანკებსა, რომლებიც შეიძლებოდა დასკირებოდათ პროპაგანდისტებსა სხვა-და-სხვა დროს (ფულის შეგროვებისათვის და სხვ.) სხვა-და-სხვა პროკლამაციებს აღგენდა და ჰბეჭდავდა ბუქარესტში თავისს სტამბაში ლიუბენ ყარაველოვი... გვგონია, მკითხველი ხალისით გადაავლებს თვალს ამ „მოწოდებას“, სხვა მისდა-გვარ წერილებთა შორის, ლიუბენ ყარაველოვის-მიერ დაბეჭდილს, ვითომ და „ბოლგარეთის დროებით მთავრობის“ სახელით. აპა ეს მოწოდებაცა:

„ძმებო!... ახლა ყველა ბოლგარელი იმასა ცდილობს, ოსმალეთის ბატონობას თავი დააღწიოს. ამიტომ, თუ ოქვენ თქვენი თავი ბოლგარად და პატიოსან კაცად მიგაჩნიათ, თავს უნდა შემოევლოთ საერო საქმესა და ყველას უჩვენოთ, რომ თქვენ ჰეშმარიტად ღირსეული და თავისუფლების მოყვარე შვილები ხართ, თუ მართლა ქრისტეანები ხართ და თქვენს თავს რამე პატივსა სცემთ, მაშინადვე უნდა ალასრულოთ ეს ჩვენი და მთელის ბოლგარეთის სურვილი; უკეთუ არ აგისრულებიათ, იცოდეთ, პატიოსანნი და თვისის ერის მოყვარულნი ბოლგარნი დაგწყევლიან და ღირსეულადაც დაგსჯიან... ვისაც თავისუფლება არ უნდა, ის კაცი არ არის, ის ბოლგარელი არ არის... ორი გზა გიდევსთ წინა: ერთი — გზა თავისუფლებისა, რომელზედაც უნდა იაროთ ჩვენსა და ჩვენს ერთან ერთად, მეორე გზა — გზა მონობისა, რომელ-

ზედაც, მსგავსად ქვემძრომთა, უნდა ჰლოლავდეთ  
ყველა სისხლის მწოველ და ლვთისაგან შეჩვენე-  
ბულ ასმალთ წინაშე... დაეშურენით თქვენი  
სახელი ჩასწეროთ ისტორიის ფურცელზე ოქროსი  
და შავის ასოებითა; მალე განაცხადევით, რა  
გირჩევნიათ: ძალლ-უმაღური მონობა, თუ სანეტარო  
თავისუფლება!..

„ჩვენი სურვილი იცით. ჩვენა გვსურს, ას-  
მალთ ბატონობას თავი დავახწიოთ და ადამიანნი  
ვიყვნეთ. ჩვენთან ერთად თქვენც მოემზადენით  
საბრძოლველად და ელოდეთ იმ ფამსა, რომელიც  
ძალიან მალე დაღვება... გარნა ჩვენის გამარჯვე-  
ბისათვის ორი რამაა საჭირო: კაცები და ფული.  
კაცები საკმაოდა გვყავს, ფული კი გვაკლია, მა-  
გრამ, ლვთის შეწევნით, მალე იმასაც ვიშოვით...  
**ჩვენმა მთავარმა სამრო პოზიტივა მოგვანდო**  
ჩვენის განთავისუფლებისათვის საჭირო ფულის  
შეკრება,—და შევკრებავთ კიდეცა!.. ამ ფულს  
თვით ხალხისაგან ვიშოვით... თქვენც შემოგვწი-  
რევით, რაც და რამდენიც შეგიძლიათ... ბოლ-  
გარეთის დროებით მთავრობისაგან ყველა თქვენ-  
განს, ვინც კი რასმე შემოსწირავს, ბარათი მიეცემა  
ამისა; მთავრობა მიღებულ შემოწირულებათა  
ანგარიშს მისცემს ერს, ესე იგი, ბოლგარეთის  
საერო კომიტეტს, რომლის მოქმედებაც, თავისს  
მხრივ, შემოწმებული იქმნება მომავალ თავისუფალ  
ბოლგარეთის მთავრობის-მიერ... ბოლგარეთის

დროებითს მთავრობას დავთრები ექმნება. სადაც  
დაწვრილებით ჩაიწერება: ვისგან რამდენი ფული  
თუ შემოწირულება შემოვიდა, რას მოხმარდა ეს  
ფული; ამ დავთრებშივე აღნიშნული იქმნება  
სახელი და გვარი ბრძოლაში დახოცილ ბოლგართა,  
მოხსენებული იქმნება სად, როგორ დაიხოცნენ  
და სხვ. სანატრელნი იქმნებიან ის მამულიშვილნი,  
რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ სამშობლოს  
გათავისუფლებისათვის ბრძოლაში: მათს სახელს  
ქება-დიდებით მოიხსენიებს შთამომავლობა უკუნითი-  
უკუნისამდე. რაიცა შეეხება მოღალატეთა, სისხლის  
მსელთა, მხდალთა და გულგრილთა, წყეულ  
იქმნებიან საუკუნოდ... ვისაც ახლა თავისი თავი-  
კეშმარიტ ბოლგარელად მიაჩნია და არ უნდა  
დარჩეს ოსმალოს მონად, მოვალეა უეპელად  
გაიღოს, რაც კი შეუძლია, რათა შემდეგში ასწილ  
იქმნეს დაჯილდოვებული... მინინი ამბობდა:  
„გავყიდოთ ჩვენი ქონება, დავაგირავოთ ჩვენ ცო-  
ლი და შვილი და სამშობლო გამოვისყიდოთო!“

„ახლავე გაფრთხილებთ, მერე არა სთქვათ:  
„მინდოდა შემწეობა აღმომეჩინა, მაგრამ არ ვიცოდი,  
ვისთვის მიმემართნა და როგორ მომეხმარნა ჩემი  
ფულიო“... ჩვენ ყველგანა გვყავს სანდო კაცნი;  
იმათის შემწეობით ყველა თქვენგანს ვიცნობთ,  
ვიცით, ვის რა გაქვსთ და ისიც ვიცით, ვინ რასა  
ჰფიქრობთ... აი, სწორედ ესენი მოვლენ თქვენ-  
თან... მაგრამ, შეიძლება სთქვათ, „ახლა ფული

არ მაქვსო“... ისესხეთ, გაყიდეთ საქონელი, დაა-  
გირავეთ სახლი, ფული ჩაბარეთ ამათა და სამა-  
გიეროდ ბარათს მიიღებთ,—ეს ბარათი გიხსნისთ,  
სხვა არაფერი... როცა ჩვენი იუნაკები დროშას  
ქვეშ ამოუდგებიან,—ეს მალე იქმნება!—მაშინ ვაი  
იმას, ვინც ზემოხსენებულს ბარათს არ წარმოუ-  
დგენს!... ვინც ჩვენს საერო ბრძოლაში არ  
გაერევა, ჩვენის ერის გამცემი და მტერი იქმნება,  
თვისის ცოდვებისათვის დაუსჯელი ვერ გადარჩება,  
ხოლო მისის შთამომავლობის სახელს მოურეცხელი  
ჩირქი მოეცხობა უნამუსობისა. გიმეორებთ, თუ  
თქვენის ნებით ყველაფერს გაიღებთ, რაც გასა-  
ლებელია, ყველასაგან პატივცემული იქმნებით, და  
თქვენს ოჯახს ჩვენი მფარველობა არ მოაკლდება...  
თუ უდიერად მოგვეპყარით, ესე იგი, თუ ოსმა-  
ლოს მთავრობას ჩვენი მოწოდება უჩვენეთ, თუ  
ჩვენგან გამოგზავნილი კაცი დააბეჭდეთ და მტერს  
ხელში ჩაუგდევით, თუ გაგიმულავნებიათ, რასაც  
ჩვენა გთხოვთ, თუ ამის შესახებ რომელსამე  
ლვთისაგან შეჩვენებულ და კრულ ბოლგარელთან  
გილაპარაკნიათ, თუ ჩვენი მოთხოვნილება არ  
აასრულევით, - საზოგადოდ, თუ ასე თუ ისე,  
ჩვენი თქვენდამი რწმუნება და ნდობა არ გაა-  
მართლევით, იცოდეთ, დაგსჯით, დიალ, დაგსჯით  
და სასტიკადაც დაგსჯით!...

„იცოდეთ, რომ იმ მხნე და მამაც კაცთ,  
რომელნიც ხალხის მოძრაობას სათავეში უდგანან

და „დროებითის მთავრობის“ წარმომადგენელნი არიან, არ ეშინიათ არაფრისა და არავისი და გადაწყვეტილი აქვსთ წინ იარონ უკან-დაუხევლად. ბოლგარეთის სახელოვან იუნაკებს არც წვალება აშინებსთ, აღარც სახრჩობელა, აღარც დიარბეჭირში გაგზავნა. ყველა მათგანს თავისი გზა უკვე ამორჩეული აქვს და უშიშრად ივლის ამ გზაზედ. ხოლო „საერო კომიტეტი“ და „დროებითი მთავრობა“ ეცდებიან ყოველივე გასაჭირი თავიდან ააცილონ და კაი კაცობისათვის დააჯილდოვონ. შუბლზედ ყველას ეს გვაწერია: „ან ბრწყინვალე თავისუფლება, ან ვაჟკაცური სიკვდილი!“...

„ახლა გადასწყვიტეთ და მალე გვითხარით: ჩვენი მომხრენი ხართ, თუ ჩვენი მოწინააღმდეგენი... ათასობით თავმოყრილნი იუნაკები მოუთმენლად მოელიან თქვენს პასუხსა.“

რა კი სიტყვამ მოიტანა, აქავე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მოწოდება თვითონ ლევსკისა და მისის თანამებრძოლის ანგელ კინჩევისაგან არის შედგენილი.

## 5

ლევსკიმ, ამგვარად, შეადგინა საზოგადო გეგმა თვისის მოქმედებისა, თავი მოუყარა ზემოსენებულ ვექილობის სიგელებს, მოწოდებას, სხვა-და-სხვა პროკლამაციას, წიგნაკებს და ლიუბენ

ყარაველოვის სხვა გამოცემათა და 1870 წელს  
ხელახლა წავიდა ბოლგარეთში. აქ ჯერ მარტო  
დადიოდა, შემდეგ თავისითან ერთად თვისინი დაა-  
ხლოვებულნი თანაშემწენი დაჰყავდა — ანგელ კინ-  
ჩევი, დიმიტრი ობშიიატი, ივანე არაბაჯი და სხვ...  
ამ დროიდან მოკიდებული მისი აგიტატორული  
მოღვაწეობა გასაკვირველია, ხოლო ნაყოფი  
საუცხოვო გამოიღო ამ მოღვაწეობამა. ახლა  
წინანდელსავით საქმე ბოლგარელ მდიდრებთან კი  
არა ჰქონდა, არამედ ხელოსნებთან, გლეხებთან,  
სოფლის მასწავლებლებთან, სოფლის ღარიბ მღვ-  
დლებთან, საზოგადოდ, ბოლგარელ მდაბიო  
ხალხთან, რომელიც ხარბად ისმენდა თავისუფ-  
ლების მქადაგებლის სიტყვასა. დიაკვანი საცა კი  
ფეხს დააბიჯებდა, მაშინადვე არსდებოდა აღგი-  
ლობრივი საერო კომიტეტი, რომელიც ფიცხლავ  
ასაჯანყებლად ყმაწვილ-კაცობას თავს უყრიდა და  
ფულებს აგროვებდა. ყველა მხრიდან ფული და  
შეწირულობა წვიმასავით მოდიოდა. რომ მკითხველს  
დაახლოვებით გავაგებინოთ, თუ რა დაუღალავად  
და მხნედ მოჰკიდა საქმეს ხელი ლევსკიმ, საკმაოა  
მოვიხსენიოთ, რომ ორი წელიწადიც არ გასულა,  
რაც ბოლგარეთში შემოსდგა ფეხი და უკვე დაარსა  
აჯანყების მეთაური კომიტეტები ტირნოვოსა,  
ლოვჩასა, რუშჩუკსა, შუმლასა, პლევნასა, ტრო-  
იანსა, იზვორასა, ორხანიესა, ეტროპოლისა,  
სოფიასა, პლოვდივასა, კარლოვოსა, სოფოთასა,

კალოფერასა, სლივნოსა, ძველ-ზაგორასა, ხარჯო-  
ვოსა, თათარ-ფაზარჯიყსა, ბატაქსა, პერუშიცსა,  
პანაგიურიშჩი და სხვ. და სხვ. ერთის სიტყვით,  
ბალკანის ორსავ მხარეზე ერთი ქალაქი თუ სოფელი  
არ დარჩენილა, ცოტად თუ ბევრად დიდი, საღაც  
ლევსკი არ ყოფილიყოს და საკუთარის ხელით არ  
ჩაეყაროს მკვიდრი საძირკველი თვისის სამშობლოს  
აჯანყების საქმისა.

მთელი ბოლგარეთი და ფრაკია ლევსკიმ კომი-  
ტეტებით დაქსელა; უველა ჯარასავით დაატრიალა;  
თანაც დაარსებული კომიტეტები ერთმანეთს მჭიდ-  
როდ დაუკავშირა; ჩამოაგდო მათ შორის თან-  
ხმობა, . სიყვარული; ასე რომ უველანი ერთად-  
ერთს არსებას წარმოადგენდნენ. ამისათვის, ყოველთ  
უწინარეს საჭირო იყო გაეადვილებინა და უშიშარ  
გაეხადა მათი ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა, აზრთა  
გაზიარება. ამას იმითი ეშველა, რომ, ლევსკის  
მოხერხებით, დაარსდა იდუმალი ფოსტა. შემდეგ,  
ყოველს ქალაქში, ყოველს, სოფელში, საღაც  
კომიტები არსებობდა, ლევსკიმ საიმედო თავშესა-  
ფარი მოსძებნა მოსულ პატრიოტ-მუშაკთა, აგიტა-  
ტორთა, აგენტთა, იფრინდათა, და სხვათათვის.  
ამავე აზრით, უველა დიდ შარა-გზებზე მედუქნე-  
ებსა და მებაკეებს გაეცნო და მათთან საქმე დაი-  
კირა. ხოლო იქ, საღაც მედუქნეებს კაცი ვერ  
ენდობოდა, და თავისიანი მედუქნე კი უეჭველად  
უნდა ჰყოლოდათ, როგორც თავშესაფარი პატრიოტ-

თათვის, რომელსამე სანდო თავისიანს ფულს აძლევდა ლევსკი, — დუქანი გააღეო.

მალე, ლევსკიმა, ლ. ყარაველოვმა, კინჩევმა და ორმა-სამმა ბუქარესტში მცხოვრებმა პატრიოტებმა ამ ქალაქში, სადაც ბოლგარეთიდან ხშირად დადიოდა ხოლმე ლევსკი, კომიტეტის სახელმძღვანელოდ წესდება შეადგინეს, რომელიც მოწონებულ იქმნა ყველა ადგილობრივ კომიტეტთა-მიერ და რომლის შინაარსი მკითხველს ჩვენის წერილების დასაწყისში გავაცანით. ამ წესდების ძალით, ყველა ადგილობრივი კომიტეტები ექვე-მდებარებოდა „ცენტრალურს კომიტეტს“, რომელიც შეადგინეს აჯანყების მოთავეთა. თვითონ ლევსკისა და ლ. ყარაველოვის წრის გარდა ამ კომიტეტის წევრებად ითვლებოდნენ: ანგელ კონჩევი, ნიკოლოზ ობრეტენოვი, არაბაჯი და სხვ.. „ცენტრალურ კომიტეტის“ შესახებ აღრევ გვქონდა ლაპარაკი. აქ შეოლოდ შევნიშნავთ, რომ ეს კომიტეტი, როგორც ვიცით, ჯერ უბრალო ფიქ-ცია იყო, მისი არსებობა მოგონილი იყო, შემდეგ ში კი მისი არსებობა აუცილებელი საჭიროება შეიქმნა და ნამდვილ დაწესებულებად იქცა, ამიტომ რომ მისის შემწეობით სხვა მრავალი კერძო კომიტეტები მარჯვედ ერთდებოდნენ. ამ სახით, „ცენტრალური კომიტეტი“ შეიქმნა გვირგვინი და დედა-ბურჯი მთელის ბოლგარეთის აჯანყების ორგანიზაციისა.

დიახ, ლევსკი აარსებდა ადგილობრივს კომიტეტებსა, ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი იყო მათი, შემოილო იდუმალი ფოსტა, დააწესა იდუმალი პოლიცია, რომელიც თვალ-ყურს ადევნებდა მთავრობის მოქმედებასა და მისს აგენტებსა, თვალყურს ადევნებდა აგრედვე თვითონ კომიტეტის წევრთა მუშაობასა და სჯიდა ყველასა, ვინც მუხანათობას დაიწყებდა და თვისის საქციელით კომიტეტს ვნებას რასმე შეამთხვევდა. ლევსკი ამავ დროს გაფაციცებით თვალს ადევნებდა საქმის საზოგადო მსვლელობასა და კომიტეტთა შინაურს მოქმედებასა. არ გამოეპარებოდა არც ერთი წვრილმანი საქმე და საოცარის დაუღალაობით ადევნებდა თვალ-ყურს ყველაფერსა. გაზვიადებული სრულებით არ იქნება, რომ ვთქვათ ლევსკი ყველგანაც იყო და არსადაც! უმეტეს შემთხვევაში, სრულებით მოულოდნელად გაჩნდებოდა ამა თუ იმ კომიტეტ შორის და იწვლილებდა კომიტეტის მოქმედებასა. ყურს მოჰკრავდა თუ არა, აქა და აქ კომიტეტის საქმე კარგად ვერ მიღის ან ორგანიზაციას შიში რამე მოელისო, ჰაი-არა იქ გაჩნდებოდა: აქეზებდა, ამხნევებდა „გაფიცულთა“, უთანხმოებასა სპობდა, შეცდომას ასწორებდა, მოსალოდნელ ხიფათს თავიდან აცილებდა, ღონესა ჰლონობდა, საშუალებას იგონებდა შეცდომა გაესწორებინა, საფრთხეში ჩავარდნილ წევრს კომიტეტისას ჰშველოდა, დახმარებას უწევდა. ხშირად

მოხდებოდა ხოლმე, რომ ადგილობრივის კომიტეტის წევრნი ვერა ჰქედავდნენ ან არ შეეძლოთ აესრულებინათ „ცენტრალურ კომიტეტის“ ბრძანება ან ასასრულებლად განზრახული საქმე; მაშინ ლევსკი თვითონ მორბოდა და აკეთებდა საქმეს. ქვეყნის საქმე აწვა კისერზედ ლევსკის, უველგანუნდა ყოფილიყო, ათასად იწეწებოდა და ერთი წუთი მოსვენება არა ჰქონდა. გუშინ რომ ერთს ქალაქში ყოფილიყო, დღეს მეორე ქალაქში დაინახავდით, ბოლგარეთის მეორე მხარეს, ხვალ კი ისევ სხვა ახალ ადგილას მირბოდა... საზოგადოდ, უნდა ვთქვათ, რომ ლევსკი იყო მთელის საქმის სულის ჩამდგმელი, ამ დიდ საქმეს თითქმის მარტო უძლვებოდა. არც წინად და არც შემდეგ ბოლგარეთში არავინ გამოჩენილა ისეთი მუშაკი, რომ ლევსკის შესდარებოდა მხნეობით, დაუღალაობით, საქმის სიყვარულით, გასაოცარის გულ-გაუტეხელობითა, თავდაჭრილობითა. რაც უნდა ძნელი და საშიში საქმე ყოფილიყო, იმასავით ფონს ვერავინ გავიდოდა; ლევსკი საკვირველის ოსტატობით აჯერებდა მსმენელსა, გაიტაცებდა ხოლმე, აიყოლიებდა, და ამ მხრივაც ბადალი არა ჰყავდა. ბოლგარეთის ამ ძვირფასს შვილს.

ამდენს ამაგსა სდებდა საქმესა ლევსკი! სამაგიეროდ, ეგ საქმეც წარმატებაში იყო, პატრიოტული მოლვაწეობა მისის ხელმძღვანელობით დუღდა და გადმოდიოდა და ისეთს ნაყოფს იღებდა,

რომ საქმის დამწყებნი თვითონაც არ მოელოდნენ  
ასეთს გამარჯვებასა. მისის მძლავრის ხელით შემ-  
დგარს ორგანიზაციას სათავეში უდგა ცენტრა-  
ლური კომიტეტი, რომელმაც მოკლე ხნის გან-  
მავლობაში მთელს მხარეს მოპფინა სხვა კომიტეტები  
და თვითონაც ახლა თამამად შეეძლო ეთქვა — ბოლ-  
გარეთის დროებითი მთავრობა ვარო, ასე რომ  
ორის წლის წინად ბუქარესტში საქმის საკეთილ-  
დღეოდ მოგონილი ფიქცია ნამდვილ დაწესებუ-  
ლებად იქცა. ამ იდუმალს კომიტეტს ფაქტიურ  
მოთავედ ლევსკი უდგა, მოკრებილი ჰქონდა დიდი  
ზნეობრივი და ქონებრივი ლონე; გავლენა მისი  
მოეფინა მთელს ბოლგარეთსა. გაფიცულნი ბოლ-  
გარნი ამაყობდნენ — შეამბოხენი ვართო, და თანაც,  
ისე თვით ოსმალეთის მთავრობისაც არ ერიდე-  
ბოდათ და არ ეშინოდათ, როგორც კომი-  
ტეტისა...

და ყოველივე ესე ერთის კაცის უნარი იყო,  
და ამ ერთმა კაცმა, თამამად შეგვიძლია ვსოჭვათ,  
არაფრისაგან აღაგო ასეთი ძვირფასი შენობა, ამი-  
ტომ რომ ლევსკამდე სისტემატიურის ორგანიზა-  
ციის ხსენებაც კი არ ყოფილა; ეს ორგანიზაცია  
ლევსკიშ ფრიად გასაჭირს დროს დაწესა, ისეთს  
დროს, როცა ბრძოლის ველზე მარტოდ-მარტო  
იდგა, მესვეური არავინა ჰყავდა და ოდეს ყოველს  
ნაბიჯზე საშინელი საფრთხე მოელოდა მის-მიერ  
დაწყებულს და ფეხზე დაყენებულ საქმესა!.. ეს

კაცი ნამდვილი მოციქული იყო თავისუფლებისა: მან გასწმინდა ნიადაგი, ყველგან მკვიდრი საფუძველი ჩაჰარა, გაჰკვალა გზა, ხიდი გასდო და უჩვენა თვისთა თანამემამულეთა ხერხი ამ გზაზე სიარულისა, ასე რომ შემდეგ ბევრს სხვას, შედარებით, მუშაობა გაუადვილა; საკმაო იყო სხვებს ლევსკისმიერ დაწყებული საქმე განეგრძოთ და— საწადელს ეწევოდნენ.

ზემორე თქმულის შემდეგა აშკარაა, რომ ლევსკის დიდი გავლენა პქონდა თვისს თანამედროვეებზე. „ბოლგარეთში დიაკვანი ლევსკი უფრო სახელგანთქმული იყო, ვიდრე თვით სულთანი და მსოფლიო პატრიარქი“, — ამბობს ლევსკის ბიოგრაფისი, ზაქარია სტოიანოვი. რაღა თქმა უნდა, ოსმალეთის მთავრობას ყველაზე მეტად ამ დიაკვნისა ეშინოდა. მისი თავი დააფასა კიდეცა: ვინც ლევსკის მოჰკლავდა, 500 ლირს (5,000 მანეთზე მეტი) მიიღებდა ჯილდოდ, ხოლო ვინც ცოცხალს დაიჭერდა, 1,000 ლირს იყვნენ დაპირებული... ლევსკის ცოცხლად დაჭერა და ოსმალთ მთავრობის ხელში ჩაგდება, შედარებით ძნელი არ იყო, ამიტომ რომ ბევრნი იცნობდნენ; ისეთს ცხოვრებასაც ეწევოდა, რომ მოღალატეს თავს ვერ დაახწევდა. მიუხედავად ამისა, ბოლგართა შორის რამდენისამე წლის განმავლობაში არავინ გამოჩნდა, რომ მთავრობის მიერ დაპირებულს საჩუქარს დაპხარბებოდა. ლევსკი ისეთ სათნო და

მაღალ-ზნეობის კაცად მიაჩნდათ, ისე ემორჩილებიდა ყველა, რომ თვით ულირსთა და ბინძურთაც არ განუზრახავთ მკრეხელობა ჩაედინათ და მისთვის თვისი უწმინდური ხელი ეხლოთ. სამაგიეროდ, ზაფთიებისა და მთავრობის პროფესიონალურ ჯაშუშთა გულმოდგინეობას საზღვარი არა ჰქონდა. მათს გადამკიდეს ლევსკის დიდი მამაცობა, თავის დაჭერა, ოსტატობა, დიდი შნო და უნარი ჰმართებდა, რომ მთავრობას ხელში არ ჩავარდნოდა. ყველა ამ ღირსებით ლევსკი შემკული იყო და მშვიდობით აძვრენდა თავს ყოველს ნაბიჯზე დაგებულს ხაფანგსა და ქსელსა. ბოლოს, მაინც გაება ხაფანგში, მაგრამ ეს მხოლოდ მისის ჯიუტობის ბრალი იყო, სხვა არაფრისა... რომ თვისთა მტერთათვის გზა-კვალი აერია, ლევსკი იძულებული იყო თითქმის ყოველ დღე თვისი გარეგნობა გამოეცვალა: იღებავდა თმას, სახეს იკეთებდა, ხან გლეხურად ჩაცმული გამოჩნდებოდა, ხან მღვდლურად, ხან ხელოსანი ეგონებოდა კაცსა, და სხვ. და სხვ. სხვათა შორის, ამბობენ, რომ, სადაც ერთხელ იქმნებოდა, სიფრთხილის გულისათვის, იქ წინანდებურად ჩაცმული მეორეჯერ არ გამოჩნდებოდა. საზოგადოდ, ტანისამოსსა და სახეს ისე ოსტატურად იცვლიდა, რომ ახლო ნაცნობნიც ვერა სცნობდნენ ხოლმე. ერთავად იარაღში იჯდა, იარაღი ტანისამოს ქვეშა ჰქონდა დამალული. თან სულ მუდამ შხამს ატარებდა,

თუ ვინიცობაა, ოსმალთ დამიჭირეს, ცოცხალი  
მაინც არ ჩავუვარდები ხელშიო. სულ ერთია, თუ  
დამიჭირეს შუბლზე არ მაკოცებენო...

როგორცა ვსოდეთ, ხალხს დიდი სიყვარული  
და პატივისცემა ჰქონდა ლევსკისა ქცევა და გარე-  
გნობა ისეთი ჰქონდა, რომ ვინც არ იცნობადა,  
თავის დღეში არ იტყოდა, ჩემს წინ დიდებული  
აგიტატორი დგას, რომლის წინაშე ყველანი მუხლს  
იდრეკენ, ხოლო ოსმალთ შიშის ზარსა სცემსო.  
შუბლი ღრმადა ჰქონდა დანაოცებული. ეს ნაო-  
ჭები ჰმოწმობდა, რომ ეს კაცი ხშირად ჰფიქრო-  
ბდა, ბევრსა ჰზრუნავდა და სწუხდა. კრების ღროს,  
როცა საქმეზე ლაპარაკობდნენ, დინჯად იჯდა,  
დაფიქრებული, თვალები ენთებოდა; გატაცებით,  
ბრძანებითის კილოთი ჰლაპარაკობდა. თუ მოლა-  
პარაკენი, ოდნავაც არის, მსუბუქად დაიჭერდნენ  
თავს, მოილუშებოდა და ყველა დამსწრეთ კანკალს  
მოჰვერიდა. მაგრამ, ურება როგორც კი გათავდე-  
ბოდა, საქმეზე ლაპარაკს რომ შესწყვეტდნენ,  
ლევსკი სულ სხვა კაცად იქცეოდა: სახეზე ფიქრის  
ნიშან-წყალი არ ებატებოდა, გააბამდა მხიარულს  
ლაპარაკს, სიცილს, ოხუნჯობას, ხუმრობას. ქუ-  
ჩაზე, საღმე საზოგადო აღგილას თავი თამამად  
ეჭირა: ყველას შიგ თვალში უცქეროდა,— გული  
ღია მაქვს, მოდით ჩაიხედეთო, დასამალავი არა  
მაქვს-რა, არცა მეშინიან ვისიმეო! ამხანაგებთან  
ყოველთვის ხმა-მალლა ლაპარაკობდა, ერთავად

მღეროდა, უშტვენდა, ყველას, მარჯვნივ და  
მარცხნივ, სალამს აძლევდა, ყველას ეხუმრებოდა,  
ზმას ეუბნებოდა. ერთბაშად რო შეხედავდით,  
იტყოდით, ამ კაცს დარდი არაფრისა აქვსო, გული  
კამკამი, დამშვიდებული და განათებული აქვს  
მაისის კარგ დილასავით, თავისს თავისა და ყველასი  
მაღლიერიაო. ვინც არ იცნობდა ლევსკის, ვერ  
იფიქრებდა, რომ ის შეთქმულობაში ერია. მისნი  
თანამოაზრენი და ამხანაგნი არხეინად იყვნენ,  
გული დამშვიდებული ჰქონდათ: ასეთი ოსტატი  
კაცი ჰყავს ჩვენს სამშობლოს ქომაგიო. თავში,  
უნებურად, ის აზრი ებადებოდათ, რომ, შეთქმუ-  
ლობის მეთაური რაკი მხიარული და დამშვიდებუ-  
ლია, სჩანს, საქმე მშვენივრად მიღის, ჩვენ რომ  
ვფიქრობდით, ისე საშინელი არა ყოფილაო.

ერთის სიტყვით, ლევსკის ბადალი და ტოლი  
არა ჰყავდა, მის შემდეგ ბოლგარეთს არა ჰყოლია  
ასეთი საოცარი მებრძოლი და გულ გაუტეხელი  
ქომაგი თვისის ერისა.

**1872** წელიწადი მეტად მწარე იყო ბოლგა-  
რეთის განთავისუფლების მებრძოლთათვის.  
ამ წლის მარტში რუშჩუქში ოსმალთაგან დაჭე-  
რილმა მხნე აგიტატორმა, ანგელ კონჩევმა, ლევ-  
სკის დაახლოვებულმა მეგობარმა და თანაშემწემა

რევოლუციით თავი მოიკლა. ამ მებრძოლს ბევრი წერილები და დოკუმენტები უპოვეს. ოსმალთ მთავრობამ ამ დოკუმენტების წყალობით ბევრი რამ გაიგო საჭირო მომავალ აჯანყების შესახებ და, რა თქმა უნდა, ეს ცნობები გამოიყენა, ბოლგარეთსა და ფრაკიაში მთავრობა დაფაცურდა და ბევრი გაფიცულებიც დაიჭირეს. სხვა მრავალთა შორის დიმიტრი-ობშიიატიც დაიჭირეს, რომელიც, როგორცა უკვე ვსთქვით, ლევსკის დაპყვებოდა ბოლგარეთში, მაგრამ რომელსაც ლევსკი უნდოდ უყურებდა, — გაუბედავია, მშიშარაო, და ამიტომ, გაჭირვების დროს, შეიძლება, დიდადაც გვავნოსო. შემდეგში გამოჩნდა, რომ მართლა სანდო არა ყოფილა. მთავრობამ, რაკი ხელში ჩაიგდო, გამოკითხვა დაუწყო. ობშიიატმაც, იქნება სიკვდილს გადავრჩეო, და ყველანი გასცა. მართალია, ლევსკი ფრთხილად იყო და თავისს საიდუმლოს ყველაფერს არ ანდობდა. მაგრამ ობშიიატმა ორგანიზაციისა ბევრი-რამ იცოდა; მთავრობას არაფერი დაუმალა, თუმცა თვითონ მაინც ვერ დააღწია თავი სახრჩობელასა. როცა ობშიიატმა სულმდაბლად მთავრობას საჭირო ცნობები ჩაუკენჭა, აგიტატორების დაჭერა უფრო გახშირდა. სხვათა შორის, ერთი ისეთი დაიჭირეს, რომელმაც ლევსკისაც ბოლო მოულო.

ობშიიატმა, სხვათა შორის, ერთი მღვდელიც გასცა, ვინმე კრესტიუ, ერთის ყველაზე დიდის,

სახელდობ ვოლჩის კომიტეტის თავმჯდომარე. ეს  
მღვდელი ყველასაგან სანდოდ და საქმის ერთგულ  
კაცად იყო მიჩნეული, მაგრამ როცა სიკვდილს  
და მუხანათობა სავსებით გამოაშეარავა. სახრჩობელა გადაწყვეტი-  
ლი ჰქონდა. რა თქმა უნდა, დიდი სამსახური უნდა  
გაეწია მთავრობისათვის, რომ ამასაც სიკვდილი-  
საგან ეხსნა თავი. და აპა, ნაძრახი სიკოცხლე  
ირჩია სიკვდილსა და გადასწყვიტა იუდობა ეკისრნა.  
მთავრობას თავისის თავის მაგიერ ორგანიზაციის  
მეთაურის, დიაკვან ლევსკის, თავს დაპირდა, რომ-  
ლის დაჭერისათვისაც, დიდი ხანი იყო, ოსმალნი-  
ოცნებობდნენ და რომელიც ოსტატურად ყოველ-  
თვის ხელიდან უსხლტებოდათ. კრესტიუს დაპი-  
რება დიდის სიამოვნებით მოისმინეს; ყველაფერს  
გაპატივებთ, კაიძალ ფულსაც მოგცემთო, უთხრეს,  
და მაშინადვე განთავისუფლეს კიდეცა. მისმა გა-  
მოშვებამ გაფიცულნი ყველანი დიდად გააკვირვა. კომიტეტის თავმჯდომარედ ყოფილს მოერიდნენ  
და ფრთხილად და მარაგად დაიჭირეს თავი.

როცა ბოლგარეთში უბედურება უბედურებაზედ  
ატყდებოდა გაფიცულთა თავზედა; როცა ზოგი  
ჰდალატობდა მათს წმიდა საქმესა, ლევსკი ფრაკი-  
აში იყო საქმეში გართული. საჭირო იყო როგორმე  
და როცა შეიძლებოდა ჩქარა შეეტყობინებინათ,  
რაც მოხდა და ყოველთ უწინარეს სატუსალოში  
ჩაგდებულ ობშირატის სამარცვინო საქციელი და

კოსტიუს ძალიან საეჭვო განთავისუფლება, — დიალ, საჭირო იყო გაეტრთხილებინათ, რომ იმასაც სათანადო და შესაფერი ღონე ეღონა; გარდა ამისა, ლოვჩიაში ბუქარესტიდან ლიუბენ ყარაველოვისაგან რამოდენიმე ძალიან საჩქარო და საჭირო წერილები მოვიდა ლევსკის სახელობაზედა. ყარაველოვი სწერდა, რა კი ამდენს ხალხს იჭერენ, ბოლოს-და-ბოლოს ძალიან შესუსტდებოდა ორგანიზაცია, და არიქა, შენი ჭირიმე, დროს ნუ ჰქარგავ, ახლავე აჯანყების დროშა აღმართევიო... აფრინეს კაცი ფრაკიაში, მაგრამ კვალიც ვერ ჰპოვეს ლევსკისა: დიაკვანს ვასილს თითქო დედა-მიწამ პირი უყოვო. მეგობრები დალონდნენ და იფიქრეს, ვაი თუ დაჭერილიაო, მაგრამ თურმე ტყუილადა ჰშიშობდნენ: ლევსკი სამხრეთ-ფრაკიის ერთ-ერთს ქალაქში ყოფილა. რომ გაიგო, მის იქ არ-ყოფნაში მომხდარი ამბები, მაშინვე დატრიალდა, რომ საქმისათვის უბედერება აეცდინა და დაეხსნა გასაჭირისაგან, რის დახსნაც კი შეიძლებოდა. ფრაკიის ყველა კომიტეტებს შესაფერი განკარგულება მისცა, ნახა ბალკან-იქითელ გაფიცულთა მეთაურები, მოელაპარაკა, შემდეგში როგორ უნდა ემოქმედნათ, მერე საჩქაროდ დასტოვა თავისი საყვარელი სამშობლო ფრაკია, — როგორც მერე გამოჩნდა, საუკუნოდ, — და ბოლგარეთში, ლოვჩის, გაექანა, რომ პირადად გამოეკითხნა ყველაფერი შლვდელ კრესტიუსათვის, რომლის მოღალატეობაზე

მარტოოდენ ფიქრი აგიუებდა. გადასწყვიტა, გამოერთმია უველა კომიტეტის ქალალდები და დოკუმენტები, აგრეთვე კომიტეტის კასაცა, რომელშიაც კარგაძალი ფული ინახებოდა. მეგობრებმა ბევრი ურჩიეს ლევსკის, დაეხსენ მღვდლის ნახვას, საშიშიაო. მაგრამ ყოველთვის წინდახედულს და ფრთხილს დიაკვანს ამ ხელად თავის თავისა თვითონვე არა გაეგებოდა-რა. გაკერპდა და არავის გაუგონა.

—მთელი ქვეყანა რომ წინ დამიღეს, მაინც არ დავიშლი მღვდლის ნახვასა!—ჰყავიროდა ბრაზით გაბოროტებული დიაკვანი.—მე მინდა ვნახო, უნდა გავიგო, როგორ გაიმართლებს თავს, რა პირით შემომხედავს! თვისის საზიზლრობისათვის პასუხი უნდა გამცეს, პასუხი უნდა აგოს თქვენს წინაშე, პასუხი უნდა აგოს მთელის ბოლგარეთის ერის წინაშე!...

ამხანაგები ლევსკის გადასწყვეტილის სურვილის წინააღმდეგ ვერ წავიდნენ, გაუჩუმდნენ, —ჩვენის რჩევა-დარიგებით უფრო გავაანჩხლებოთ. მაგრამ, ამასთან, დიდად შესცდნენ: ჰედავდნენ, რომ დიაკვანი უეჭველის განსაცდელისაკენ მიღიოდა. მაინც თავის ამარა დასტოვეს და არ იზრუნეს, რომ გაჭირვების წამს მიჰშველებოდნენ...

ლევსკიმ ამასობაში მღვდელს კრესტიუს წერილი გაუგზავნა; მისწერა, ამა-და-ამ დღესა და საათს უეჭველად მნახეო. უნდა შეყრილიყვნენ

ერთს გზის პირად მდებარე დუქანში, ლოვჩიდან რამოდენისამე საათის სავალზე. ეს წერილი მღვდელმა მიიღო თუ არა, მაშინადვე ლოვჩის ყაიმაყამს (პოლიციელისტერს) გაუგზავნა, თვითონ კი ლევსკის მისწერა, პაემანზე მოვალო... მკითხველი, რა თქმუნდა, მიხვდება, რითი გათავდა ეს სამარცხინო საქციელი.

შობის მეორე დღეს ღამე ლევსკისა და მისს ორს ამხანაგს საბედისწერო ადგილას ტკბილად ეძინათ. გარშემო სიჩუმე იყო. მოულოდნელად დუქნის ალაყაფის კარებს ლონივრად ბრახუნი აუტეხეს. იარალში ჩამსხდარი რაზმი ზაფთიებისა დუქანს გარშემო შემორტყმოდა. ამ ყვირილსა და ხმაურობაზე ვასილის ერთს ამხანაგს გამოელვიდა, გამოიჭრა გარედ, კარგად მიათვალ-მოათვალიერა ყველაფერი და დარწმუნდა, საქმე წასულიაო. მაშინადვე დუქანში შემოტრიალდა, მკვდარსავით მძინარე ლევსკი, როგორც იყო, გამოაღვიდა და წასჩურჩულა:

— გვიღალატეს, ბატონო ვასილი!... გარშემო მტერი გვარტყია! ჩქარა ადექი!.. დუქანს ხიშტებიანი ზაფთიები შემოჰვევიან!...

ლევსკი გველ-ნაკბენივით წამოხტა ზეზე, როცა ეს ამბავი მოისმინა. საჩქაროზე ტანთ ჩაიცვა, ორსავ ხელში თითო რევოლვერი დაიჭირა, გამოვიდა ეზოში, ამხანაგსა სთხოვა, კარები ერთბაშად გაეღო, და, როცა ამხანაგმაც კარები გააღო,

ლევსკიმ გამძაფრებულ ლომსავით შეუტია კარებთან შეჯგუფებულ ზაფთიებს და ორსავ რევოლვერიდან ზედი-ზედ სროლა დაიწყო. ზაფთიებს თავზარი დასკა მოულოდნელად გამოჩენამ და თავგანწირულმა მამაცობამ საშინელის „კომიტისამ“ და მაშინადვე გზა უყვეს. როცა გონს მოვიდნენ, გამოეკიდნენ, მაგრამ ლევსკი უკვე შორს იყო. ლამის სიბნელემაც ხელი შეუწყო გაქცეულსა. ლევსკი უეჭველად ხელიდან გაუსხლტებოდა მტრებსა და თავს უშველიდა, რომ ერთ უბედურ შემთხვევას ხელი არ შეეშალა: გზაზე ღობე დახვდა, გადახტომის დროს, ქალამნის თასმა გამწვეტებულს სარს მოედო; ლევსკი ბევრს ეწვალა, მაგრამ ფეხები ვერ გაინთავისუფლა და უმწეოდ თავდაყირა დაეკიდა ღობის მეორე მხარესა, და ამასობაში ზაფთიებმაც მოუსწრეს კიდევაც.

— მშვიდობით, ძმანო ბოლგარნო!.. მშვიდობით შენცა, ჩემო სამშობლო!.. შენთვისა ვკვდები!.. — წარმოსთქვა ლევსკიმ, ცრემლ-მორეულმა, როცა ხელ-ფეხი გაუკრეს და არ ამხანაგთან ერთად ურემზე დააგდეს ლოვჩაში წასაყვანად.

აქ არას ვიტყვით იმ სიხარულისას, ოქმალოს მთავრობას რომ შეუდგა, როცა ტელეგრაფმა ყველას აუწყა საშინელის დიაკვნის დაჭერა; არც იმისას ვიტყვით, როგორ მიჰყავდათ ლევსკი ლოვჩაში და ლოვჩიდან სოფიაში... შევნიშნავთ მხოლოდ, რომ გზაში თვალის ჩინსავით უფრთხილდე-

ბოდნენ, — ხუმრობა საქმე ხომ არ იყო ისეთი  
ძვირფასი და საინტერესო ტყვე! — კარგად ეპყრო-  
ბოდნენ, ყოველსავე სურვილს უსრულებდნენ.  
მთავრობას ეშინოდა, დაჭერილ „კომიტის“ თანა-  
მოაზრებმა გზაში მისი გამოხსნა არ მოინდომონო,  
ამიტომ ყოველის სიფრთხილით მიჰყავდათ: ურიცხვ  
ზაფთიებისა გარდა, 250 ცხენოსანი სალდათი  
მისდევდა.

1873 წლის 4 იანვარს ლევსკი სოფიაში  
მოიყვანეს და ორს მისს ამხანაგს განაშორეს, რო-  
მელნიც მათთან ერთად მოჰყავდათ. გამოთხოვე-  
ბისას, დრო იხელთა და ერთს ამხანაგს, რომლის  
წინააღმდეგ მთავრობას არავითარი ხელჩასაჭიდი  
გასამტყუნებელი საბუთები არა ჰქონდა და რომე-  
ლიც, შესაძლებელი იყო, განთავისუფლებულიყო,  
ზოგი რამ უთხრა: ესა და ეს განკარგულება  
მოვახდინე უკანასკნელად, სხვა-და-სხვა დოკუ-  
მენტები და ფულები აქა და აქ ინახებაო, ამდენი  
და ამდენი დავხარჯევო, და სხვ. ყველაფერი ეს  
კომიტეტის წევრებს უთხარი, ხოლო ჩემს მეგობ-  
რებს, ნაცნობებს და ამხანაგებსა სოხოვევი, ნურასი  
ეფიქრებათ, კრინტსაც არ დავძრავ მეტსა; გულს  
ნუ გაიტეხენ, განაგრძონ მარჯვედ დაწყებული  
წმიდა საქმე და ლელოს უეპველად გავიტანთ...  
თუ თავისუფლები არ ვიქმნებით, ჩვენი სიცოცხლე  
გრძელდა არა ღირს! არ დაერიდოთ არავითარს  
მსხვერპლსა, ორჭოფობა და შიში იქით გადააგდეთ,

გაკვალულ გზაზე მამაცურად იარეთ, დამონავებულის საშობლოს ხსნისათვის ნუ დაზოგავთ ლონესა!

აი უკანასკნელი ანდერძი, ლევსკიმ რომ დაუგდო მასზე ბედნიერ ამხანაგებსა და თანამოაზრეთა. თვით იმ წუთას, როცა საბედისწერო მარყუჟი ყელზე შემოუჭირეს, დიდებულის პატრიოტ-მოწამის ფიქრის საგანი თვისი თვი და თვისი საშინელი მდგომარეობა კი არ იყო, — მისი ფიქრი და აზრი თავს. დასტრიალებდა უბედურს და ჯვარცმულს საშობლოსა, რომლითაც სკოც-ლობდა, სულდგმულობდა, რომელსაც თვისი არსება სავსებით შესწირა, და რომლის გულისა-თვის ახლა უდრტვინველად სახრჩობელაზე მიღი-ოდა!..

მის საქმეზე დანიშნული კომისია დიდს ხანს, ერთსთვეზე მეტსა, ჰკრეფდა ლევსკისაგან ცნობებსა. როცა დიმიტრი ობშიიატი პირში წაუყენეს, მოღალატეს თვალებში ჩააფურთხა და გადაჭრით განაცხადა, არას ვიტყვიო. რაც ხანი დაჭრილი იყო, ყოველ დღე ათას რასმე ჰკითხავდნენ რო-გორც სხვა-და-სხვა ეჭვ-მიტანილთა, ისე მის მიერ დაწყებულ ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ ლევსკი ხმას არ იღებდა, თითქო კრიჭა შეეკრაო. ლაპარაკს მხოლოდ მაშინ დაიწყებდა, როცა კომისიას თავისს განზრახვას უამბობდა. ნათლად და ცხოვლად უხატავდა თვისის საშობლო ერის ყოველს მწუ-ხარებასა და ტანჯვასა, უდიერად იხსენიებდა

ოსმალთა მტარვალობასა; საკაა ბოლო მოეღებაო. და, ამ სახით, იმის მაგივრად, რომ მტყუანად თვისი თავი აღეარებინა, გაცხარებით გაიძახდა,— მტყუანი და დასასჯელი თქვენა ხართო!

—ჩამომახრჩეთ, მაგრამ ამასთანავე იცოდეთ, რომ ჩემს შემდეგ ათასი სხვა გამოჩნდება, ჩემზე უფრო მხნე, გაბედული და თავდადებული! ეუბნებოდა ლევსკი თავისს მოსამართლეთა.

სასამართლომ, რა თქმა უნდა, როგორც მოსალოდნელიც იყო, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. 6 თებერვალს უნდა ჩამოეხრჩოთ და ყველაფერი მზად იყო, მაგრამ, როცა საკანში შევიდნენ გამოსაყვანად, ლევსკი იატაკზე გაროხმული დაუხვდათ, თითქმის უსულო: რაკი გაიგო თავისი ბედი, გადასწყვიტა, მტრები არ გავახარო ჩემის წვალების ცქერითაო, და კედელზე თავი მიინაჭყა. ასე რომ სახრჩობელაზე, ცოცხალის კაცის მაგივრად, უსულო ლეში აათრიეს.

ამგვარად დაიღუპა, დაბადებიდან ვნ წლისა, დიდებული კაცი, რომლითაც ბოლგარეთი ამაყობს და თავი მოაქვს. მშვიდობა პატიოსანსა გვამსა შენსა თავისუფლებისათვის თავდადებულო, წმიდა მოწამევ!..



VI

ლიუბენ ზარაველოვი.

I

ბოლგარეთის ქალაქ კოპრეშიცაში 1837 წელს, ესე იგი, ლევსკის დაბადების წელიწადს, დაიბადა გამოჩენილი ბოლგარელი პატრიოტი და მწერალი, **ლიუბენ ზარაველოვი**, ძმა თანამედროვე ბოლგარეთის პოლიტიკურს მოღვაწისა. მისი მშობლები გავლენიანი მოქალაქენი და მდიდარი მოვაჭრენი იყვნენ ქ. კოპრეშიცაში. რაკი ვაჭრობაში თვითონ ხეირსა ხედავდნენ, განზრახვა ჰქონდათ შვილიც ვაჭრად გამოეზარდნათ. პირველად ლიუბენი ბოლგარულ სკოლაში სწავლობდა. 18 წლისა რომ შეიქმნა, მშობლებმა გადასწყვიტეს ქ. პლოვდივში გაეგზავნათ. აქ გაიწვრთნება, მოქალაქეთაგან ჭკუას შეიძენსო, გამოიცდებაო, თანაც ბერძნულსაც ისწავლისო. ბერძნული კი იმ დროს საჭირო იყო ყველა ბოლგარელისათვის. ვისაც ცხოვრებაში გზის გაკვალვა და „რაიმე ხარისხის“ მიღწევა სწადდა. ამ მოსაზრებით, ქ. პლოვდივას წაიყვანეს და ბერძენთა უბანში დააბინავეს ერთ მდიდარ ბერძენთან მოსამსახურედ. ახალგაზდა ლიუბენმა თან პლოვდივას ბერძენთა სკოლაში დაიწყო სიარული.

პლოვდივაში ყოფნამ უნაყოფოდ არ ჩაუარა

ყარაველოვსა ბევრი-რამ გაიგო. ტრიალებდა ბერ-ძენთა და გაბერძნებულ ბოლგართა შორის, აკვი-რდებოდა ფილიპოპოლის ერთმანეთში არეულ მაღალ და საშუალ საზოგადოების სასულიერო და საერო წარმომადგენელთა ცხოვრებას და დაკვირ-ვების ნიჭით შემკულმა ყმაწვილმა მაშინადვე შეამ-ჩნია, რა დიდად გახრწნილი და ზნედაცემული იყო, ვინც გარშემო ეხვია. ყოველ ნაბიჯზე ფარი-სევლობის, მტაცებლობის, მოტყუების და ათას გვარ გარყვნილების მოწამე იყო. შემდეგში ეს უბადრუკი ცხოვრება პლოვდიველთა მეტის-მეტ ოსტატობითა და ხელოვნებით გამოხატა თავისს მოთხრობებში ყარაველოვა.

ლიუბენ ყარაველოვი იმ წრისა და იმ ადგი-ლისათვის, სადაც იგი დაიბადა და აღიზარდა, სრულებით უცხო იყო, სრულებით არავინა ჰგვან-და ამ აღამიანსა. ამას აშკარად ჰმოწმობს შემდეგი საინტერესო ამბავი. პლოვდივაში ორი წელიწადი დაჰყო ლიუბენმა და მერე თავისს სამშობლო ქა-ლაქში, კოპროვშიცას, დაბრუნდა. მალე მამა მისი სავაჭროდ გაემგზავრა და ისიც თან გაჰყვა. შემო-იარა თითქმის მთელი ბოლგარეთი, ნაწილი მაკე-დონიისა, სერბია და ხალხის ცხოვრება დაახლო-ვებით გაიცნო. მამას ცხოვრებისა და ლორების ყიდვასა ჰშველოდა და იმავე დროს გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი მაშინდელ დროისთვის სრულებით უცნობს, მეტადრე ჩორბაჯის შვილისათვის, საქმე-

სა: აგროვებდა და სწერდა სახალხო ლექსებსა, გამოცანებსა, ანდაზებსა და სხვ. შემდეგ ეს შეკრებილი საუნჯე ხალხის გონებისა ცალკე კრებულად დასტამბა რუსულს ენაზედ, ამ სათაურით — „**ბოლგართა უოფა**“. რა თქმა უნდა, ამ „ტუტუცურ“ რისამე მოკრებას ვერც მაშინდელი სკოლა ასწავლიდა და ვერც სხვა ვინმე, რომელთა შორისაც ტრიალებდა; ზეპირ-სიტყვიერების მოგროვების აზრი ყარაველოვს თავის-თავად დაებადა და ეგ პირველი ნიშანი იყო ნიჭიერ ყმაწვილის სამწერლო მოწოდებისა.

ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, არ ვიცით რისთვის, ლიუბენს ოდრინაში (ადრიანო-პოლს) ვხედავთ. აქ ერთს ბინძურ სახელოსნოში მკერვალობასა, კოპროვშჩიცელთ ამ მამა-პაპეულ ხელობასა, სწავლობს. მაგრატელი და ნემსი ბოლგართა მომავალ პუბლიცისტ-პატრიოტს დიდს ხანს არა სჭერია ხელში. ღა, დედ-მამის სურვილის თანახმად, სტამბოლში ნოქრად დადგა ერთს კანტორაში.

სტამბოლში ლიუბენს ევროპის ნიავი მოხვდა, და, მისის გავლენით, ევროპაში წასვლა მოისურვა; საშინლად მოუნდა სწავლა, სინათლისა და სამართლის ძიება სულიერად ღრმა ძილში მყოფ სამშობლოს გარედ. რუსეთი აირჩია ყარაველოვმა. და აპა, 1858 წლის მარიამბისთვეში, მოსკოვში მოვიდა და თან ერთი ამხანიგიც მოიყვანა. ორივე

რომელსამე სასწავლებელში უნდა შესულიყვნენ. ყირიმის ომი ახალი გათავებული იყო, მისი ქებათა-ქება ეკერა პირზე ბევრ ბოლგარელ ყმაწვილ კა-ცებსა და სამხედრო სამსახურისაკენ მიისწრაფებო-დნენ. ამ აზრის გავლენის ქვეშ იყო, სხვათა შო-რის, ლიუბენიც. ამხანაგთან ერთად გადასწყვიტა სამხედრო სასწავლებელში შესულიყო. მაგრამ რაკი რუსული ენა თითქმის არ იცოდნენ, უთხრეს, ჯერ ისწავლეთ, მატემატიკიდანაც ცოტა მოემაზადე-ნით, და მაშინ მიგიღებთო. ყმაწვილ-კაცებმა იშოვეს კერძო მასწავლებელი და გულმოლგინედ შეუდგნენ სწავლასა. გარნა ორმავე ერთნაირად არ გამოიყე-ნეს ეგ სწავლა. ამხანაგი მოემზადა და შევიდა კიდეცა სამხედრო სასწავლებელში, ხოლო ლიუბენს ცოტ-ცოტად ხალისი დაეკარგა სამხედრო სამსა-ხურში შესვლისა; უმეტესს დროს რუსულ მწერ-ლობის გაცნობას ანდომებდა, დაუახლოვდა რუსე-თის იმ დროინდელ გონებრივის მოძრაობის საუ-კეთესო წარმომადგენელთა, გამსჭვალა მათის აზრებითა, მიმართულებითა, შეისისხლ-ხორცა მის-თვის ახალი წმიდა აზრები და მთლად მწერლობას მოჰკიდა ხელი. მოსკოვის უნივერსიტეტში თავი-სუფალ მსმენლად ჩაეწერა და ისტორიისა და ფი-ლოლოგიის ნაწილზე ლექციებს ისმენდა. მაგრამ სწავლა არსად არ დაუმთავრებია და ალარც დიპ-ლომი რამე მიუღია.

მთელი ცხრა წელიწადი სცხოვრობდა ლიუ-

ბენ ყარაველოვი მოსკოვში. დიდი სისაწყლე გამოიარა. რუსულ სხვა-და-სხვა უურნალებში ჰბეჭ-დავდა წერილებს ბოლგარეთისა და ბოლგარების შესახებ. მაგრამ მისს ცოცხალსა, გატაცებულს გულსა გაცხარებული ბრძოლა და მოქმედება სწად-და. და აპა, 1867 წელს, მოსკოვსა და რუსეთს თავი დაანება და სერბის დედა-ქალაქ ბელგრადში გადმოვიდა. მოკლე ხანში შეისწავლა სერბიული ენა, დაიწყო კრიტიკულ წერილებისა და მოთხრობების წერა სერბიულ უურნალ-გაზეთებისათვის, სერბთა დემოკრატთა წრეს მხარში ამოუდგა. როგორც ნიჭიერმა და პატიოსანმა პუბლიცისტმა დიდი სიყვარული და პატივცემა მოიხვეჭა სერბთა საზოგადოებაში, მაგრამ ამავე დროს ადგილობრივმა მთავრობამ აითვალწუნა და დევნა დაუწყო.

ყარაველოვმა გადასწყვიტა სამუდამოდ გას-ცლოდა ამ ქვეყანას. მაგრამ სად უნდა წასულიყო?.. მწერლობაში ცნობილი იყო, როგორც თავ-გამო-დებული მომხრე დემოკრატთა და მტერი ოსმალ-თა,— ეს მშენივრად იცოდა ოსმალთა მთავრობამ, ასე რომ სამშობლოს კარები სამუდამოდ დაკეტილი იყო ბოლგარეთის საუკეთესო შვილისათვის. რუმინია-ლა დარჩა, და ყარაველოვიც ამ ქვეყანაში გადავიდა, სადაც შვიდ წლამდე დაჰყო.

რუმინიის დედა-ქალაქ ბუქარესტში ლიუბენ ყარაველოვი იმ დროს მოვიდა, როცა ბოლგართა თავზედ ლვთის-რისხვა იყო დატრიალებული, როცა

როგორც უკვე მოვიხსენეთ, ტოტიუს, პანაიოტისა, ჰაჯი დიმიტრისა და ყარაჯის დამარცხებამ ბოლგარელ პატრიოტ-მოღვაწეთ ყოველივე ხალისი დაუკარგა რისამე გაკეთებისა, გული გაუტეხა, სასოწარუკვეთა; როცა მთავრობა ულმობელად ეპყრობოდა ბოლგარელ მამულისშვილთა, თითქმის ყველანი იმ აზრისანი გახდნენ, რომ თოფ-იარალით და აჯანყებით ბოლგარელ ხალხს ტვირთს ვერ შეფუძნუბუქებთო, — ისევ ისა სჯობს, მტერს დავუყვავოთ, მის წინ ქედი მოვიხაროთო; იქმნება, უცხოელნიც გამოგვექმნავნენ და, შეიძლება, მხოლოდ მაშინ გველირსოს რამე ბედნიერებაო. აალიან მცირედი იყო ისეთების რიცხვი, ვისაც კიდევ შერჩა წინანდელი გულგაუტეხლობა და ვინც მარტო ბრძოლაში ჰქედავდა შველასა. როგორც უკვე ვიცით, ერთი ამათგანი იყო დაუვიწყარი გმირი ვასილი ლევსკი, რომელსაც მხურვალედ თანაუგრძნობდა და ხელს უწყობდა მხოლოდ ლიუბენ ყარაველოვი. ლევსკის მსგავსად, ყარაველოვიც იმ აზრისა, იყო, რომ „ბოლგართ თავისი თავი თვითონგე უნდა გაინთავისუფლონ, თავისუფლება თვისის სისხლითა და ხორცით უნდა მოაბოვონ და გინც სხვის იმედითა სცხოვრობს, უფლება არა აქებს დამოუკადებელ არსებობისათ“! ეს იყო ყარაველოვის მრწამსი, protession de foi. ამ აზრის გასავრცელებლად 1869 წლის გასულს დაარსა გაზეთი „თავისუფლება“, რომლის პრო-

გრამაში ყარაველოჲი ამბობდა, რომ გაზეთის აზრია: „ქომაგობა და სარჩლი გაუწიოს ბოლგართა ინტერესებსა და ბოლგარელ ერს უჩვენოს გზა და საშუალება თავისუფლებისა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობის მიღწევისაო...“

„თავისუფლებას“ დიდი გასავალი ჰქონდა. დიდხალი ნომრები გადმოჰქონდათ ამ გაზეთისა დუნაის გაღმა, ოსმალეთშიაც. მისი კითხვა ყველას ფრთხებს უსხავდა სიხარულისას, უღვიძებდა პატრიოტულს გრძნობას. ლიუბენის სახელი თან-და-თან გაითქვა და ყველა მოწინავე, პატიოსანი და მოაზრე შვილნი ბოლგარეთისა მისნი თაყვანისმცემელნი და მომხრენი შეიქმნენ. ლიუბენის წინ მოწიწებით ქედს იხრიდნენ რუმინიაში დიდი ხნის გადმოხვეწილი ბოლგარელი მდიდრები და ჩორბაჯიები, მაგრამ თაყვანსა სცემდნენ მანამდე, სანამ „თავისუფლება“ მარტო პოლიტიკურს ბრძოლასა ჰქადაგებდა ოსმალთა წინააღმდეგ და ლაპარაკში სანამ დემოკრატიული კილოც არ გაურია.

პირზე ქაფ-მომდგარნი მიესივნენ ლიუბენსა, დაუწყეს უწმაწური თრევა-გინება, „მოლალატე“ ხარ, „გამცემელი“, პოლონელთა, ან სერბთა „აგენტიო“ და სხვ. ლიუბენ, რა თქმა უნდა, ერთი ბეჭვა ყურადღებასაც არ აქცევდა. „უურნალ-გაზეთობაო,— სწერდა თავის გაზეთში,— იმისთვის კი არ არსებობს, ვისმე მოეფეროს ან ლაქუცი დაუწყოს; არა, უურნალ-გაზეთს პირუთვნელი კილო

უნდა ჰქონდეს ლაპარაკისა, უნდა ამხილოს და  
შური იძიოს არა მარტო ჩვენის მტრებისა, არა-  
მედ, თუ საჭიროა, ჩვენის მოყვრისაც, ჩვენის ძმე-  
ბისაც; წინააღმდეგს შემთხვევაში, უურნალ-გაზეთი  
„მეძავს ქალს დაემსგავსებაო.“ ამგვარად, ყარავე-  
ლოვი ერთხელვე დასახულს საზოგადოებრივ-პო-  
ლიტიკურს იდეალს პირდაპირ მისდევდა, დაულა-  
ლავად ჰქადაგებდა თვისის ერის ყოველს მხრივს  
განთავისუფლებასა.

ლ. ყარაველოვის საგარეო ცხოვრებაში სამა-  
გისო არა მომხდარა-რა. მართალია, ის უდგამდა  
სულს ბოლგართა მოძრაობასა, „ცენტრალურ კო-  
მიტეტის“ სხვა წევრთა შორის ყველაზე მეტი გავ-  
ლენა ამასა ჰქონდა, ოსმალებთან ბრძოლის დამ-  
წყენი ისა, ლევსკი და რავდენიმე სხვა პატრიო-  
ტები იყვნენ; მონაწილეობას იღებდა ლიუბენი  
ორგანიზაციის გეგმის . შემუშავებაში, რომელიც,  
როგორც ვიცით, მისმა ამხანაგმა და მეგობარმა,  
ლევსკიმ. ალასრულა, და ლიდად ხელს უმართავდა  
ბოლგარეთში დაწყებულ ქადაგებას თავისუფლების  
შესახებ; მაგრამ მაინც ყარაველოვი უფრო კაბი-  
ნეტში მუშაობდა, ბრძოლის ველს დაშორებული.  
ლიუბენი მთელს თავისს დროს მწერლობას და  
წიგნების ბეჭვდას ანდომებდა და ამიტომ მისი ცხოვ-  
რებაც ერთფეროვანი იყო, არ გამოუცდია ის ხი-  
ფათი, ის მღელვარება, რა ხიფათითა, რა მღელ-  
ვარებით და ვაი-ვაგლახით სავსე იყო ცხოვრება

მისთა თანამოაზრე-მეგობართა, სამშობლოს ნიადაგზე მომუშავეთა. მაგრამ უწიგნ-გაზეთოდ პროპაგანდა და ორგანიზაცია შეუძლებელი და წარმოუდგენელიც იყო, ამიტომ ლიუბენ ყარაველოვი, თითქმის, ერთად-ერთი მწერალია ამ დროინდელი და განთავისუფლებისათვის ბრძოლის ხანში დიდი სახელიც გაითქვა. იმისი გაზეთი, რომელსაც შესანიშნავი ნიჭიერება ეტყობოდა რედაქტორისა, მისი გრძნობით სავსე და ამაღლვებელი პუბლიცისტური წერილები, ცეცხლის-მომკიდებელი მოწოდებანი და პროკლამაციები, მისი პატრიოტული ლექსები და ბელლეტრისტული მოთხრობანი დიდად და თითქმის უმთავრესად ხელს უწყობდნენ განთავისუფლების საქმესა, უამათოდ თვით ისეთებიც კი, როგორც ლევსკი იყო, ბევრს ვერას გახდებოდნენ.

როგორც მწერალი, პუბლიცისტი და პოეტი, ლიუბენ ყარაველოვი ძალიან და ძალიან ბევრს მუშაობდა. მისის ქვრივის-მიერ განზრახული გამოცემა მისთა ნაწერთა, უეპველია, ათ ტომზე ნაკლები მაინც არ იქმნება. „თავისუფლება“ ოთხს წელიწადს (1869—1873) არსებობდა და თავ-თავის დროზე გამოდიოდა ბუქარესტში ჯერ კვირაში ორჯელ, მერე—ერთხელ. „თავისუფლების“ შემდეგ ახალ გაზეთსა ჰბეჭდავდა, სახელიად „დამოუკიდებლობა“ ერქვა. ბოლოს, განთავისუფლების შემდეგ, ბოლგარეთის ქალაქ ტირნოვოში სამეცნიერო

და სალიტერატურო უურნალის „ცოდნა“ს ბეჭდვას შეუდგა. ყველა ამ უურნალ-გაზეთებში თითქმის მარტო ლიუბენის ნაწერები იბეჭდებოდა. გარდა ამისა, მისმა კალამმა ბოლგართა მწერლობას შესძინა დიდ-ძალი ლექსები და მოთხრობანი. ყველა მისს მოთხრობებში პატრიოტული აზრია გატარებული, გამოხატულია ტანჯვა-წვალება დამონავებულის ერისა, სცენაზე გამოყვანილნი არიან მსხვერპლნი ოსმალთა ძალ-მომრეობისა და მტარვალობისა, გამოყვანილნი არიან აგრედვე შურის-მაძიებელნი ამ ძალ-მომრეობისა და მტარვალობისათვის, გან-საკუთრებით ვაჟ-კაცნი გაიდუკები, რომელნიც თავისს დროზე ერთად-ერთი პროტესტანტები იყვნენ ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ; ლიუბენის აღწერილობით, ესენი ყველასათვის წასაბაძი და კეთილშობილი გმირები არიან.

ბევრი რამ აბრკოლებდა ლიუბენს. თავი-და-თავი—სილარიბე იყო. ბუქარესტში ისა და მისი ცოლი მეტად ხელმოკლედ, შევიწროებულად სცხოვრებდნენ. ერთსა და იმავე ოთახში კიდეცა სწერდა, კიდეცა პბეჭდავდა გაზეთ-წიგნებსა; იგივე ოთახი იყო სამზარეულო, საწოლი და სასტუმრო ოთახიცა. იმ დროს, როცა ასოთ-ამწყობნი შრიფტს უდგნენ, თვითონ ლიუბენი სწერდა, მისი ახალ-გაზდა ცოლი, ნატალია, მთელის სათობით საბეჭ-დავ მანქანის მძიმე ჩარხს ატრიალებდა; იმავე დროს, რამდენიმე ახალგაზდა ბოლგარელნი,

მოწაფენი და სტუდენტები ბუქარესტის სასწავლებელთა, თავისუფალ დროს როგორც კი იხელებდნენ, ლიუბენთან მოვიდოდნენ, მისხდებოდნენ სადმე კუთხეში და ახლად დაბეჭდილს ფურცლებსა ჰკეცავდნენ და ჰკინძავდნენ. იგივე მოწაფენი, — ყველანი საშინელი თაყვანისმცემელნი ლიუბენისა, დილაობით, სანამ ლექციებზე წავიდოდნენ, შეირბენდნენ ლიუბენთან, წინადლით გასაგზავნად დამზადებულ წიგნებს, თუ გაზეთებს ამოილლიავებდნენ და გზად ფოსტაში აძლევდნენ.

მიუხედავად ასეთის სილარიბ-სილატაკისა, ლიუბენი გაცხარებული მუშაობდა, მისი ნიჭი არ ისაქსებოდა, ახალი წიგნები ერთი-მეორეზე იბეჭდებოდა და ბოლგარეთის ყველა კუთხეს სპასატრილ ამბავსა ჰფენდა. თვითონ ლიუბენი კი მხნედ და მხიარულად დაჰლილინებდა:

დე მდიოს სილარიბემ,  
დავდიოდე ფეხშიშველა!...  
არვისა ვთსხოვ შემწეობას  
და არ მინდა არვის შველა,—

—  
როცა ჩემი სინიდისი,  
რკინასავით მაგარია,  
და მეც არსად ჩემი თავი  
არავისთვის მამიხრია.

არცერთ პირუტყვს არ ვაღირსებ  
სალამს..... თავს არ დავიმცირებ,  
და თუ შევხვდი უნამუსოს,  
იფნის სახრეს გადვუჭირებ!....

1877 წელს, რუს-ოსმალთ ომის დროს, ბოლგარეთიდან ამდენის ხნით გადახვეწილმა ლიუბენ ყარაველოვმა პირველიდ დაადგა ფეხი სამშობლო მიწასა. ჯერ თავისი სამშობლო ფრაკია ნახა, იყო კროპოვშჩიცასა და პლოვდივაშიაც, იქიდან ტირნოვოში წამოვიდა და თითქო აქ მოიკიდა კიდეც ბინაო, მაგრამ იქიდანაც მალე აიბარგა და სამუდამო ბინა გაიჩინა რუშჩუკში.

მაგრამ დიდს ხანს არ დამტკბარა განთავისუფლებულ სამშობლოში ცხოვრებითა ეს თავდადებული მამულიშვილი ბოლგარეთისა: 1879 წლის იანვარში ჭლექმა თან გადიტანა. დიდის ამბითა და პატივით დაასაფლავეს ბოლგარელი მწერალი-პატრიოტი. მთელს რუშჩუკში სამგლოვიარო დროშა-ბაირალები გამოჰკიდეს; მაღაზიები და დუქნები ყველა დაკეტილი იყო. დიდ-ძალი ხალხი მოზღვავდა, რათა უკანასკნელად მოწიწებით პატივი ეცა თავისუფლებისათვის მებრძოლისა და მოღვაწესათვის. მისს დამარხვაში, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებდნენ რუსთა სამოქალაქო და სამხედრო წარმომადგენელნი. ეტლს, რომელზედაც კუბო ესვენა, იქით-აქეთ, უთოფოდ, რუსის სალ-

დათები მისდევდნენ, წინ კი სამს კაცს გაშლილი ფურცლები მიჰქონდათ: „თავისუფლებისა“, „დაზოუკიდებლობისა“ და „ცოდნა“სი.

ლიუბენ შიგ რუშებული დასაფლავებული, ქალაქის სასაფლაოზე. მის საფლავთან დღესაც არ დაუდგამთ, ცოტათიც არის, რიგიანი ძეგლი ამ ღვაწლ-მოსილ და სამ-გზის კურთხეულ მამული-შვილისათვის.

